ბასიანის ძეგლების
2022 წლის
საკვლევი ექსპედიციის ანგარიში

თბილისი 2023

ბასიანის ძეგლების 2022 წლის საკვლევი ექსპედიციის ანგარიში

საკვლევი ექსპედიცია ჩატარდა **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** მიერ 2019 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – **"ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის"** – გამარჯვებული პროექტის – **„ბასიანი - მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი ბეჭდური და ონლაინ კატალოგი" [NFR – 19 – 12539]** – ფარგლებში. პროექტი ხორციელდება **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** მიერ.

ექსპედიციის ანგარიში მოამზადეს: პროფესორმა **თეიმურაზ ხუციშვილმა** (ხელმძღვანელი), **ნოდარ არონიშიძემ, დავით გაჩეჩილაძემ, ბებურ გოზალიშვილმა, ანა იმედაშვილმა, შალვა კოღუაშვილმა,** პროფესორმა **დავით მაისურაძემ, ლევან წიქარიშვილმა.**

კონსულტანტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **კახა შენგელია;** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თეიმურაზ ჯოჯუა;** არქეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **სამი პატაჯი** (თურქეთი).

ანგარიში იბეჭდება **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** დაფინანსებით.

მასალა დალაგებულია აღწერილი ძეგლების დასახელების მიხედვით, ანბანური რიგით.

ფოტოსურათები, რომლებზეც არ არის მითითებული კუთვნილება ან ავტორი, გადაღებულია საექსპედიციო სამუშაოების დროს.

ავტორთა ჯგუფის მიერ 2012-2019 წლებში თურქეთის რესპუბლიკაში ჩატარებული 30 ექსპედიციის ანგარიშები ქვეყნდებოდა 2015 წლიდან.

Report of 2022 Research Expedition of Basiani Monuments

The research expedition was conducted the frame of the winner project – **"Basiani - bilingual printed and online catalog of material culture monuments" [NFR – 19 – 12539]** which was announced by **Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSF)** in 2019 within state scientific grant competition - **Scientific Research of Material and Spiritual Heritage of Georgia Aboard**.

The project is being implemented by **Research Center of Georgian Culture and Tourism Resources.**

The expedition report was prepared by: Professor **Teimuraz Khutsishvili** (the head), **Nodar Aronishidze, David Gachechladze, Bebur Gozalishvili, Ana Imedashvili, Shalva Koghuashvili,** Professor **Davit Maisuradze, Levan Tsikarishvili.**

The consultants: Dr. of Philosophy in History, Professor **Kakha Shengelia;** Dr. of Philosophy in History, Professor **Teimuraz Jojua;** Dr. of Archaeology **Sami Pataci (Turkey).**

The expedition report is printed by **Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia** funding.

The material is sorted alphabetically by the names of the described monuments.

Photos that are not indicated the owner or the author are taken during the expedition work.

The reports of 30 expeditions conducted by the group of authors in the Republic of Turkey in 2012-2019 have been published since 2015.

© თ. ხუციშვილი, ნ. არონიშიძე, დ. გაჩეჩილაძე, ბ. გოზალიშვილი, ა. იმედაშვილი, შ. კოღუაშვილი, დ. მაისურაძე, ლ. წიქარიშვილი.

კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, პ. საკაძის 1, თბილისი

© T. Khutsishvili, N. Aronishidze, D. Gachechladze, B. Gozalishvili, A. Imedashvili, Sh. Koghuashvili, D. Maisuradze, L. Tsikarishvili.

"Caucasus University Publishing House", P. Saakadze 1, Tbilisi, Georgia

ISBN 978-9941-9820-5-7

სარჩევი

შესავალი 4

ძეგლების აღწერილობა 5

აკსიკომსი, მონასტერი 6

აკსიკომსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 9

აკსიკომსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით 9

ალვარი, ეკლესია 11

ალვარი, ძველი ჯამე 12

არტიფი, ეკლესია და ძველი საცხოვრებელი სახლები 13

ახა, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 16

ბადიჯუინი, ეკლესია 17

ბასიანი, ეკლესია 20

ბასიანი, ციხე 20

გერდეკკაია, კოშკი 22

დელილერი, ნაგებობა 23

ეზირმიკი, ძველი თურბე 24

ეიუფლერი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით 26

ერზურუმ-ფასინლერის გზის მე-12 კილომეტრი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი 27

ვაღავირი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი 29

ზემო კარაკალე, მეგალითური ციხე 30

ზემო კიზილკალე, ციხე სოფლის ჩრდილოეთით 32

თეფეჯიკი, სოფელში დაფიქსირებული ეკლესიის ბაზისები 33

თიზგი, ოსმალური აბანო 33

კარაველეთი, მშრალი წყობის ნაგებობა 34

მალი კომუ, მეგალითური ციხე 34

მარიფეთი, კლდეში ნაკვეთი სენაკები 36

მარიფეთი, ნაგებობა სოფლის სამხრეთით 38

მარიფეთი, ციხე (?) და კლდეზე ნაკვეთი ჯვრები სოფლის დასავლეთით 39

მიადინი, ძველი თურბე 40

მიგნარინჩი, მეგალითური ციხე სოფლის ჩრდილოეთით 41

მიგნარინჩი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით 44

პატარა ტუ, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 46

პორსუკი, ეკლესია 48

პორსუკი, მშრალი წყობის ნაგებობები სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 48

რაბათი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის დასავლეთით 50

სანსორი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 50

სერჩებოღაზი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით 51

სურბოღანი, მეგალითური (?) ციხე 52

ტაღუნსი, კლდეში ნაკვეთი მონასტერი 54

ტაღუნსი, ციხე 57

ქეივანქი, ეკლესია 58

ქვემო კიზილკალე, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით 60

ქოფრუქოი, ხიდი 61

ღოჯირ კომუ, ციხე სოფლის დასავლეთით 63

ჩერმიკსუ, ეკლესია 63

ჩოღენდერი, ხიდი 64

ხესინკარი, კლდეში ნაკვეთი მონასტერი 65

ჰავნიკი, ციხე 68

ჰანაჰმეტი, ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 70

ჰინცკი, ეკლესია 71

ჰინცკი, მშრალი წყობის ნაგებობა 74

დანართი 76

ლიტერატურა 85

შესავალი

ბასიანი, როგორც ერთ-ერთი ისტორიული მხარე, მოიცავდა მდინარე არაქსის ზემო წელის აუზს თავისი ერთ-ერთი მარცხენა შენაკადის – ფასიანის/ფასის წყლის აუზთან ერთად. ამჟამად, თურქეთის თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ამ ტერიტორიას მოიცავს ერზურუმის პროვინციაში შემავალი 3 რაიონი; ესენია: ფასინლერის, ქოფრუქოის და ხორასნის რაიონები. ამ სამ რაიონში სულ 200-მდე სოფელია. ბასიანი ამასთანავე იყოფოდა 2 ნაწილად: ზემო (ფასინლერის და ქოფრუქოის რაიონები) და ქვემო (ხორასნის რაიონი) ბასიანად.

გეოგრაფიულად ბასიანი წარმოადგენს საკმაოდ ვრცელ და გაშლილ ვაკეს, რომელიც სამი მხრიდან შემოსაზღვრულია მთებით და ქედებით. მას დასავლეთიდან საზღვრავს დევებოინუს ქედი, რომელიც პალანდოკენის და კარგაფაზარის მთებს შორისაა მოქცეული, ჩრდილოეთიდან კარგაფაზარის მთები და მისგან აღმოსავლეთით გაწოლილი ქედი სარიყამიშის მთებამდე, სამხრეთიდან კი შახველეთის და ჩაქმაქის მთები.

ისტორიული წყაროებიდან ჩანს რომ მხარე, უძველესი დროიდანვე თავისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე დიდ ინტერესს იწვევდა სხვადასხვა სახელმწიფოებში. შესაბამისად ეს ტერიტორია ხშირად გადადიოდა ხელიდან ხელში. ასურეთი, ურარტუ, დიაოხი, რომის იმპერია, სომხეთი, სპარსეთი, არაბეთი, საქართველო, თურქ-სელჩუკები – ეს იმ სახელმწიფოების და იმპერიების არასრული ჩამონათვალია, რომელთა შემადგენლობაშიც ბასიანი გარკვეული პერიოდი შედიოდა ხოლმე. XVI საუკუნის შუა ხანებიდან მხარე უკვე საბოლოოდ შევიდა ოსმალეთის იმპერიის, შესაბამისად თურქეთის შემადგენლობაში.

ამ მხარეში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების მდგომარეობის შესახებ საკვლევი ექსპედიციები ქართული მხარის მიერ პრაქტიკულად არ ჩატარებულა.

ექსპედიციის ანგარიშში წარმოდგენილია მასალები ისტორიული ბასიანის კულტურის ძეგლების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. საკვლევი ექსპედიცია ჩატარდა **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** მიერ 2019 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – **"ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის"** – გამარჯვებული პროექტის – **„ბასიანი - მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი ბეჭდური და ონლაინ კატალოგი" [NFR – 19 – 12539]** – ფარგლებში. პროექტი ხორციელდება **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** მიერ.

2022 წელს ჩატარდა 1 ექსპედიცია (9 დღე) ისტორიულ ბასიანის ნაწილში (თანამედროვე ფასინლერის და ქოფრუქოის რაიონებში). შესწავლილია ამ მხარეში მდებარე 100-მდე სოფელი, ნასოფლარი და მათი მიდამოები. დაფიქსირდა ლიტერატურიდან ცნობილი 30-მდე ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა (ძეგლები ძირითადად თურქულ ლიტერატურაში იყო მოხსენიებული). გარდა ამისა, გამოვლინდა 25-მდე უცნობი ძეგლი, რომლებიც არ იყო მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

დაფიქსირებულ ძეგლთა შორისაა: ეკლესიები, მონასტრები, ციხეები, ხიდები, მშრალი წყობის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. აგრეთვე ცალკეული თურქული ძეგლები (ჯამეები, თურბეები და სხვა).

მოხდა ზემოხსენებული თითოეული ძეგლის ფოტოფიქსაცია, დადგინდა GPS კოორდინატები და მოძიებულ იქნა შესაბამისი ლიტერატურა.

ექსპედიციებისას მიკვლეული ყველა მნიშვნელოვანი სიახლე განთავსებულია **„კვლევის ცენტრის"** ფეისბუქ გვერდზე (**საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი**).

ძეგლების აღწერილობა

მასალა დალაგებულია აღწერილი ძეგლების დასახელების მიხედვით, ანბანური რიგით.

აკსიკომსი, მონასტერი

ისტორიული ბასიანის სოფელი აკსიკომსი, თანამედროვე დემირდოვენი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Demirdöven, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობათა ნაშთები მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, მთის ფერდის მოსწორებულ ბაქანზე, სოფლიდან დაახლოებით 700-800 მეტრის მოშორებით (40°01'29.46"N; 41°43'05.13"E). არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით რთულია ძეგლის ზუსტი ზომებისა და საერთო მასშტაბის შესახებ მსჯელობა. აღნიშნულ ტერიტორიაზე ფიქსირდება მინიმუმ ორი სამშენებლო ფენა, რომელთა ნანგრევებიც ერთმანეთშია არეული. სადღეისოდ მოცემული ნაწილების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთი ნაგებობის სიგრძე დაახლოებით 16-18 მეტრი, ხოლო სიგანე 10-12 მეტრამდე უნდა ყოფილიყო. მისი კედლების ერთი ნაწილია შემორჩენილი და მათი სიმაღლე 5-6 მეტრს აღწევს. რაც შეეხება მეორე ნაგებობას, აქ კვალი თითქმის აღარ აღინიშნება – შემორჩენილია მხოლოდ ძეგლის ნანგრევები, რომლებიც ერთმანეთშია არეული და, ამდენად, შეუძლებელი ხდება, როგორც გეგმარების, ისე რაიმე ზომებისა და მასშტაბის განსაზღვრა.

მთის ფერდობზე, მოსწორებულ ტერიტორიაზე, ორი მთის შუა წელზე განთავსებული კომპლექსის სრული სახით აღქმა, დაზიანების გამო, ვერ ხერხდება, თუმცა ჩანს საერთო გეგმარებითი კომპოზიციის ცალკეული მონაკვეთები. აღსანიშნავია, რომ კომპლექსი მოსაზღვრული იყო გალავნით, რომლისგანაც მცირე ფრაგმენტები, გეგმის დონეზეა გადარჩენილი, ისიც მხოლოდ რამდენიმე მონაკვეთზე. გალავნის შიგნით მოქცეულია მინიმუმ ორი ტაძრის ნანგრევი, რომლებიც ერთმანეთის გვერდითაა განთავსებული. არსებული მონაცემების მიხედვით, ფეხზე მდგომი სახით, დარჩენილია მხოლოდ ერთი, ტაძრის დასავლეთი მონაკვეთი. წარმოდგენილია, სახურავჩაქცეული მცირე ფრაგმენტი, სადაც ერთგვაროვანი სიმაღლის სამი (დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი) კედელი იკითხება – აქედან დასავლეთი სრული სახით, ხოლო ჩრდილო-სამხრეთი მონაკვეთები სანახევროდაა შემორჩენილი. საერთო სახით, შეიძლება ითქვას, რომ ძეგლის ნახევარი შემორჩენილია დაზიანებული სახით, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი სრულადაა განადგურებული და ნანგრევების გროვადაა ქცეული.

საყურადღებოა, რომ არსებობს აღნიშნული ძეგლის საარქივო ფოტო, რომლის მიხედვითაც ნათლად იკითხება კომპლექსის საერთო სახე და მისი შემადგენელი ნაწილების არქიტექტურული რაგვარობა, ზომები და მასშტაბი. საარქივო ფოტოს მიხედვით ნათლად განირჩევა დაახლოებით 4.5-5 მეტრიანი მართკუთხა გეგმარების გალავანი, რომლის აღმოსავლეთ კიდეშიც ჩანს სამონასტრო ნაგებობების ნანგრევები. ფოტოზე ასევე დაშლილი სახითაა შემორჩენილი ეკლესიის აღმოსავლეთით არსებული კიდევ ერთი, მართკუთხა გეგმარების შენობა. ხსენებული ყველა სათავსი თუ გარკვეული დანიშნულების შენობა – გალავნის ჩათვლით, ნატეხი ქვითაა ნაგები, განსხვავებით გალავნით მოსაზღვრული ტერიტორიის თითქმის ცენტრში მოქცეული გუმბათოვანი ტაძრისა, რომელიც კარგად დაჭრილ-დამუშავებული კვადრებითაა ნაშენები. გუმბათოვანი ეკლესია სრული სახით იკითხება საარქივო ფოტოზე – ჩანს მხოლოდ დაზიანებული სახურავი, მისი დამტვრეული ლორფინის ნაწილები. ფოტოს მიხედვით შენობის მხოლოდ ზედა ნაწილი იკითხება, სადაც განირჩევა ცილინდრული გუმბათი და მისი საყრდენი კვადრატის ნაწილი. გუმბათის ყელში, რომლის ფასადზეც თორმეტმალიანი დეკორატიული თაღედია შემორჩენილი, გაჭრილია ოთხი სარკმელი. ნაგებობის ქვედა კორპუსი კვადრატს მიახლოებული მართკუთხა მოხაზულობისაა და მცირედაა წაგრძელებული აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე. გუმბათის გადახურვა მაღალი კონუსის სახითაა წარმოდგენილი. საარქივო ფოტოს მიხედვით ნაგებობა, რომელიც სადღეისოდაა შემორჩენილი, დაახლოებით იმავე მდგომარეობაშია – მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამჟამად შემორჩენილი ნაშთის სახურავიც ჩაქცეულია. ამრიგად, სხვადასხვა დროის სამშენებლო პერიოდის სამონასტრო კომპლექსი ორ ეკლესიას მოიცავდა, რომელთაგან ერთი საარქივო ფოტოზე იკითხება და დღეს სრულადაა განადგურებული, ხოლო მეორე ამ გუმბათოვანი ტაძრის დასავლეთით, მასზე მიჯრით მიდგმული, შედარებით უფრო ძველი ტაძარი – საარქივო ფოტოზეც კი მისი მხოლოდ დასავლეთი ნაწილია დარჩენილი. გამოდის, რომ ორი ეკლესიიდან, რომლებიც ერთმანეთის პირისპირაა ნაგები, გუმბათოვანი შედარებით მოგვიანო ხანისაა, ხოლო მის უკან დარჩენილი ნაშთი, ნაგები რიყისა და ნატეხი ქვის საფასადო წყობით, ადრეულია. როგორც ჩანს, თავდაპირველი ნაგებობა, ალბათ ასევე გუმბათოვანი,

ნაწილობრივ დაინგრა, უფრო ზუსტად მისი აღმოსავლეთი მონაკვეთი გუმბათისა და მის ქვეშ არსებული კვადრატის ჩათვლით, სადაც მოგვიანო პერიოდში ახალი, შედარებით მომცრო, განსხვავებული გეგმარების, გუმბათოვანივე ეკლესია აუგიათ.

ამჟამად, შემორჩენილი ძველი ეკლესიის ნაშთი შედგება დასავლეთი ნაწილისგან, სადაც ჩანს გუმბათოვანი ეკლესიის მცირე მონაკვეთი. ესაა ნატეხი და რიყის ქვის საფასადო წყობის ეკლესიის ნაწილი, რომლის ინტერიერიც კარგად თლილი, სხვადასხვა ფერის, კვადრებით უნდა ყოფილიყო მოპირკეთებული. საფასადო წყობა შემორჩენილია, თუმცა ინტერიერში კვადრების დიდი ნაწილი დაკარგულია. დასავლეთი კედელი მთელი სიგრძით, ხოლო ჩრდილოეთი და სამხრეთი სანახევროდაა წარმოდგენილი. აღნიშნული ნანგრევის წინა მხარეს, გეგმის დონეზე, განირჩევა სავარაუდოდ თავდაპირველი ეკლესიის ნაწილები, თუმცა არეული ნანგრევების გამო, მისი დეტალური გარჩევა ვერ მოხერხდა. ძეგლის დასავლეთი კედლის ზედა მონაკვეთზე განირჩევა ნახევარწრიულ ფორმაზე დარჩენილი წყობის ნაწილი, ხოლო ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე გვხვდება კამარის ნაწილები. ნაგებობის ინტერიერში ჩამოშლილი ნანგრევების გამო მისი ქვედა არეები სრულადაა დაფარული, ამიტომ დასავლეთი კედლის ცენტრში, ძალზე დაბალ დონეზე, ჩანს გამონანგრევი არე, რომლის გაიგივებაც შესასვლელთან ვერ ხერხდენა.

თურქი მკვლევარი სევანი ნიშანიანის ცნობით, ეს ძეგლი იყო სომხურ წყაროში (სტეფანოს ტარონეცი X-XI სს.) მოხსენიებული აკსიგომის მონასტერი. ძეგლი, ასევე მოხსენიებული აქვს რამდენიმე თურქ მკვლევარს, სადაც ისინი ძეგლს ციხედ მიიჩნევენ.

ფოტო 1. მონასტრის საარქივო ფოტო

ფოტო 2. ეკლესიის საერთო ხედი

ფოტო 3. ეკლესიის ხედი ჩრდილოეთიდან

ფოტო 4. ეკლესიის ხედი დასავლეთით

ფოტო 5. ეკლესიის ინტერ., სამრ. კამარის ფრაგმენტი

ფოტო 6. ეკლესიის ინტერ., ჩრდ. კამარის ფრაგმენტი

აკსიკომსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი აკსიკომსი, თანამედროვე დემირდოვენი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Demirdöven, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 3.5 კილომეტრის მოშორებით, მთის თხემზე (40°03'25.58"N; 41°42'25.06"E). ძეგლის ადგილზე გადამოწმება ვერ მოხერხდა. როგორც Google Earth რუკაზე ჩანს, ნაგებობა მართკუთხა გეგმარებისაა და სავარაუდოდ ნაგებია უხეშად დამუშავებული საშუალო ზომის ქვით. ნაგებობის სიგრძე 45 მეტრია, ხოლო სიგანე 30 მეტრი.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth)

აკსიკომსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი აკსიკომსი, თანამედროვე დემირდოვენი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Demirdöven, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 3 კილომეტრის მოშორებით, პატარა გორაკის თხემზე, მდებარეობს ნაგებობის მცირე ნაშთები (40°03'20.76"N; 41°43'39.24"E). ძეგლი განთავსებულია მოგვიანებით შექმნილი ჰესის პირას, შემაღლებული ბორცვის ზედაპირზე არსებულ მცირე შვერილ-ბაქანზე. ძლიერ დაზიანებული და გეგმის დონეზე, სრული სახით, ვერ-წაკითხვადი ნაგებობის ნაშთები, „ხელოვნურად შემაღლებულ“ ბორცვზეა განთავსებული, თუმცა ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მიწის შვერილი სრულად ხელოვნური ყრილი არ უნდა იყოს და ეს შთაბეჭდილება საერთო პროპორციებითა და მოსწორებული ზედაწელით იქმნება. წრიული გეგმარების შენობის ნაშთები შემაღლებული ბორცვის ბუნებრივ რელიეფს შემოსდევს და მისი დიამეტრი დაახლოებით 30-35 მეტრი უნდა იყოს, ხოლო ზედაპირზე შემორჩენილ კედელთა მაქსიმალური სიმაღლე 1-1.2 მეტრს აღწევს. ნანგრევების დიდი ნაწილი მცენარეული საფარისა და მიწის ქვეშაა მოქცეული – ამდენად, მის პერიმეტრზე არსებული, მთის თხემს უწყვეტად შემოვლებული, შვერილობა სწორედ კედელთა ნაშთებს წარმოადგენს, რომელიც დროთა განმავლობაში მიწის ქვეშ მოექცა.

ძირითადი, გარშემომწერი კედლების ნაშთების გარდა, ნაგებობის პერიმეტრზე იკითხება „შიდა უბნების“ მომნიშვნელი, კონსტრუქციული თუ ფუნქციური დანიშნულების კედელთა ნაწილები, რომელთა სრული გეგმარება არც ერთ მონაკვეთზე აღარ ჩანს. წრიული მოხაზულობის ძეგლის გარე, „გალავნის“ კედლები, თითქმის სრულადაა განადგურებული, თუმცა არსებული მდგომარეობის მიხედვით ჩანს, რომ მიწაყრილის სახის მქონე ბორცვების ქვეშ უნდა იყოს მოქცეული კედელთა სტრუქტურა. ალაგ-ალაგ ჩანს კედლის შემორჩენილი წყობის ნაწილები, როგორც „გალავანზე“, ისე შიდა პერიმეტრზე – ერთ-ერთ ასეთ მონაკვეთზე იკითხება წყობის რამდენიმე რიგი, სადაც გვხვდება მშრალი წესით ნაგები კედლის ნაწილები. ესაა საშუალო ზომის ვულკანური წარმოშობის ქვათა ირეგულარული განლაგება, რომელიც ნაგებობის მომსაზღვრელი ძირითადი კედლის შიდა არეზეა განთავსებული. ასეთივე წყობით ნაგებ კიდევ ერთ ფრაგმენტს უშუალოდ შიდა პერიმეტრზე ვხვდებით, რომლისგანაც მხოლოდ ერთი კედელია დარჩენილი. გარდა ბუნებრივი დაზიანებისა, აღსანიშნავია განძის მაძიებელთა მიერ გადათხრილი მონაკვეთები, რომლის განათხარი მიწა და ქვები ირგვლივ, სრულებით უსისტემოდაა მობნეული.

არასტანდარტული წრიული გეგმარების ძეგლი მოიცავს მთავარ, გარე კედლებს, რომელიც შემოსაზღვრავს ძირითად სივრცეს. კედლები საკმაოდ მძლავრი უნდა ყოფილიყო - სადღეისოდ შემორჩენილი ქვის წყობები, რომლებიც ამ დრომდე მიწის ზემოთ დარჩა, შედარებით მცირე ზომისაა, თუმცა სავარაუდოა, რომ მათ ძირზე გაცილებით მასიური ლოდები იქნება დალაგებული. არსებული ვითარების მიხედვით, აშკარა ხდება, რომ გაწმენდითი სამუშაოების შემთხვევაში, მიწის ქვეშ მოქცეული „გალავნის“ კედლების დიდი ნაწილი თავდაპირველი სახით გამოჩნდება. გარდა შენობის ძირითადი მონაკვეთის მომსაზღვრელი კედლებისა, „ინტერიერში“ იკითხება მრავალი სათავსის ნაშთი, რომლებიც ნაგებობის შიდა პერიმეტრის ფუნქციურ და კონსტრუქციულ ნაწილებს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ კედლის წყობა, შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით უნდა ყოფილიყო ნაგები: ქვედა მონაკვეთზე, ერთგვარ საძირკვლად, მოზრდილი ქვები ან ლოდები იქნებოდა დალაგებული, რომელზეც აღმართული-მოწყობილია შედარებით მცირე ზომის ქვები. ვულკანური წარმოშობის საშენი მასალა არასტანდარტულია და მათ ზედაპირზე არ აღინიშნება დამუშავების კვალი. კედლები გარე და შიდა პირზე გასწორებული უნდა ყოფილიყო, ხოლო მათ შორის არე, დაახლოებით 2 მეტრი, ამოვსებული მცირე ზომის ქვა-ყრილებით. სწორედ შენობის კედლების ზედა მონაკვეთებია მიმობნეული, როგორც შიდა პერიმეტრზე, ისე ბორცვის დამრეც ფერდობებზე.

ნაგებობის მდებარეობის, მისი განთავსების არეალის, გეგმარებითი სტრუქტურის, სამშენებლო ტექნიკის, ქვის ჯიშისა და წყობის ხასიათის თუ საერთო პროპორციების მიხედვით, უნდა ვივა-რაუდოთ, რომ ძეგლი მეგალითური კულტურის სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურის ტიპს განეკუთვნება, რომლის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებისთვის საჭიროა მრავალმხრივი კვლევების ჩატარება, როგორც სახელოვნებათმცოდნეო, ისე არქეოლოგიური მიმართულებით.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ნაგებობის საერთო ხედი

ფოტო 2. გალავნის კედლის ფრაგმენტები

ფოტო 3. განძის მაძიებელთა განათხარი

ფოტო 4. ნაგებობის ინტერიერის ფრაგმენტები

ალვარი, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი ალვარი, თანამედროვე ალვარი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Alvar, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

სოფლის განაპირას, ცენტრიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით ორი კილომეტრის მოშორებით, სახნავ-სათესი მინდვრების ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს კონკრეტულ მონაკვეთს, სადაც ეკლესია უნდა მდგარიყო (39°56'48.56"N; 41°36'38.93"E). დასახელებული ადგილი წარმოადგენს მცირე ზომის შემაღლებულ ბორცვს გაშლილ მინდვრებზე – ამაღლებული ბაქანი მინდვრის დონიდან დაახლოებით 1.5-2 მეტრითაა ამოზრდილი, ხოლო მისი სიგრძე-სიგანე 7×8 მეტრია.

დასახელებული ბორცვი, რომ ბუნებრივი წარმონაქმნი არაა, ეს პირველადი დაკვირვებისთანავე ნათელი ხდება – ღია, გაშლილ ველზე იკითხება მეტ-ნაკლებად სტრუქტურირებული, წრიული მოხაზულობის მქონე, დაახლოებით 2 მეტრიანი შვერილობის ბორცვი, შემაღლებული და ზედაპირმოსწორებული ბაქნით, სადაც ამჟამად ნაგებობის კვალი არ შეინიშნება. აღნიშნული მონაკვეთის ფორმის, ზომისა და ირგვლივ მიმოფანტული რამდენიმე ქვის გათვალისწინებით (ერთ-ერთ მათგანზე ნათლად ჩანს მართკუთხა, ბუდისებრი ჩანაკვეთი), სრულებით ლეგიტიმურად მიგვაჩნია ვარაუდი, მოცემულ ტერიტორიაზე წარსულში ნაგებობის არსებობისა.

აღნიშნული ბორცვის ქვეშ ამჟამადაც შემორჩენილი უნდა იყოს თავდაპირველი ნაგებობის საძირკველი და, შესაბამისად, მისი გეგმარება, რომლის წაკითხვაც ნათელს მოჰფენდა ძეგლის ფუნქციას. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით კი ძნელია რაიმე ვარაუდის გამოთქმა. მოსახლეობის მოსაზრება, რომ აქ შეიძლება ეკლესია მდგარიყო, არაა გამოსარიცხი, თუმცა ბორცვის მკაცრად მოსაზღვრული წრიული ფორმა, ზოგადი სახით, მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ოსმალური აკლდამის საერთო „პროპორციებთან“, მისი გეგმარების მოხაზულობასთან.

აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ რეგიონში მიკვლეული რამდენიმე ოსმალური აკლდამა, ზოგადი პროპორციებით, გეოგრაფიული განთავსების არეალითა და მის ირგვლივ არსებული, ხელოვნურად მოსწორებული ბაქნით, აშკარა სიახლოვეს ავლენს მოცემული ტერიტორიის გარეგნულ იერსახესთან.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2. ეკლესიის ადგილის საერთო ხედი

ფოტო 3, 4. ძეგლის პერიმეტრზე არსებული ფრაგმენტები

ალვარი, ძველი ჯამე

ისტორიული ბასიანის სოფელი ალვარი, თანამედროვე ალვარი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Alvar, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის ცენტრში და წარმოადგენს ჯამეს (39°56'29.85"N; 41°36'45.08"E), რომელიც მოიცავს დაახლოებით 8-9 მეტრის სიმაღლის მინარეთს. შენობის ძირითადი კორპუსის დაახლოებითი სიგრძე-სიგანე 12×10 მეტრია და შედგება რამდენიმე ოთახისგან.

ძეგლი ნაწილობრივ თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი, თუმცა განირჩევა მოგვიანო გადა-კეთებების კვალი, როგორც გარე მასებში, მინაშენებით, ისე ინტერიერში გადაკეთებულ-გადაღებილი კედლების სახით. სახეცვლილი მონაკვეთები ნათლად შეიგრძნობა შენობის ინტერიერში, სადაც ჩანს მინაშენების, კარ-სარკმლებისა და სხვა დეტალების შეცვლილი, მოგვიანო იერი. აღსანიშნავია, რომ ყველაზე უკეთ შემორჩენილ ნაწილს ჯამეს ცენტრალური დარბაზი წარმოადგენს, სადაც იკითხება აღნიშნული არქიტექტურისთვის სახასიათო ყველა ელემენტი. შიდა სივრცის მთავარ მაორგანი-ზებლად ხის მასალაა წარმოდგენილი – გვხვდება პირამიდული პრინციპით, საფეხუროვანი წყობით, გადაწყვეტილი ჭერი, რომლის ცენტრალური კვადრატი გაფორმებულია ხეზე კვეთის ელემენტებით. მოცემულია შიდა კვადრატის მაორგანიზებელი ოთხი სვეტი დამუშავებული ვერტიკალური, ღარო-ვანი ჩანაკვეთებით. აღნიშნული დარბაზის შიდა პერიმეტრზე, სამი მხრიდან, მსუბუქი კონსტრუქციის მქონე ღია მეორე სართულია წარმოდგენილი, რომლის დაბალი მოაჯირებიც გაფორმებულია მართკუთხა და რომბ-ვარსკვლავისებრი ბადით. ცენტრალურივე დარბაზის სხვადასხვა კედელში განთავსებულია რელიეფური თავსართებით დასრულებული ნიშები, რომელთაგან ერთი, მიჰრაბი, მხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებით აქცენტირებულია – მის თავსართ დეკორად სტალაქტიტური გაფორმების ორნამენტია დატანილი. ინტერიერში განთავსებულია სხვადასხვა დანიშნულების ხის კონსტრუქციები – მათ შორისაა მინბარი, რომლის „კედლებიც“ სადღეისოდ გადაღებილია, თუმცა ალაგ-ალაგ, საღებავის ანატკეჩების ქვეშ მოჩანს წითლად და ლურჯად დატანილი ორნამენტული დეტალები. შენობის ინტერიერში ხის დეკორირებული კარნიზების არეზე, საღებავის ქვეშ, აღიქმება არაბულენოვანი წარწერები, ისევე როგორც კედლის გარკვეულ სიბრტყეზე, ასევე გადაღებილ მონაკვეთებზე. შემორჩენილია განსხვავებული ფორმის, ზომისა და თარიღის ფარდაგები, გაფორმებული არაბულენოვანი წარწერებითა და რელიგიურ-სიმბოლური დატვირთვის მქონე ელემენტებით.

შენობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დღემდე თითქმის უცვლელად მოღწეული ნაწილი, წრიული გეგმარების მქონე, მინარეთი კარგად დამუშავებული, რუხი ფერის მოზრდილი კვადრებითაა ნაგები. მინარეთის ცილინდრული მასის შუა წელზე წარმოდგენილია ამავე ფორმის შვერილი აივანი, რომელიც ასევე ქვისგანაა ნაგები. შესასვლელი მოწყობილია ჯამეს ცენტრალური დარბაზის კუთხეში განთავსებული კარიდან, სადაც ნათლად იკითხება დიდი ოსტატობით შესრულებული ჩახვეული კიბის უჯრედი. მინარეთის სრული დათვალიერება ვერ მოხერხდა, თუმცა აშკარად იკითხება, როგორც ინტერიერში ისე ექსტერიერში მისი თავდაპირველი სამშენებლო ფენა, რომელიც თითქმის უცვლელი სახითაა წარმოდგენილი.

აღნიშნულის ნაგებობის თარიღის გარკვევა რთულია, რადგან ინტერიერში არაბულად შესრულებული წარწერების ამოკითხვა ვერ ხერხდება – ერთი მხრივ დაზიანების, ხოლო მეორე მხრივ იმის გამო, რომ სადღეისოდ ეს წარწერები გადაღებილია. წარწერები დამატებით მუშაობას საჭიროებს, თუმცა ზოგადი არქიტექტურული ნიშნების მიხედვით საფიქრებელია, რომ ეს უკანასკნელი XVIII ან XIX საუკუნეებშია აგებული.

ჯამე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. ჯამეს საერთო ხედი

ფოტო 2. ჯამეს ინტერიერი, მინბარი

ფოტო 3. ჯამეს ინტერიერი

ფოტო 4. ჯამეს ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთით

ფოტო 5. ჯამეს მინარეთის კიბის უჯრედი

არტიფი, ეკლესია და ძველი საცხოვრებელი სახლები

ისტორიული ბასიანის სოფელი არტიფი, თანამედროვე ოთლუქქაფი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Otlukkapı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ცენტრში, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, მდებარეობდა ეკლესია (39°53'50.32"N; 41°40'19.42"E). ამჟამად ეკლესიისგან არანაირი არტეფაქტი არაა შემორჩენილი. ერთ-ერთი ადგილობრივი მოსახლის თქმით, 1960-იან წლებში, ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ეკლესიის მცირე ფრაგმენტები. ხოლო მის ბაბუას, ეკლესია მთლიანი ახსოვდა და მისი თქმით ეკლესია საკმაოდ მოზრდილი უნდა ყოფილიყო.

სოფლის ტერიტორიაზე მდებარეობს ძველი ნაგებობები სხვადასხვა მიმართულებით – მათ შორის, სოფლის ცენტრში განთავსებულია ძველი სახლი, რომელიც მოგვიანებით მეჩეთად იქნა გადაკე-თებული და სახლი, რომელიც თავდაპირველი ფუნქციითაა შენარჩუნებული, თუმცა ძლიერაა დაზიანებული.

შენობა, რომელშიც ამჟამად ჯამეა განთავსებული, ძლიერაა სახეცვლილი მინაშენებით (39°53'53.34"N; 41°40'8.60"E). ნაგებობის ფასადი შეცვლილია მოგვიანო ნალესობით, ხოლო ძველი საფასადო სარკმლები მეტალო-პლასტმასის ფანჯრებითაა შეცვლილი, თუმცა ამავე არეზე განირჩევა ძველი წყობის ნაწილები და ხის, ბოლოებდამუშავებული, გადახურვის კონსტრუქციის ნაწილები. ჩანს შენობის ძირითადი კორპუსის კუთხის არეებზე დალაგებული მასიური, მოყვითალო ფერის, კარგად თლილი კვადრები. შენობის თავდაპირველი სიმაღლე მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია ინტერიერში, ძეგლის ცენტრალურ, მთავარ ოთახში, სადაც ახლა ჯამეა მოწყობილი. ინტერიერის ძირითად აქცენტს და მხატვრული გადაწყვეტის არსებით მაორგანიზებელს ხის მასალა წარმოადგენს. მცირე ზომის, დაახლოებით 5x6 მეტრის სიგრძე-სიგანის ოთახის ჭერი სრულად ხისგანაა დამზადებული და გაფორმებულია სხვადასხვა სახის მცირე ორნამენტული დეკორის ელემენტებით. ოთახში შემავალი ერთადერთი შესასვლელი ორმაგი კარით იხურება, საიდანაც გარეთა, ხის კონსტრუქციით დამზადებული მექანიკური თვითმკეტითაა აღჭურვილი. ოთახში მოცემულია დიდი ზომის სათავსი, ასევე ხის მასალით დამზადებული, რომლის სხვადასხვა „კედელი“ ცხაურ-ბადისებრი რიკულებითაა გაფორმებული. ოთახის ჭერს დაუყვება ორნამენტული კარნიზი. ფანჯრები ერთმანეთის გვერდით, მცირედი ინტერვალითაა წარმოდგენილი, ხოლო მათ შორის, ზედა მონაკვეთზე, ხის დაფაზე დატანილია არაბულენოვანი წარწერა, რომელიც შესაძლოა შენობის დათარიღებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავდეს, თუმცა ამ ეტაპზე მისი ამოკითხვა ვერ მოხერხდა. კედლებზე განთავ-სებულია ორი, ხის მარტივი კანტით მოჩარჩოებული, მინაზე შესრულებული მხატვრობის ნიმუში, სადაც დატანილია არაბულენოვანი წარწერები.

საფიქრებელია, რომ ნაგებობა ავთენტური ინტერიერითა და საფასადო არეზე შემორჩენილი ნაწილების მიხედვით XIX საუკუნის ბოლოს ან საუკუნეთა მიჯნის მშენებლობას წარმოადგენდეს, თუმცა დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება ინტერიერში მოცემული წარწერის ამოკითხვის შემთხვევაში.

ფოტო 1. ძველი სახლის საერთო ხედი

ფოტო 2. ძველი სახლის კარი გეომეტრიული ჩუქურთმით

მეორე ნაგებობა, რომელიც განთავსებულია ასევე სოფლის ცენტრში (39°53'50.06"N; 41°40'17.62"E), წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს, რომელიც გარეგნული თვალსაზრისით სახეცვლილია, თუმცა ფიქსირდება ძველი ქვის წყობა შედგენილი ყვითელი ფერის, კარგად დამუშავებული კვადრებით. ნაგებობის საფასადო ნაწილი, რომელიც ქუჩაზე გამოდის, შედგება პირობითად ორი ნაწილისგან, რომელიც ხის, კვადრატული კვეთის მქონე, ძელითაა გაყოფილი ორ ნაწილად. აღნიშნულ ფასადზე იკითხება ერთი შესასვლელი, ხის კარით და მის თავზე გაჭრილი მცირე ზომის სარკმელი. ხის ძელის ქვედა მხარეს კვადრები დიდი ზომისაა და ჰორიზონტალურ რიგებად დაწყობილი, ხოლო მის ზემოთ ამავე ჯიშის ქვის მცირე ფრაგმენტებით შედგენილი ფასადია ნაწყობი. ნაგებობა შედგება ორი ძირითადი სათავსისგან – არასტანდარტული გეგმარების მართკუთხა, ცენტრალური სივრცე, დასრუ-ლებული ხის ძელებით შედგენილი მაღალი გვირგვინით და მინაშენი, ამგვარივე წყობის მცირე გვირგვინით დახურული. ერთგვარ წინკარად განთავსებულ მცირე ზომის მართკუთხა სივრცეში იკითხება დაახლოებით 50-60 სმ. სიმაღლის შვერილი ბაქანი, რომელშიც ჩასმულია ქერის შესანახი ქვევრები, რომლებიც ერთმანეთს ხვრელების საშუალებით უკავშირდება. აღნიშნული ბაქნის განაპირა

მხარეს, ქვის წყობით შედგენილი „ჯებირის“ ძირში, დატანილია წრიული ხვრელები, საიდანაც სავარაუდოდ ხდებოდა ხორბლის გადმოყრა. მოცემული ბაქნის თავზე იკითხება მცირე ზომის მართკუთხა ხაზებზე დაწყობილი, მასიური ძელებით შედგენილი გვირგვინი, ცენტრში დატოვებული დიდი ზომის სასინათლო ღიობით. აღნიშნული მცირე სათავსიდან ცენტრალურ დარბაზთან დაკავშირება მართკუთხა მოხაზულობის, დიდი ზომის, კარის საშუალებით ხორციელდება, ხოლო დარბაზის მთავარ სივრცით მაორგანიზებელ ელემენტს მოზრდილი, თითქმის მთელი კვადრატის მომცველი გვირგვინი წარმოადგენს. ეს უკანასკნელი დაფუძნებულია წრის პერიმეტრზე განთავსებულ ხის ძელებზე, რომლებიც, თავის მხრივ, მართკუთხა კვეთის ბაზისებს ემყარება. აღნიშნული დარბაზის სიგრძე-სიგანე დაახლოებით 7×8 მეტრია. დარბაზის ერთ მხარეს „კვადრატიდან გასული“ წახნაგოვანი კედლების მქონე, ნახევარწრიული გეგმარების, ერთგვარი ნიშოვანი სივრცეა, სადაც გვერდით კედლებში დატანილია ერთმანეთის თავზე განთავსებული მართკუთხა ნიშები, რომლებიც შესაძლებელია ყოფილიყო ბუხარი, საცხობი, ან რაიმე სამეურნეო დანიშნულების მქონე ელემენტი. მოცემული ნიშოვანი სათავსის წახნაგოვანი კედლები ჰორიზონტალურ რიგებად, რამდენიმე საფეხურად დანაწევრებულია კედელში ჩაშენებული ხის კვეთილი ძელებით.

ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული – საფიქრებელია, რომ აგების შემდგომ, მეტადრე მისი ინტერიერი, თითქმის ხელუხლებლადაა მოღწეული დღემდე, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მისი დაზიანების მასშტაბს. არსებული მასალის საფუძველზე შესაძლებელია მისი, ზოგადი სახით, XIX საუკუნით დათარიღება.

ფოტო 3. ნაგებობის საერთო ხედი

ფოტო 4. ნაგებობის ინტერიერი, გადახურვის სისტემა

ფოტო 5, 6. ნაგებობის ინტერიერი, გვირგვინი

სოფელში სხვადასხვა ნაგებობის ფასადზე ფიქსირდება კვეთილ-ორნამენტიანი ქვები – გაფორ-მებული სარკმლები და ნაგებობათა კუთხოვანი არეები. ზოგიერთ სახლში შემორჩენილია ძველი ბუხრები. გარდა ამისა, სოფლის ტერიტორიაზე გვხვდება ორნამენტირებული ქვები, რომლებიც ღია სივრცეშია დალაგებული. ერთ-ერთი ასეთი ქვის შუა არეზე დიდი ხვრელია დატანილი, ხოლო მისი გვერდითი არეები დამუშავებულია მსხვილი ლილვებით – აღნიშნული შეიძლება სვეტის ბაზისი ყოფილიყო.

ეკლესია, ძველი საცხოვრებელი სახლები და სხვა არტეფაქტები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 7, 8. სოფლის ტერიტორიაზე არსებული ნაშთები

ახა, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ახა, თანამედროვე კავუშტურანი, ფასინლერის რაიონი, ერზუ-რუმის პროვინცია (Kavuşturan, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ძეგლი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, მაღალი მთის წვერზე, ცენტრიდან დაახლოებით 1.5 კილომეტრის მოშორებით (40°00'56.59"N; 41°40'08.76"E). ნაგებობა მოქცეულია მთის ფერდზე არსებულ კლდოვან ბაქანზე, რომელიც სამი მხრიდან ციცაბოა, ხოლო ერთ მხარეს მცირე გაშლილი ველითა და ფერდობით მის უკან არსებულ მთას უკავშირდება.

ძლიერ დაზიანებული და თითქმის განადგურებული ნაგებობის საერთო ზომებისა და მასშტაბის ზუსტი განსაზღვრა ვერ ხერხდება, თუმცა არსებული ნანგრევების მიხედვით შეგვიძლია ვივარა-უდოთ, რომ წრიული დაგეგმარების ამ მასშტაბური ძეგლის დიამეტრი დაახლოებით 60-70 მეტრი უნდა ყოფილიყო. მისგან სადღეისოდ მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი – ადგილ-ადგილ იკითხება მშრალი წყობით ნაგები კედლების მცირე მონაკვეთები. გარდა ბუნებრივი დაზიანებისა, მთელ პერიმეტრზე იკითხება განძის მაძიებელთა მიერ გავლებული თხრილები, რომლის შედეგადაც განადგურებულია კულტურული ფენები და მცირე რაოდენობით არსებული წყობის ნაწილები, ხოლო მოჭრილ-ამოთხრილი მიწა და ქვები უსისტემოდაა მიმობნეული ირგვლივ.

მთის თხემზე შორიდანვე განირჩევა წრიული გეგმარების ოდნავ შემაღლებული მოვაკება, რომელიც მთელ პერიმეტრზე ერთგვარ ბაქანს იკეთებს. სადღეისოდ ძეგლის არქიტექტურულ სახეზე მსჯელობა შეუძლებელია – არ ჩანს დადასტურებით ნაგებობის სრული გეგმარება. მოცემული მონაკვეთის, ოდესღაც არსებული, განაშენიანების რეალურობას მიგვითითებს ხელოვნურად შექმ-ნილი ბაქანი მთის თავზე, უამრავი რაოდენობით ფერდებზე ჩამოწოლილი ქვა-გროვები და თხემზევე ალაგ-ალაგ დარჩენილი კონცენტრირებული ქვა-ყრილები. ზედაპირზე შემორჩენილი კედლის მცირე ზომიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ მთის თავზე დაფიქსირებული, ბაქნისებრი შემაღლება, ქვედა შრეებში ინახავს ძველ ფენებს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მისი საერთო-გეგმარებითი და არქიტექტურული სახის დაახლოებითი წარმოდგენა. მნიშვნელოვანი ფრაგმენტები იკითხება მცირე ზომის ქვა-ყრილების სახით, სადაც მოცემულია მართკუთხა და წრიული გეგმარების ნაშთები – ამჟამად, მიწით დაფარული. მთის ფერდის საწყის მონაკვეთზე შემოვლებულია დიდი ზომის თხრილი, რომელიც სადღეისოდ სარწყავ არხს წარმოადგენს. შესაძ-ლებელია დაშვება, რომ აღნიშნული თხრილი ნაგებობის თავდაპირველი, თავდაცვითი სისტემის ნაწილი იყო, თუმცა ეს დამატებითი კვლევების გარეშე მხოლოდ მოსაზრებაა.

ნაგებობის განთავსების არეალის, შემორჩენილი ნაშთების ფორმების, ქვის წყობისა და საერთო გეგმარებითი პრინციპის მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის თავდაცვით თუ სამოსახლო სისტემასთან, თუმცა საჭიროა ძეგლის მრავალმხრივი შესწავლა, რათა დადგინდეს მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული თუ გეგმარებითი სახის მეტ-ნაკლებად მკაფიო სურათი. აღნიშნული კვლევების შედეგად იქნება მხოლოდ შესაძლებელი ნაგებობის დათარიღება.

ადგილობრივი მოსახლეობა ნაგებობას Topdağı/Küçükdağ Kalesi-ს (ზარბაზნის მთის/პატარა მთის ციხე) უწოდებს.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ნაგებობის, საერთო ხედი

ფოტო 2. გალავნის კედლის ფრაგმენტები

ფოტო 3. განძის მაძიებელთა განათხარი

ფოტო 4. შიდა პერიმეტრზე არსებული ფრაგმენტები

ბადიჯუინი, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი ბადიჯუინი, თანამედროვე ესენდერე, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Esendere, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის ცენტრში, მთავარი გზის სიახლოვეს, დღევანდელი სამეურნეო და საცხოვრებელი „კომპლექსის“ შუაგულში (40°00'43.72"N; 41°49'11.63"E). არსებული მშენებლობებით გარემოცული შენობის შემჩნევა საკმაოდ რთულია, თუმცა დარჩენილი, მაღალი კედლების გარჩევა საცხოვრებელი სახლისგან მაინც ხერხდება. ძლიერ დაზიანებული ნაგებობისგან რამდენიმე ფრაგმენტია წარმოდგენილი, მაგრამ ეს ნაწილებიც მოქცეულია ახალი მშენებლობის არეალში ისე, რომ სახლისა და სამეურნეო შენობების დიდი ნაწილი უშუალოდაა მიდგმული ძველი ეკლესიის ნაშთებს. ამდენად, ახალი მშენებლობით დაფარული და თავისთავადაც ძლიერ დაზიანებული ძეგლის ზუსტი ზომების განსაზღვრა რთულია. სავარაუდოა, რომ მისი სიგრძე დაახლოებით 25-30 მეტრი, ხოლო სიგანე 15-20 მეტრი ყოფილიყო. დღემდე სხვადასხვა მონაკვეთზე შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 5-6 მეტრს აღწევს, ხოლო მათი სისქე 0.9-1.3 მეტრს შორის უნდა ყოფილიყო.

საკმაოდ დიდი ზომის ნაეკლესიარი ძლიერაა დაზიანებული. ზოგადი სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაგებობის დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს კედლები სრულადაა განადგურებული, ხოლო სამხრეთითა და აღმოსავლეთით სტრუქტურის ნაწილი, ძლიერ დაზიანებული სახით, მაგრამ მაინც, შემორჩენილია. სამხრეთით ვხვდებით შენობის ორ, ერთ ხაზზე არსებულ და ერთმანეთისგან დაცილებულ კედლის ნაშთს, რომელთა სიგრძე დამოუკიდებლად 4-5 მეტრია, ხოლო სიმაღლე 4 მეტრამდე აღწევს. ეს უნდა ყოფილიყო ტაძრის სამხრეთი კედელი, რომელიც სადღეისოდ მხოლოდ პერანგშემოცლილი დუღაბის სახითაა მოღწეული. აღმოსავლეთით კი იკითხება საკურთხევლისა და მის გვერდით არსებული პასტოფორიუმების ნაშთები. აქედან სამხრეთი პასტოფორიუმი, სადიაკვნე, დაკარგულია და მხოლოდ აფსიდის სამხრეთ კედელზე შერჩენილი ბუდეების მიხედვით შეიძლება მისი ზოგადი ზომების განსაზღვრა. საკურთხეველი ნაწილობრივაა შემორჩენილი – განირჩევა

აფსიდი, სადაც ქვედა ნახევარზე პერანგის წყობაცაა შემორჩენილი და მის ჩრდილოეთ მხარეს არსებული სამკვეთლო, რომელში შესასვლელიც არ არსებობს ძეგლის ღია მხრიდან. საკურთხევლის აფსიდი და მისი მიმდებარე კედლები მეტი დაცულობით ხასიათდება – აღნიშნულ მონაკვეთზე კედლების სიმაღლე 5-6 მეტრს აღწევს. აფსიდა შუა მონაკვეთზე გახსნილია, ჩამოშლილია წყობის ის ნაწილი, სადაც სარკმელი უნდა ყოფილიყო მოწყობილი. ასევე დაკარგულია კონქი და საერთოდ აფსიდის ზედა ნახევრის მომპირკეთებელი წყობა. შუაზე გახლეჩილი აფსიდის ქვედა კედელი მოგვიანო წყობით სანახევროდაა შევსებული. ჩრდილოეთი პასტოფორიუმი, სამკვეთლო სრულადაა დაფარული თანამედროვე მშენებლობით – დასავლეთიდან მას მიდგმული აქვს სახლი, ხოლო აღმოსავლეთიდან სამეურნეო დანიშნულების სათავსი. ამდენად, მასში მოხვედრა მეპატრონის გარეშე შეუძლებელი შეიქნა და საბოლოოდ ვერც მოხერხდა. შესაძლებელი გახდა მხოლოდ საკურთხევლის აფსიდში, მის ჩრდილოეთ რკალში არსებული ღრუს საშუალებით სამკვეთლოს დათვალიერება, საიდანაც გამოჩნდა ამ უკანასკნელის უაღრესად საყურადღებო გეგმარება და კედლის მოპირკეთებული წყობა. სამკვეთლო სადღეისოდ სამეურნეო დანიშნულებითაა გამოყენებული ისევე, როგორც საკურთხეველი, სადაც წვრილფეხა ცხოველთა სადგომია მოწყობილი.

არსებული მდგომარეობის მიხედვით, გადაჭრით ძნელია ნაგებობის თავდაპირველი გეგმარების ზედმიწევნით ზუსტი აღდგენა – შესაბამისად, რთულია ძეგლის ტიპის განსაზღვრა. უდიდესი ალბათობით, საქმე უნდა გვქონდეს გუმბათოვანი არქიტექტურის ნიმუშთან, რომლისგანაც მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. რთულია მსჯელობა შენობის ძირითადი კორპუსის, მისი გეგმისა და სივრცითი მოწყობის შესახებ, მაგრამ გადარჩენილი ფრაგმენტები საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ ნაგებობის აღმოსავლეთი სტრუქტურა და განვსაზღვროთ მისი ზოგადი სახე. ამრიგად, აღმოსავლეთით არსებული ნაწილების მიხედვით გამოდის, რომ ცენტრში მოცემულია დიდი, ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდა, რომლის ორ მხარესაც მოწყობილია პასტოფორიუმები. როგორც უკვე შევნიშნეთ, სადიაკვნე იმდენადაა დანგრეული, რომ მისი გეგმარების აღდგენაც კი შეუძლებელია, თუმცა შემორჩენილი სამკვეთლოს მიხედვით მისი აღდგენა არ წარმოადგენს სირთულეს. სამკვეთლოს სათავსი თითქმის სრული სახითაა მოცემული, სადაც ჩანს მისი გეგმარება – ეს გახლავთ ჯვრის ფორმაზე განვითარებული სათავსი, რომლის აღმოსავლეთი მხარე აფსიდით სრულდება, ხოლო დანარჩენი სამი მკლავი, თითო საფეხურით, მცირედაა ჩანაკვეთი კედლის სივრცეში, რაც სათავსს ჯვრის ფორმის გეგმარებას აძლევს. მოცემული „მოწყობა“ წარმოადგენს თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიის შიდა სივრცის მინი-მოდელს, სადაც აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე წაგრძელებული მცირე სათავსის ერთ მხარეს ნახევარწრიული აფსიდია, ხოლო მის მოპირდაპირედ მასში შემავალი კარი. ეს უკანასკნელი სადღეისოდ არ იკითხება, რადგან მას პირდაპირ ებჯინება მიშენებული სახლის კედელი. ის, რომ სათავსში შესასვლელი ერთადერთი კარი უთუოდ სამკვეთლოს დასავლეთ კედელში იყო მოწყობილი დასტურდება ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების სრული დაცულობის მიხედვით, სადაც არავითარი ღიობი არაა განთავსებული. რაც შეეხება აღმოსავლეთ კედელს, ნახევარწრიულ აფსიდას, მისი ქვედა ნაწილი, რაღაც დროს ჩამოშლილ იქნა, ხოლო ამჟამად, მოგვიანო კედელია ამოყვანილი, შიგნით გაჭრილი კარით. შესასვლელის დატანის შესაძლებლობა მხოლოდ დასავლეთით რჩება და ის სწორედ ამ არეზე უნდა ყოფილიყო, რომლის საშუალებითაც ეს უკანასკნელი ტაძრის ცენტრალურ კორპუსს, მის გვერდით მკლავს დაუკავ-შირდებოდა. სამკვეთლო მაღალი დაცულობისაა, სადაც ფიქსირდება, როგორც ზოგად-სივრცითი გადაწყვეტა, ისე მისი მხატვრული გაფორმება და ქვის მოპირკეთება. სათავსის კედლები შემოსილია რუხი ფერის, კარგად თლილი და ოსტატურად დამუშავებული, საშუალო ზომის კვადრებით, სადაც დაცულია რიგების ჰორიზონტალურობა. გადარჩენილია აფსიდის კონქის წყობა, რომლის თავზეც მოცემულია ნახევარწრიული ფორმის ორსაფეხუროვანი თაღი, ხოლო მის თავზე მცირე შვერილობის შუბლი. ანალოგიური გადაწყვეტისაა სამივე მკლავი, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მათში თაღები მხოლოდ ერთსაფეხუროვანია. ყველა თაღი კუთხის არეებზე ნაკვეთ, პროფილირებულ თარო-კაპიტელს ეყრდნობა, ხოლო ჯვრული კამარის ცენტრალურ ღერძებზე, სათავსის გეგმარების დამხრობით, მოცემულია მცირე სიმაღლის, სპეციალურად შერჩეულ-მორგებული ქვის წყობით გამოყვანილი, რელიეფური ჯვარი. ვფიქრობთ, რომ ანალოგიური გადაწყვეტის უნდა ყოფილიყო

სადიაკვნეც, სადაც მხოლოდ მცირე ფრაგმენტები მიუთითებს ამას. რაც შეეხება ტაძარს, მთავარ კორპუსს და მის მიმართებას აღმოსავლეთით შემორჩენილ სამნაწილედ საკურთხეველთან, ეს სამომავლო კვლევის საგანია.

ძლიერი დაზიანების მიუხედავად შესაძლებელი ხდება გარკვეული დასკვნების გაკეთება, რომელიც ნაგებობის ზოგად-გეგმარებით საკითხს და მის დათარიღებას შეეხება. აღმოსავლეთით შემორჩენილი სტრუქტურის, სამნაწილედი საკურთხევლის და მისი მოწყობის პრინციპების, მიხედვით დგინდება, რომ ნაგებობა გუმბათოვანი უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, სამხრეთი კედლის შემორჩენილი ნაწილის მიმართების მიხედვით, აღმოსავლეთით დაფიქსირებულ ნაწილებთან, თვალსაჩინო ხდება შენობის საერთო მასშტაბი. დასახელებული მონაკვეთები, მათი გეგმარებითი თავისებურება, სივრცითი კონსტრუირება, შემორჩენილ სათავსთა დამოუკიდებელი სივრცით-გეგმარებითი გააზრება, კედლების თაღოვანი სისტემები, კაპიტელებისა და კონქის გადაწყვეტა თუ შემორჩენილ არეებზე ქვის წყობა გვაფიქრებინებს, რომ საქმე უნდა გვქონდეს შუა საუკუნეების გუმბათოვანი არქიტექტურის გამორჩეულ ნიმუშთან, რომლის აგების დროითი ინტერვალი შემდეგი სახით შეიძლება განისაზღვროს - VII-X საუკუნეები, თუმცა ეს მხოლოდ წინასწარული, მოსაზრებაა. აუცილებელია ნაგებობის სამომავლო, ინტერდისციპლინური კვლევა, რათა დადგინდეს მისი კონკრეტული აგების ხანა და საერთო არქიტექტურული სახე.

ეკლესია მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ეკლესიის საერთო ხედი

ფოტო 2. ეკლესიის ხედი აღმოსავლეთით

ფოტო 3. ეკლესიის ხედი სამხრეთიდან

ფოტო 4. ეკლესიის სამხრ. კედლის ფრაგმენტი

ფოტო 5, 6. ეკლესიის ინტერიერი, სამკვეთლო

ბასიანი, ეკლესია

ისტორიული ბასიანი, თანამედროვე ქალაქი ფასინლერი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Pasinler, Pasinler İlçesi, Erzurum İli). 39.979119 41.677164.

ქალაქის ცენტრში, ძველ უბანში, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, მდებარეობდა ეკლესია (39°58'44.85"N; 41°40'37.79"E). ამჟამად ეკლესიის ადგილას ახალი (სავარაუდოდ XIX-XX სს-ის მიჯნა) ჯამეა აღმართული, სადაც განთავსებულია წარწერა, რომ ამ ადგილას ძველი ნაგებობა იყო, თუმცა ეკლესია ნახსენები არაა.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ეკლესიის ადგილას მდებარე ჯამე, საერთო ხედი ფოტო 2. ჯამეზე განთავსებული წარწერა

ბასიანი, ციხე

ისტორიული ბასიანი, თანამედროვე ქალაქი ფასინლერი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Pasinler, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა განთავსებულია ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში შემაღლებული მთის თხემზე, ცენტრიდან დაახლოებით 400-500 მეტრის მოშორებით, ცენტრალური გზის პირას (39°58'45.59"N; 41°40'51.32"E). საკმაოდ მასშტაბური ციხე-სიმაგრიდან სადღეისოდ მხოლოდ ნაწილია დარჩენილი, თუმცა მისი სავარაუდო ზომების წარმოდგენა შესაძლებელია გადარჩენილი ნაშთების გათვალისწინებით. ამრიგად, ციხის დაახლოებითი სიგრძე 200-250 მეტრი, ხოლო სიგანე 50-70 მეტრი უნდა იყოს. შემორჩენილია ნაგებობის მომსაზღვრელი გალავნის კედლები, რომელთა საშუალო სიმაღლე 4-5 მეტრია, თუმცა გვხვდება უფრო მაღალი და დაბალი ნიშნულებიც. საყურადღეობოა, რომ თავისთავადაც რამდენიმე სამშენებლო ფენის შემცველი ციხე-სიმაგრე, თანამედროვე რესტავრაცია-გამაგრების კვალსაც ატარებს.

მიუხედავად სარესტავრაციო სამუშაოებისა, დაზიანებულ-განადგურებულია ძეგლის სხვადასხვა მონაკვეთი, როგორც გალავნის არეზე, ისე მის შიდა პერიმეტრზე, სადაც ფრაგმენტულად იკითხება სხვადასხვა დანიშნულების შენობის გეგმარება. დაზიანებულ ნაწილთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე, სადაც გარღვეულია ციხის მომფარგვლელი გალავნის ერთი ნაწილი. ტერასულად განვითარებული სიმაგრის ქვედა საფეხურის წყობები, რომლებიც კლდოვან რელიეფს იყო დაყოლებული ან ბოლომდეა განადგურებული, ან მათი მხოლოდ მცირე სეგმენტებია დარჩენილი. საერთო სახით, ორი დონით წარმოდგენილი სიმაგრე, სადაც არსებობდა ქვედა ციხე და ციტადელი, ძლიერი დანაკარგებითაა მოღწეული დღემდე. დაზიანების ხარისხი გაცილებით დიდია ქვედა ციხის გალავნის შემთხვევაში, სადაც მხოლოდ ფრაგმენტები იკითხება. გამაგრების ციტადელი მოიცავდა სხვადასხვა დანიშნულების შიდა სათავსებს, რომელთა კვალიც სრულებითაა წაშლილი – ჩანს მხოლოდ მცირე მონაკვეთები, გეგმის დონეზე დარჩენილი კედლის ფრაგმენტები, რომელთა მიხედვითაც რაიმე ტიპის არქიტექტურაზე მსჯელობა შეუძლებელია.

როგორც აღინიშნა, ნაგებობა ორი იარუსისგან შედგებოდა – კლდოვან ბაქანზე აგებული ციხე-სიმაგრე მოიცავდა ქვედა ციხეს, რომელიც ძირითადად მთავარი ნაწილის დამცავ ფუნქციას

ასრულებდა და ციტადელს, სადაც განთავსებული იყო სიმაგრის ძირითადი ნაწილი. ქვედა ციხე, რომელიც ერთგვარი ბარიერის ფუნქციას კისრულობდა მოიცავდა გალავანს და მის პერიმეტრზე არსებულ სათავდაცვო ინფრასტრუქტურას, ხოლო ციტადელი და მისი მძლავრი გალავანი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავდაცვითი ელემენტია ნაგებობისა. ქვედა ციხის გალავანი ციტადელს თითქმის სრულად უვლიდა გარს, თუმცა აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი კედლები შედარებით უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო, რადგან სამხრეთით ნაგებობა ისედაც მაღალი და ძნელად მისასვლელი კლდოვანი ქარაფითაა დაცული. ქვედა ციხის კედლების პერიმეტრზე, გარკვეული ინტერვალებით მოცემულია მართკუთხა გეგმარების კოშკ-კონტრფორსები და შესასვლელი კარიბჭის ფრაგმენტები. გაცილებით უფრო შთამბეჭდავი და მაღალი დაცულობისაა ციტადელი და განსაკუთრებით მისი კარიბჭე, რომელიც რამდენიმე გადაკეთების კვალს ატარებს. შესასვლელი მოწყობილია მართკუთხა გეგმარების ორ მძლავრ კოშკს შორის, სადაც ძირითადი კედლის ზედაპირიდან კოშკის არეები წინაა გამოზიდული, მათ შორის კი თაღის სახით გამართულია პარადული შესასვლელი. კოშკები მოიცავს სარკმლებს და მაღალ ქონგურებს, ხოლო შიდა მხარეს მათში განთავსებულია სათავდაცვო ფუნქციის მქონე სივრცე-სათავსები. ნაგებობის ციტადელის კედლების მშენებლობისას გამოყენებულია სხვადასხვა მასალა, თუმცა ყველა მათგანი დუღაბის სქელ ფენაზეა ამოყვანილი – ჩანს რიყის, ფლეთილი და კარგად დამუშავებული ქვიშაქვა. კედლების სისქე მონაკვეთების მიხედვით ვარირებს და ზოგან 3 მეტრსაც აღწევს. ციტადელის მომსაზღვრელ გალავანს მართკუთხა გეგმარების რამდენიმე მძლავრი კოშკ-კონტრფორსი დაუყვება, რომლებიც გარკვეული ინტერვალის დაცვითაა ჩალაგებული. ციტადელის ბუნებრივი რელიეფი მოიცავს ჩრდილოეთით არსებულ კიდევ უფრო მაღალ კლდოვან შვერილს, რომელზეც შერჩენილია ციხის გამაგრებითი სისტემის კვალი. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით სიმაგრის მხოლოდ ნახევარზე შეიძლება მსჯელობა, თუმცა შემორჩენილ ნაწილებს შორის იკითხება ქვედა ციხე კედლებითა და კედლებში დაყოლებული კოშკ-ბურჯებით, ქვედა ციხის კარიბჭის ნანგრევები, ციტადელი, მისი კარიბჭე და ქონგურებიანი კოშკები, შიდა პერიმეტრზე მიშენებული სათავსები, სათვალთვალო და სათავდაცვო კოშკები, მცირე შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთით, გალავნის კიბეები და სამოძრაო ბაქნები, სხვადასხვა დანიშნულების შიდა სათავსები, სარკმლები, თავდაცვითი ღიობები და ა.შ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საუკუნეთა განმავლობაში მრავალგზის გადაკეთებული ციხე-სიმაგრე რეგიონის უმძლავრეს თავდაცვით სისტემას წარმოადგენდა.

ციხეს ჰქონდა ურარტული წარწერა, რომელიც ამჟამად სტამბულის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება.

ციხე მოხსენიებულია სხვადასხვა ლიტერატურაში.

ფოტო 1. ციხის საერთო ხედი

ფოტო 2. ციხის საერთო ხედი დასავლეთიდან

ფოტო 3. ციხის საერთო ხედი სამხრეთიდან

ფოტო 4. ციხის სამხრ. კარიბჭე

ფოტო 5. ციხის ინტერიერი, სამხრ. კარიბჭე

ფოტო 6. ციხის ინტერიერი, სამრ. კედელი

ფოტო 7. ციხის ინტერიერი, ხედი სამხრეთ-დასავლეთით

გერდეკკაია, კოშკი

ისტორიული ბასიანის სოფელი გერდეკკაია, თანამედროვე გერდეკკაია, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Gerdekkaya, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის ცენტრიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 0.2 კილომეტრის მოშორებით (39°54'12.18"N; 41°29'03.60"E). ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ამ ადგილას კოშკი მდგარა, რომელიც სადღეისოდ აღარ არსებობს. ადგილი, სადაც მოსახლეობა ნაგებობის არსებობას მიუთითებს, თავის მხრივ, საკმაოდ მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტია, რომელიც ხეობას და ირგვლივ განთავსებულ სოფლებს აკონტროლებს. თავად კლდოვანი მასივი თავისი ფორმითა და ბუნებრივი მახასიათებლებით აშკარად მიუთითებს მის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე.

კოშკი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. კლდე, სადაც მდებარეობდა კოშკი

დელილერი, ნაგებობა

ისტორიული ბასიანის სოფელი დელილერი, თანამედროვე იღიტფინარი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yiğitpınarı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა განთავსებულია სოფლის ცენტრში (40°02'34.38"N; 41°36'02.46"E), თუმცა იგი სხვადასხვა მხრიდან მოსაზღვრულია ახალი მშენებლობის ფენებით. შემორჩენილი, მართკუთხა გეგმარების შენობის დიდი ნაწილი დანგრეულია, თუმცა არსებული მონაცემების მიხედვით შესაძლებელია მისი ზოგადი პროპორციებისა და ზომების დადგენა. ძირითადი კვადრატის სიგრძე დაახლოებით 8-10 მეტრია, ხოლო სიგანე 5-6 მეტრი. ნანგრევი სიმაღლეში 3 მეტრამდე აღწევს.

ძეგლი ძლიერაა დაზიანებული – ჩანს ჩამოქცეული სახურავისა და კედლების ზედა მონაკვეთები, რომელიც ამჟამად მცენარეებითაა დაფარული. შენობა არაა მოქმედი, ამდენად, მოუვლელობის გამო კიდევ უფრო ზიანდება ძეგლის სხვადასხვა მონაკვეთი, მათ შორის ინტერიერიც. ძეგლს ერთი მხრიდან მიშენებული აქვს რიყისა და ფლეთილი ქვის წყობით შედგენილი კიდევ ერთი შენობა, რომელიც, ამჟამად, მთლიანად ჩაქცეულია.

მართკუთხა გეგმარების ძირითადი სივრცე და მის გვერდით მიდგმული ასევე მცირე ზომის სათავსი ადგილობრივი მოსახლეობის თქმით ჯამე უნდა ყოფილიყო, თუმცა სადღეისოდ დაკეტილია – ამასთანავე ამოშენებულია მასში შესასვლელი სამი კარიდან ორი. შენობა ნაგებია მოზრდილი ზომის, კარგად დამუშავებული სხვადასხვა ფერისა და მოცულობის კვადრებით. საყრდენად მცირე ზომის ქვებით შედგენილი, დუღაბზე ნაწყობი, საძირკველია წარმოდგენილი, რომელიც თლილი ქვის წყობას გრძელი, მართკუთხა ფორმის ხის ძელით გამოეყოფა. ნაგებობის ერთ ფასადზე, სადაც ხსენებული ქვის განლაგებაა მოქცეული დატანებულია ორი მართკუთხა ფორმის სარკმელი, რომლებშიც ხის ჩარჩო და რკინის რიკულებია ჩასმული. ნაგებობა სამი მხრიდან მოქცეულია განაშენიანებაში, რის გამოც არ იკითხება მისი სხვა ფასადები. ძეგლის შემორჩენილი ძველი კედლის კარნიზად მასიური ქვით ნაგები საფეხუროვანი კვეთაა წარმოდგენილი, ხოლო კარნიზის ქვემოთ იკითხება ნახევარ-მეტრიანი ინტერვალით, ერთმანეთის გვერდით ჩალაგებული, კვადრატული შვერილობები, რომელთა ზედაპირიც გაფორმებულია მარტივი პროფილირების ხაზოვანი ჩანაჭდევებით. დეკორის ელემენტი მართკუთხა ფორმაზე განვითარებულ სპირალის მოტივს წარმოადგენს - მათი საერთო რაოდენობა, ძეგლზე შემორჩენილი სახით, ხუთია, თუმცა შესაძლებელია ნაწილი დაკარგული იყოს. ნაგებობის ყველა ღიობი მინაშენის ჩათვლით მართკუთხა ფორმისაა – აქედან სამი სარკმელია, რომლებიც ერთმანეთისგან გარკვეული ინტერვალითაა განთავსებული და თითოეული მათგანი დამოუკიდებელ, ერთიან ქვაშია გამოკვეთილი, რომლებშიც ხის ჩარჩოებია ჩასმული.

დღეის მდგომარეობით ნაგებობის სრული არქიტექტურული სახის წარმოდგენა ჭირს ისევე, როგორც მისი თავდაპირველი ფუნქციისა. გვაქვს ეჭვი, რომ აღნიშნული შენობა თავდაპირველად ეკლესიას წარმოადგენდა და შემდგომ იქნა გადაკეთებული მეჩეთად, თუმცა ეს მხოლოდ მოსაზრებაა და მას დამატებითი კვლევების გარეშე ვერ დავადასტურებთ. საერთო გეგმარებითი თუ სივრცითი კომპოზიციით ნაგებობა არ ავლენს ჯამესათვის სახასიათო გადაწყვეტის თავისებურებებს, თუმცა საყურადღებო და აუცილებელია იმ დეტალების ანალიზი, რაც ინტერიერში შეიძლება იყოს, რომლის ნახვის საშუალება ჩვენ არ მოგვეცა. გარდა ამისა, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ძეგლის თავდაპირველი ფუნქცია საცხოვრებელი ყოფილიყო.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ნაგებობის საერთო ხედი

ფოტო 2. ნაგებობის სამხრ. კედელი

ფოტო 3. ნაგებობის ინტერიერი

ფოტო 4. ნაგებობის სამხრ. კედელი, დეკორირებული კარნიზი

ეზირმიკი, ძველი თურბე

ისტორიული ბასიანის სოფელი ეზირმიკი, თანამედროვე ოვაქოი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Ovaköy, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობის ნანგრევი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით, გაშლილ ველზე, სასაფლაოს ტერიტორიაზე (39°57'59.38"N; 41°29'40.92"E). სასაფლაო მოქმედია და მოიცავს ახალ საფლავებსაც, ხოლო ძეგლი განთავსებულია სახნავ-სათესი მინდვრებით გარემოცულ ღია სივრცეში, სოფელში მიმავალი ცენტრალური გზის პირას. ძეგლის შემორჩენილი ნაწილის მიხედვით შესაძლებელია მისი საერთო პროპორციებისა და ზომების ნაწილობრივი განსაზღვრა. არსებული წრიული გეგმარების ნანგრევის დიამეტრი დაახლოებით 5-5.5 მეტრია, ხოლო მისი კედლების შემორჩენილი, მაქსიმალური სიმაღლე 3-3.5 მეტრს აღწევს.

ძლიერ დაზიანებული და სადღეისოდ თითქმის სანახევროდ შემორჩენილი შენობა მიწის ქვეშაა მოქცეული. საყურადღებოა, რომ ძეგლი მიწის საფარისგან გაწმენდილია, ხოლო ჩატარებული სამუშაოების მასშტაბი, გასუფთავების პრინციპი და საერთო დამოკიდებულება აშკარად გულისხმობს პროფესიულ ჩარევას. ამდენად, შენობის გაწმენდითი სამუშაოები, სავარაუდოდ არქეოლოგთა მიერ ან მათი უშუალო მეთვალყურეობით უნდა მომხდარიყო. მიუხედავად ამისა, ჩანს სრულებით უსის-

ტემოდ მიმობნეული კედლების ნაშთები – მათ შორის, რიყის ქვისა და დუღაბიანი აგურის საკმაოდ მოზრდილი სეგმენტები.

არსებული მასალის საფუძველზე სრულებით ცალსახაა ნაგებობის გეგმარება და ფუნქცია – ის წრიული მოხაზულობის ოსმალურ აკლდამას წარმოადგენდა, რომლის ზედა მონაკვეთიც სადღეისოდ დაკარგულ-დაშლილია, ხოლო ქვედა ნაწილი, რომელიც მიწით იყო დაფარული, გათხრების შედეგად იქნა გამოვლენილი. იკითხება 3-3.5 მეტრის სიმაღლეზე დარჩენილი აკლდამის ძირითადი კორპუსის „ქვედა სართულის“ კედლის წყობა, სადაც საძირკვლის დონეზე მოწყობილი კედლები რიყის ქვის რეგულარული განლაგებით, ჰორიზონტალური რიგების დაცვით, საკმაოდ მაღალი დაცულობითაა შემორჩენილი. მიწის დონე აკლდამის შიდა და გარე პერიმეტრებზე განსხვავებულია – ინტერიერში ნიადაგი ჩაჭრილია და საერთო ზედაპირიდან დაახლოებით 2.3-2.7 მეტრითაა ჩანაკვეთი, ხოლო კედლების წყობა მიწის დონიდან დაახლოებით 0.5-1.2 მეტრზე ამოდის. რიყის ქვის სასაძირკვლე წყობას საერთო მიწის დონის სიმაღლიდან ებმის კარგად თლილი, მოწესრიგებული განლაგების, კვადრების ერთი რიგი, რომლის თავზეც ასევე თლილი ქვის წყობებია განთავსებული, თუმცა უკვე არეული რიგებითა და კვადრების განსხვავებული ზომებით. ამდენად, ერთგვარი სალტის წყობის ქვედა მხარეს რიყის, ხოლო ზედა მხარეს ფოროვანი ქვით ნაგები კედლებია მოცემული. ნაგებობის გასუფთავება-გაწმენდითი სამუშაოების დროს ამოღებული ქვა-ღორღი და კედელთა ფრაგმენტები ირგვლივაა მიმოფანტული.

წრიული გეგმარების აკლდამის ინტერიერში დაფიქსირებულია და, ამჟამად, განირჩევა ხუთი ჩასასვენებელი სათავსი – ესაა წაგრძელებული, მართკუთხა ფორმის, დაახლოებით 0.5-0.8 მეტრის სიმაღლის აგურის ან თლილი ქვის წყობით შედგენილი კედლები, რომლის შიგნითაც უშუალოდ ხდებოდა მიცვალებულის ჩასვენება. განთავსებული სამარხების ფორმები, კედელთა წყობა, მასალა და საერთო პროპორციები მიგვანიშნებს ქრონოლოგიურად განსხვავებული ეპოქის მშენებლობაზე. ხუთი აკლდამიდან ოთხი დუღაბზე ნაწყობი აგურის კედლებითაა ნაშენი, ხოლო ერთი, შიდა პირზე გასწორებული, თლილი კვადრებით. ინტერიერის მოცულობის გათვალისწინებით, შესაძლებელია არსებულიყო კიდევ რამდენიმე სამარხი, თუმცა დღემდე მხოლოდ ეს ხუთია მოღწეული.

ნაგებობის ნგრევის მასშტაბის, მისგან დარჩენილი ნაშთების სიმწირის, არსებული კედლის წყობის „უსახურობის“ გათვალისწინებით რთულია ძეგლის სავარაუდო თარიღის განსაზღვრაც კი, აკლდამის სამარხთა რაოდენობა და მათი განსხვავებული ქრონოლოგიური დიაპაზონი გვაფიქრებინებს, საქმე გვაქვს არაუგვიანეს XVIII საუკუნის მშენებლობასთან. დამატებითი არქეოლოგიური კვლევის გარეშე ნაშთის მშენებლობის ხანის განსაზღვრა მეტი სიზუსტით შეუძლებელია, მით უფრო, რომ ადგილზე არც შენობის ძირითადი კორპუსის წყობის ნაწილებია შემორჩენილი.

2019 წლის ზაფხულში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აღნიშნულ აკლდამაზე წარმოებდა არქეო-ლოგიური გათხრები, რომლის კვალიც ნაგებობას და მის ირგვლივ არსებულ ტერიტორიას დღესაც ეტყობა. თურქეთის საელჩოს განცხადებით მიკვლეულ იქნა ალაედინ ქეიყუბად II-ის და მისი დედის, გურჯი ხათუნის, იგივე თამარ დედოფლის სარკოფაგები, რომლის შესახებაც საელჩო დამატებით მოკვლევას აანონსებდა, თუმცა, რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, შემდგომ ამ საკითხის დადას-ტურება ან უარყოფა არ მომხდარა. გურჯი ხათუნი, დედოფალი თამარი (XIII ს.) საქართველოს მეფის რუსუდანისა და ერზრუმის გამგებლის ტიღრილის ძის, მოღის ედ-დინის ასული იყო. ის 1236 წელს მიათხოვეს რუმის სულთან ყიას ად-დინ ქეი ხუსრევ II-ს. ცნობილია ისიც, რომ იმავე 1236 წელს მოჭრილ მონეტაზე სიმბოლურად (მზე ლომის ზოდიაქოში) სწორედ მისი სახე ამოატვიფრინა სულთანმა. სულთნის გარდაცვალების შემდგომ რუმის გამგებლობა ხელთ იგდო ვეზირმა მუინ ად-დინ სულეიმან ფერვანემ და ქვრივი თამარი ცოლად შეირთო. 1277 წელს მონღოლმა ნოინებმა ფერვანე მოკლეს, ხოლო თამარი იძულებული გახდა კონია დაეტოვებინა. იმის გამო, რომ ხუსრევმა თავის მემკვიდრედ თამართან შეძენილი შვილი ალაედინ ქეიყუბად II დაასახელა, ტახტის მოცილეებმა ისიც მოკლეს. რაც შეეხება თავად თამარ დედოფალს, მისი გარდაცვალებისა და ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ დადასტურებული ინფორმაცია არ არსებობს. არის ვარაუდი, რომ ის კონიაში გარდაიცვალა, თუმცა ზოგი მოსაზრებით მან მოახერხა საქართველოში დაბრუნება და აქ განისვენებს.

თუკი ისტორიული წყაროების ანალიზს დავეყრდნობით, გურჯი ხათუნის ვაჟი მასზე ადრე გარდაიცვალა, ხოლო თავად თამარის გარდაცვალების დრო და ადგილი უცნობია. ამასთანავე ანგარიშგასაწევია ჩვენ მიერ ხსენებული აკლდამა და მისი არქიტექტურა, რომელიც თითქოს ასე ადრეულ პერიოდზე არ მიუთითებს.

ამდენად, ისტორიული წყაროებისა და თავად აკლდამის არქიტექტურული რაგვარობის გათვალისწინებით საეჭვოა დადასტურდეს ინფორმაცია გურჯი ხათუნისა და მისი შვილის აღნიშნულ აკლდამაში განსვენების შესახებ.

თურბე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. თურბეს საერთო ხედი

ფოტო 2. თურბეს ინტერიერი, ქვის წყობა

ეიუფლერი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ზემო ეიუფლერი, თანამედროვე ზემო ეიუფლერი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Eyüpler, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრის მოშორებით, მდინარე არაქსის მარცხენა მხარეს (39°46'53.35"N; 41°47'06.22"E). ძეგლის ადგილზე გადამოწმება ვერ მოხერხდა. თურქული ლიტერატურის მიხედვით [ჯეილანი და სხვ., 2018, ერზინჯანის და ერზურუმის პროვინციების 2016 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.], ნაგებობის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია საშუალო ზომის, უხეშად დამუშავებული ქვით ნაგები კედლის მცირე ფრაგმენტები. კედლები მშრალი წყობისაა. ნაგებობის დაახლოებითი ზომებია: სიგრძე 30 მეტრი, ხოლო სიგანე 20 მეტრი. თურქი მკვლევარი ნაგებობას ციხეს უწოდებს.

ფოტო 1. ნაგებობის საერთო ხედი (წყარო: ჯეილანი და სხვ., 2018)

ერზურუმ-ფასინლერის გზის მე-12 კილომეტრი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი

კომპლექსი მდებარეობს ისტორიულ ბასიანში, მდინარე ფასიანის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე ქალაქების ერზრუმ-ფასინლერის მაკავშირებელი ცენტრალური გზის მე-12 კილომეტრზე, გზის პირას, გზიდან ჩრდილოეთით 100-150 მეტრში (39°57'02.09"N; 41°22'42.04"E). არსებული კომპლექსი საერთო სახით საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს მოიცავს და შედგება მთის ფერდზე შეფენილი გამოქვაბულთა რამდენიმე ჯგუფისგან. კლდოვანი მასის ინტენსიური შლის გამო, კომპლექსის სრული სახის და მისი თავდაპირველი მასშტაბის წარმოდგენა სადღეისოდ თითქმის შეუძლებელია – მთის ფერდი მოიცავს, როგორც ნანგრევებსა და დაშლილ ქვაბულებს, ისე ნახევრად შემორჩენილ სათავსებს.

დაზიანების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ იოლად შლადი კლდოვანი ქანები დროთა განმავლობაში თითქმის სრულად გაქრა – ამდენად, უზარმაზარ მასივზე განთავსებული გამოქვაბულები თითქმის სრულად განადგურდა. საყურადღებოა, რომ კომპლექსი თითქმის მთის ფერდის ძირში იწყება და სრულდება მთის წვერზე – საერთო სიგრძე დაახლოებით 500-700 მეტრი უნდა ყოფილიყო, ხოლო სიგანე 200-300 მეტრი.

მთის ფერდზე შეფენილი გამოქვაბულების კომპლექსი, სადღეისოდ არსებული მონაცემების საფუძველზე ორ პირობით ნაწილად შეიძლება დაიყოს – ქვედა და ზედა. აქედან ქვედა გაცილებით უფრო რთულ მდგომარეობაშია და, გარდა კლდოვანი მასივის შლისა, აშკარაა ძლიერი გამოქარვის პროცესი, რის შედეგადაც ჯერ კიდევ შემორჩენილ რამდენიმე ქვაბულს სახე სრულად აქვს დაკარგული. მოცემული კლდის მცირე ფრაგმენტის არეზე ჯერ კიდევ შესაძლებელია მინიმუმ ოთხი ქვაბულის ამოკითხვა. მათგან ორი ძლიერაა დაზიანებული და მხოლოდ მცირე ელემენტები განირჩევა, ხოლო ორი შედარებით მოზრდილია. მოცემული ორი გამოქვაბული ერთმანეთის თავზე, სართულებადაა გადაწყვეტილი. ზედა სართული პირობითად ორი ნაწილისგან შედგება, სადაც გვხვდება ერთგვარი წინკარი, შესასვლელი სივრცე, რომელიც ქვედა სართულის გამოქვაბულის სახურავზეა განთავსებული ბანური პრინციპით, ხოლო სიღრმეში ნაკვეთია მომცრო სათავსი. ქვაბის კედლებზე უხვად იკითხება მცირე ზომის ნიშნები, ხვრელები და ერთგან, ოდესღაც არსებული კარის საკედურის მიმანიშნებელი ჩანაჭდევები. ქვედა სართულის სათავსი მცირე ზომისაა, თუმცა მისი შესასვლელის თავზე შემორჩენილია კარის თავდაპირველი ფორმა და ზომები – განირჩევა მართკუთხა, კუთხეებმომრგვალებული, დაახლოებით 0.9-1.1 მეტრის სიმაღლის კარი. კომპლექსის მეორე სართულზე ასასვლელად გამოყენებული ყოფილა კლდეში ნაკვეთი რამდენიმე საფეხუროვანი კიბე, რომელიც დაზიანების მიუხედავად, დღესაც ფუნქციურია.

მთის ფერდის ზედა, მთავარ მონაკვეთამდე ვხვდებით კიდევ რამდენიმე კლდოვან შვერილს, სადაც აღიქმება მცირე ფრაგმენტები ხელით ნაკაფი გამოქვაბულებისა თუ მცირე ზომის სხვა ნიშოვანი ელემენტებისა. ჩანს ასევე კლდეზე დაყოლებული ღარების სეგმენტები, რაც შესაძლოა თავდაპირველად არხს, არხებს წარმოადგენდა. ამავე მონაკვეთზე შემორჩენილია მხოლოდ მცირე ზომის კლდოვანი შვერილი, რომელიც ნგრევისა და გამოქარვის შედეგად სრულადაა დაშლილი, თუმცა არსებულ უმცირეს მონაკვეთზე მაინც იკითხება ქვაბულის კარის შიდა კუთხეებზე დატანილი კარის საკედური ხვრელები. აღნიშნული მცირე დეტალი ის ერთადერთი მანიშნია, რომელიც მოცემული, „დამდნარი“ კლდის შვერილის ოდესღაც არსებულ ფუნქციურ დატვირთვაზე, მძლავრ ქვაბულზე, მიგვანიშნებს.

წარმოდგენილი უზარმაზარი კომპლექსი სრულდება კლდოვანი მთის თხემზე ჰორიზონტალურად, ოთხ იარუსად განლაგებული გამოქვაბული სათავსების ერთიანი სისტემით, სადაც მინიმუმ 16 ქვაბია დაფიქსირებული. კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ეს ნაწილიც ძლიერაა დაზიანებული, თუმცა ამ შემთხვევაში შედარებით მეტი სათავსი და მათი საერთო პროპორცია იკითხება. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ მონაკვეთზე, სადაც კლდის საფასადო ნაწილის სიმაღლე დაახლოებით 7-9 მეტრია, მომწყდარია წინა მხარე და შესაბამისად კედლის მიღმა არსებული, ოდესღაც დაფარული, ქვაბულები სადღეისოდ „გაშიშვლებულია“. მოცემულ შემთხვევაში ნაკვეთი სათავსები იარუსებადაა განლაგებული და გვხვდება სენაკთა სამი სართული და ერთი მიწისქვეშა დონე, რომლის დანიშნულებაც უცნობია – მასში ჩასვლა უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა, თუმცა საფიქრებელია, რომ ეს საერთო სამეურნეო ნაწილი ყოფილიყო. რაც შეეხება ზედა სამ იარუსს, აქ გვხვდება ერთმანეთთან დაკავშირებული და დამოუკიდებელი სენაკ-

სათავსების დიდი ჯგუფი. პირველ სართულზე ჩანს დაახლოებით რვა ქვაბის არსებობის კვალი, რომელთაგან ნაწილი ძლიერაა დაზიანებული და მათი კიდურა, სიღრმის მუცლებია შემორჩენილი – ნათლად იკითხება ორი, ერთმანეთის გვერდით მდებარე და მცირე, კლდეში ნაკვეთი, კედლის შვერილით გამოყოფილი სივრცე, რომელთა შიდა პირზეც აღიქმება მცირე ხვრელები, რაც შესავლელი კარის ან რაიმე ტიხრის ჩასამაგრებელი ბუდეები უნდა იყოს. მეორე იარუსის დონეზე, სადაც მოხვედრა სპეციალური აღჭურვილობის გარეშე შეუძლებელია, იკითხება დაახლოებით ექვსი სენაკის არსებობის კვალი. მათი ნაწილი დაზიანებული და ჩამოშლილია, თუმცა გვხვდება მართკუთხა ფორმის სათავსების დაახლოებით ნახევარი, ზოგან კი მთელი სივრცე. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყველა ეს სათავსი ერთმანეთთან დაკავშირებული იყო კარ-გადასასვლელებით, თუმცა ყველა მათგანი სადღეისოდ აღარ ფიქსირდება. ქვაბების ნაწილში მინიმუმ ორი სათავსი იკითხება, ხოლო სიღრმეში მიმავალი სივრცის მიღმა რა ხდება ამის დადგენა შეუძლებელია. ამავე მეორე იარუსის დონეზე ვხვდებით მართკუთხა გეგმარების, კუთხეებმომრგვალებულ სათავსს, რომლის ერთ კედელშიც ორი ნიშია ნაკვეთი, ხოლო მის უკან ჩანს საკმაოდ დიდი მოცულობის კიდევ ერთი, კლდეში გამოკვეთილი მართკუთხა სენაკი. მოცემულ სათავსსა და მის გვერდით არსებულ დიდ, ორსენაკიან, მონაკვეთს შორის მაკავშირებლად მოცემულია მცირე ზომის ქვაბი. ხსენებული ორსენაკიანი არე ერთმანეთისგან ნაწილობრივ იმიჯნება კლდეში ნაკვეთი სვეტის საშუალებით, მათ უკან კი იკითხება სივრცული ელემენტები, რომელთა სრული აღქმაც შეუძლებელია. მნიშვნელოვანი ნაწილი ქვაბებისა შემორჩენილია მეორე იარუსზე, სადაც კლდის შლის გამო ყველაზე მეტი დანაკარგია. აღნიშნულ მონაკვეთზე სათავსების მხოლოდ ნაწილი და ისიც ზედა არეები, ჭერებია დარჩენილი. ამ შემთხვევაში განირჩევა მინიმუმ ორი მართკუთხა სათავსი, რომლებიც ერთმანეთს მცირე ზომის კარ-გასასვლელით უკავშირდებოდა.

სხვადასხვა სათავსის სივრცეში კედლებზე აღინიშნება მცირე და დიდი ზომის ნიშოვანი კვეთილობები, მცირე ზომის ხვრელები და ასევე მომცრო კლდეში გამოღებულ-გახვრეტილი სამაგრები, რომლებიც შესაძლოა თოკების გამოსაბმელად ან კი რისამე დასაკიდად იყო გამოყენებული, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია.

საყურადღებოა, რომ დაკვირვების შედეგად საერთო კომპლექსის დანაკარგი თითქმის ნახევარი ან მასზე მეტია. აღნიშნული სენაკების სივრცეში, ჩვენი დაკვირვებით, არ ჩანს რაიმე საკულტო დანიშნულების სათავსი, თუმცა ის შესაძლოა ყოფილიყო კომპლექსის დაკარგულ მონაკვეთზე. ძეგლის საერთო პროპორციების, მისი დანიშნულებისა და თარიღის შესახებ კვლევების გარეშე საუბარი შეუძლებელია. ქვაბულები საჭიროებს ინტერდისციპლინურ, ხანგრძლივ კვლევას, რათა დადგინდეს მისი ფუნქცია თუ მშენებლობის მეტ-ნაკლებად ზუსტი დროითი დიაპაზონი.

კომპლექსი მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. კომპლექსის საერთო ხედი ჩრდილოეთით

ფოტო 2. კომპლექსის საერთო ხედი

ფოტო 3. გამოქვაბულთა იარუსები

ფოტო 4, 5. გამოქვაბულები

ვაღავირი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი

ისტორიული ბასიანის სოფელი ვაღავირი, თანამედროვე დუმანკაია, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Dumankaya, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

სოფლიდან სამხრეთით, დაახლოებით 2-2.5 კმ-ის მოშორებით, ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს კლდეში ნაკვეთი მღვიმეების არსებობაზე. ადგილობრივი მოსახლეობის მიხედვით საქმე გვაქვს კლდეში ნაკვეთ კომპლექსთან, რომლის ცალკეული ქვაბები შორიდანაც განირჩევა მასიური, კლდოვანი ფერდის ზედაპირზე. მიუვალობის გამო კომპლექსის დეტალური დათვალიერება ვერ მოხერხდა, თუმცა ხეობაში არსებული, საკმაოდ დიდი რაოდენობის კლდეში ნაკვეთი ქვაბულები, ზოგადი სახით საკმაოდ ახლოს დგას ვაღავირის კომპლექსთან.

კლდეში ნაკვეთი კომპლექსი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. კომპლექსის საერთო ხედი

ზემო კარაკალე, მეგალითური ციხე

ისტორიული ბასიანის სოფელი ზემო კარაკალე, თანამედროვე კარაკალე, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Karakale, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის განაპირა ტერიტორიაზე, ცენტრიდან დაახლოებით 300-400 მეტრის მოშორებით, დასავლეთ ნაწილში, მცირედ შემაღლებულ ბორცვზე (40°07'12.17"N; 41°37'31.10"E). ძეგლი განთავსებულია სოფელში შემავალი ცენტრალური გზის პირას, მისგან დასავლეთით 40-50 მეტრის დაშორებით. ნაგებობის საერთო ზომები საკმაოდ შთამბეჭდავია - მისი სიგრძე მიახლოებით 70-80 მეტრს აღწევს, ხოლო სიგანე 50-60 მ. იქნება. შემორჩენილი ნანგრევები და მისი კედლის წყობის ნაწილები გარდამავალი დაცულობისაა, შესაბამისად ზოგიერთ მონაკვეთზე ძეგლის წყობა შედარებით უკეთაა შემორჩენილი და 4-5 მეტრს უახლოვდება, ხოლო ზოგან 1-2 მეტრიან ინტერვალში მოძრაობს.

ნაგებობა, საერთო სახით, ძლიერაა დაზიანებული. თავდაპირველი შენობის მხოლოდ ზოგადგეგმარებითი ნიშნები იკითხება, ხოლო მისი ძირითადი არქიტექტურულ-სივრცითი მთლიანობა თითქმის ბოლომდეა დარღვეული. შემორჩენილი ნაწილებიდან შედარებით უკეთ იკითხება ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების ფრაგმენტები - მოცემულ არეებზე არსებული კედლის წყობები. რაც შეეხება ობიექტის აღმოსავლეთ-დასავლეთის მომსაზღვრელ ზღუდეებს, ფიქსირდება წყობათა სიმაღლის მკვეთრი შემცირება. ნაშალ ქვებს შორის უთუოდ მოქცეულია, დიდი ალბათობით შენარჩუნებული ძველი წყობის ქვედა მონაკვეთები, თუმცა მის თავზე ჩამოქცეული კედლის არეები ცხადია, არ იძლევა მათი სრული აღქმის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, ყველაზე დაბალი დაცულობის დასავლეთ და აღმოსავლეთ მონაკვეთზეც კი ჩვენ ვხვდებით მინიმუმ 1-2 მეტრიან, გარდამავალი სიმაღლის კედლებს. უკეთაა შემორჩენილი და დღემდე ხელუხლებლად მოღწეული სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები, მათი წყობა. მოცემულ შემთხვევაში კედლების მაქსიმალური სიმაღლე (ჩრდილოეთით) 4.5-5 მეტრსაც კი აღწევს, ხოლო სამხრეთით მისი სიმაღლის მაქსიმუმი დაახლოებით 2-2.5 მეტრია. საყურადღებოა, რომ ნაგებობის ძირითადი სივრცის მომსაზღვრელი კედლები, მეტ-ნაკლები დაცულობით, თუმცა მაინც ბოლომდეა შემონახული, რაც საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ და წარმოდგენა შევიქმნათ ამ არქიტექტურული კომპლექსის საერთო პროპორციებზე, გეგმარებაზე, მის ფუნქციურ თუ, გნებავთ, მხატვრულ რაგვარობაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ შემორჩენილი ნაწილების მიხედვით კედლის სისქე დაახლოებით 1.9-2.2 მეტრს აღწევს. წინამდებარე ნიშნული ფიქსირდება კედლის მთელ პერიმეტრზე – მისი სიგანე მხარეების მიხედვით არაა ცვალებადი და ის ერთგვაროვნებით ხასიათდება.

ობიექტი წარმოადგენს მართკუთხა გეგმარების მოზრდილ ნაგებობას, რომლის კუთხოვანი ნაწილები მცირედი მომრგვალებით ხასიათდება. ძეგლის აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები მეტი სწორხაზოვნებით, მართი კუთხითაა დაგეგმარებული, ხოლო დასავლეთ კედელზე შეინიშნება ერთგვარი „მუცელი“, რკალური გადახრა საერთო ხაზიდან გარე პერიმეტრზე. სადღეისოდ არსებული მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია ნაგებობის შიდა მონაკვეთზე რაიმე დამატებითი სათავსის, სტრუქტურისა თუ „უბნის“ გამოყოფა, რომელსაც მეტ-ნაკლებად მაინც იდენტიფიცირებადი არქიტექტურული ფორმა ექნება – შიდა პერიმეტრის რელიეფი გვაძლევს საფუძვლიანი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ გაწმენდითი სამუშაოების შემთხვევაში ასეთი სტრუქტურის მიგნება გარდაუვალი იქნება.

დღეის მონაცემებით, ყველაზე უკეთესი დაცულობით, როგორც აღინიშნა, სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები წარმოგვიდგება. სწორედ სამხრეთი კედლის შუა მონაკვეთზე იკითხება დიდი ზომის განარღვევი არე, რომლის სიგანეც დაახლოებით 2-2.5 მეტრია. აღნიშნული ღიადი, რამდენადაც ნაგებობაზე არ აღინიშნება მკვეთრი სტრუქტურული ცვლილება, თავდაპირველად მიგვაჩნია და ვთვლით, რომ ეს უკანასკნელი შესასვლელს წარმოადგენდა. ამგვარი ვარაუდის გამყარებას მხარს უჭერს ისიც, რომ შესასვლელის მარცხენა მხარეს, წყობის გარე პერიმეტრზე აღინიშნება კუთხოვანი დამასრულებელი – ლოდებით ჩაკეტილ-შექმნილი კუთხის წყობის ნაწილი, რომელიც ვერას გზით იქნება მოგვიანებითი სახეცვლის შედეგი. ამრიგად, ძეგლზე შესასვლელი ცენტრალური კარი სწორედ სამხრეთი კედლის ცენტრში უნდა ყოფილიყო გაჭრილი – ვამბობთ ცენტრალური, რადგან იმავე სამხრეთი კედლის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, უკვე სრული უეჭველობით ფიქსირდება,

შედარებით მომცრო ზომის, თუმცა მკვეთრად სტრუქტურირებული კიდევ ერთი ღიადი. ამჟამად არსებული კედლის ჩამოშლილი ნაწილების გამო, მისი სრული აღქმა ვერ ხერხდება, თუმცა ნათლად იკითხება კარის ზედა ნახევარი, თავსართად გადებული მასიური არქიტრავის ჩათვლით, რომელიც გვერდით არსებული კედლის შედგენილ წყობაზეა დაფუძნებული. არქიტრავული ლოდის გვერდით და მის თავზეც ძირითადი კედლის შემადგენელი წყობა გრძელდება, ხოლო მართკუთხა მოხაზულობის, დაახლოებით 1-1.2 მეტრის სიგანის კარის ღიობი ნაწილობრივ მიწის ქვეშაა მოქცეული, რაც გვაფიქრებინებს, რომ კედლის წყობა ამავე ანალოგიით, დიდწილად მიწითაა დაფარული და გაწმენდითი სამუშაოები გაცილებით უფრო მასშტაბურსა და მრავლისმეტყველს გახდის მთლიან ობიექტს. სამხრეთი კედელი, გარდა დასახელებული შესასვლელებისა, მოიცავს კედლის წყობის საკმაოდ მაღალ მონაკვეთს, სადაც აშკარავდება მნიშვნელოვანი ელემენტი – ქვის განლაგების „თევზისფხისებრი“ მოტივი, რომელიც შემდგომ ყველა მხარეს მეტ-ნაკლები ინტენსივობითაა გამეორებული. წყობის ეს კონსტრუქციულად გააზრებული და მხატვრულად გადაწყვეტილი მოტივი საკმაოდ შთამბეჭდავია. არსებული ნაშთების მიხედვით გამოდის, რომ კედლის საყრდენად გამოყენებული იყო დიდი ზომის დაუმუშავებელი, თუმცა ერთმანეთს კარგად მორგებული ლოდები, რომელთა შორის არსებული სიცარიელეებიც შევსებულია მცირე ზომის ქვებით, ხოლო ამგვარ საყრდენზე დაფუძნებულია ასევე მასიური, მცირედ დამუშავებული „ლოდოვანი ფილები“, რომლებიც რიგების მონაცვლეობით, დიაგონალური განთავსებით, თევზის ფხის ეფექტს წარმოქმნის. აღსანიშნავია, რომ წყობის ეს ხასიათი ფიქსირდება არა მხოლოდ ექსტერიერში, არამედ ინტერიერის შემთხვევაშიც, ხოლო ლოდებსა და დიდი ზომის ქვებს შორის არსებული არე შევსებულია შედარებით წვრილი ქვის ღორღით. კედლის წყობის პერიმეტრზე, რამდენიმე მონაკვეთზე ფიქსირდება, მცირე სიგანის ერთგვარი წყვეტა, რომელთა დანიშნულება ჩვენთვის უცნობია და ასევე სხვადასხვა მონაკვეთზე წრიული გეგმარების, ძეგლის შიდა მხარეს მოქცეულ და წყობაში ერთი გვერდით ჩართულ კონსტრუქციას, რომელიც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ცილინდრულ „კოშკურ“ ჩანართებად. ამგვარი გადაწყვეტის ელემენტები დაზიანებათა გამო, შედარებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი, თუმცა გვაქვს ვარაუდი, რომ ისინი გარკვეული გამეორებადი ინტერვალებით უნდა იყოს წარმოდგენილი ძეგლის მომსაზღვრელი კედლების პერიმეტრზე. მნიშვნელოვანია ჩრდილოეთით შემორჩენილი კედლის კონსტრუქციული გააზრება – ამ მონაკვეთის წყობა ყველაზე მეტი დაცულობით ხასიათდება და, ამასთანავე, მოიცავს ერთგვარ კონტრფორსებს. მოცემულ არეზე კედელი ქმნის მართკუთხა ფორმაზე შეჭრილ მონაკვეთებს, რომელთა ფონზეც შვერილი არეები, ერთგვარ, კონტრფორსებად აღიქმება. დაზიანების გამო, ვერ ხერხდება მისი საერთო სახის აღდგენა. აღნიშნული კედლის გარე პერიმეტრზე, სადღეისოდ ცხოველთა სადგომია მოწყობილი.

ამრიგად, საქმე გვაქვს მასიური ლოდებითა და მცირედ „სახემიცემული“ ქვების მშრალი წესით ამოყვანილ ძეგლთან, რომლის აგების ხანის განსაზღვრა, დამატებითი კვლევების გარეშე, ნაადრევი იქნება. ერთი რამ ცხადია – ესაა მეგალითური კულტურისთვის სახასიათო, სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურა. საჭიროა ძეგლის ყოველმხრივი შესწავლა, რათა დადგინდეს ერთი მხრივ, კონსტრუქციულ-არქიტექტურული რაგვარობა, სივრცით-გეგმარებითი გადაწყვეტა, ხოლო ამის შემდგომ, ანალოგითა გათვალისწინებითა და ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევით, მისი სავარაუდო აგების თარიღი.

ციხე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ციხის საერთო ხედი დასავლეთიდან



ფოტო 2. ციხის დასავლეთი კარი

ფოტო 3. ციხის ინტერიერი, გალავნის კედლის წყობა

ფოტო 4. ციხის სამხრეთი კედელი

ფოტო 5. გალავნის კედლის ფარაგმენტი

ზემო კიზილკალე, ციხე სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ზემო კიზილკალე, თანამედროვე ზემო კიზილკალე, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yukarı Kızılkale, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

ციხე მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 1 კმ-ის მოშორებით, მთის თხემზე (39°44'01.77"N; 41°45'00.29"E). ძეგლის ადგილზე გადამოწმება ვერ მოხერხდა. თურქული ლიტერატურის მიხედვით [ჯეილანი და სხვ., 2018, ერზინჯანის და ერზურუმის პროვინციების 2016 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე], ნაგებობის კედლები მშრალი წყობის ტექნიკით, უხეშად დამუშავებული საშუალო ზომის ქვითაა ნაგები, რომელთა სისქეც 2-2.5 მეტრამდეა. ციხეს სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან 2 შესასვლელი აქვს. გარდა ამისა კედლები ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან ბურჯებით არის გამაგრებული. ციხის ზომებია: სიგრძე 50 მეტრი, ხოლო სიგანე 26 მ.



ფოტო 1. ციხის მდებარეობა (Google Earth)

თეფეჯიკი, სოფელში დაფიქსირებული ეკლესიის ბაზისები

ისტორიული ბასიანის სოფელი თეფეჯიკი, თანამედროვე თეფეჯიკი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Tepecik, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

სოფელში, 2002 წელს, თურქმა მკვლევარმა, დააფიქსირა ეკლესიის სვეტის ოთხი ბაზისი [კარაოსმანოღლუ და სხვ., 2004, ფასინლერის მხარის 2002 წლის ზედაპირული კვლევა, თურქულ ენაზე]. ბაზისების არსებობას ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს, თუმცა მათი ნახვა ვერ მოხერხდა.

თიზგი, ოსმალური აბანო

ისტორიული ბასიანის სოფელი თიზგი, თანამედროვე აშიტლარი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Aşıtlar, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა განთავსებულია სოფლის ცენტრში და სადღეისოდ მოქცეულია გვიანდელი მინაშენი სახლის ფარგლებში. მართკუთხა გეგმარების კუთხეებმომრგვალებული ძეგლის სიგრძე-სიგანე დაახლოებით 4×5 მეტრია, ხოლო მისი სიმაღლე ინტერიერში 5 მეტრს აღწევს.

თავდაპირველი სახით მხოლოდ ძეგლის ფრაგმენტია მოღწეული და ისიც მოქცეულია მოგვიანო მშენებლობაში. არ იკითხება ნაგებობის საერთო პროპორციები და მისი ზოგადი არქიტექტურულ-კონსტრუქციული მთლიანობა - ჩანს მხოლოდ ერთი სათავსი, მართკუთხა დაგეგმარების და მის გარე კედელზე ერთი მხრიდან მიშენებული, ასევე მართკუთხა გეგმის სათავსის ფრაგმენტები, რომელზეც თანამედროვე ბლოკით ამოყვანილია კედლები.

შემორჩენილი ნაწილების მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს ოსმალური ტიპის აბანოსთან, რომლისგანაც სადღეისოდ, სრული სახით მხოლოდ ერთი ფრაგმენტი იკითხება. შენობაში შესასვლელად მხოლოდ ერთი კარი იყო მოწყობილი – ესაა, მართკუთხა ფორმის, 1.6-1.7 მეტრი სიმაღლისა და დაახლოებით 0.8-0.9 მეტრი სიგანის ღიობი. ნაგებობის ინტერიერი შელესილია, რის გამოც არ იკითხება სამშენებლო მასალა, თუმცა ჩვენი ფიქრით, შენობის ძირითადი კორპუსი ქვით, ხოლო გუმბათი აგურის წყობით უნდა იყოს ამოყვანილი. მნიშვნელოვანია, რომ ინტერიერის კედლები შემკულია დენადი, ერთმანეთზე გადამავალი, შეისრული თაღებით. დეკორატიული ნახევართაღები კუთხოვან არეებზე, ზოგან, დამყარებულია მცირედი შვერილობის პროფილირებულ კაპიტელებზე. თაღები ზედაპირიდან მართკუთხა კვეთის მქონე შვერილის სახით ამოიზრდება. ინტერიერში შემორჩენილია დაბალი, მცირე ზომის ნიში, ნახევარწრიული თავსართით, რომლის ფუნქცია უცნობია, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ მხატვრულთან ერთად მას სხვა დანიშნულებაც ჰქონოდა. სწორედ ამგვარი ნიში მოცემულია აღნიშნული ნაგებობის გარე კედელზეც, სადაც ის ჩართულია მეორე სათავსის სივრცეში, რომლისგანაც მხოლოდ საძირკვლის კედლებია დარჩენილი.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი, შემორჩენილი, გუმბათით დასრულებული ნაგებობის გუმბათის წვერზე იკითხება საჰაერო ხვრელები, რომლებიც საკმაოდ დიდი ზომისაა და სიმეტრიულადაა დატანილი. ძეგლის კვადრატულ ბაზისსა და და მასზე არსებულ გუმბათს შორის გადასვლა უხეშად ხორციელდება – კუთხის მონაკვეთებზე, დეკორატიული თაღების არეში იქმნება ნიშოვანი ბუდეები, რაც ქმნის გარდამავალ საფეხურს წრესა და კვადრატს შორის.

არსებული, დღემდე შემორჩენილი, მონაცემების მიხედვით რთულია მსჯელობა, როგორც ძეგლის საერთო არქიტექტურულ-კონსტრუქციული, სივრცით-გეგმარებითი თუ მხატვრული სახის შესახებ, ისე მისი სავარაუდო აგების თარიღის დადგენის მიმართულებითაც. აღნიშნული მიმართულებით საჭიროა დამატებითი კვლევები, თუმცა შესაძლებელია ნაგებობა, ზოგადი თვალსაზრისით, XVII-XVIII საუკუნეებით დათარიღდეს.

აბანო არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. აბანოს საერთო ხედი

ფოტო 2. აბანოს ინტერიერი

კარაველეთი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული ბასიანის სოფელი კარაველეთი, თანამედროვე კარაველეთი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Karavelet, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნანგრევები მდებარეობს სოფლის განაპირა ტერიტორიაზე, ცენტრიდან დაახლოებით 300-400 მეტრის მოშორებით, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შემაღლებულ ბორცვზე (39°55'30.20"N; 41°29'46.90"E). მცირე ბორცვის ზედაპირზე აღიქმება ნაგებობათა ნაშთები და გადათხრილი ნაწილები, რომლებიც თავის გარეგნული ფორმითა და საერთო გეგმარებით მიგვანიშნებს მშრალი წყობის ნაგებობაზე, თუმცა ადგილზე აღმოჩენილ-მიკვლეული მასალის მიხედვით ჩნდება ეჭვი, რომ ტერიტორია სხვადასხვა დროის სამშენებლო ფენებს მოიცავს. ამას ემატება ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მითითებით, მოცემული ბორცვზე რამდენიმე ათეული წლის წინ სოფელი მდებარეობდა, საიდანაც შედარებით ქვემოთ, მდინარის პირას, დაბლობზე გადმოსახლებულან. ამდენად, გადაჭრით თქმა იმისა, რომ აღნიშნული ბორცვი მშრალი წყობის ნაგებობის ფრაგმენტები გვიდასტურებს, არ იქნება მართებული, მაგრამ ეს ვერსია არ არის გამოსარიცხი. შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ თავის დროზე სოფელი ძველ, მშრალი წყობის ნაკვალევზე გაშენდა, ხოლო შემდგომ (გაურკვეველი მიზეზით) კვლავ მოინაცვლა ადგილი და დაფუძნდა იქ, სადაც ამჟამად მდებარეობს.

ადგილობრივი მოსახლეობა ნაგებობას Kuşakkaya kalesi-ს უწოდებს. ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. გალავნის კედლის ფრაგმენტები

ფოტო 2. ინტერიერის ფრაგმენტები

ფოტო 3. გალავნის კედლის ფრაგმენტები

ფოტო 4. ნაგებობის საერთო ხედი

მალი კომუ, მეგალითური ციხე

ისტორიული ბასიანის სოფელი მალი კომუ, თანამედროვე პელიტლი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Pelitli, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობის ნაშთები სოფლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 0.5 კილომეტრის მოშორებით, მაღალი, კლდოვანი მთის წვერზე მდებარეობს (40°06'25.69"N; 41°38'05.84"E). ძეგლთან არაა მოწყობილი არანაირი მისასვლელი და მასზე მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ სოფლის ცენტრალური გზიდან მთის ფერდზე გადახვევის შემთხვევაში. ძეგლის საერთო პროპორციები საკმაოდ მასშტაბურია, თუმცა

მისი სრული სახით წარმოდგენა სადღეისოდ შეუძლებელია. ფრაგმენტული აღქმით, კლდის წვერზე არსებული ბუნებრივი რელიეფის ან მის თავზე მოსწორებული ბაქნის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი სიგრძე დაახლოებით 30-35 მეტრი, ხოლო სიგანე 25-30 მერტი იქნებოდა. ამასთანავე, იმავე რელიეფისა და შემორჩენილი ქვა-ყრილების მიხედვით საფიქრებელია, რომ ბაქნის გარდა ნაგებობა მოიცავდა ქვედა ტერასასაც, რომელიც ერთგვარ გალავანსა თუ „ქვედა ციხეს“ წარმოადგენდა.

მთის ფერდის მოსწორებულ ბაქანზე ნაგები ციხე მინიმუმ ორ სამშენებლო ფენას მოიცავს და ძლიერაა დაზიანებული მისი ორივე შრე. ძეგლიდან დარჩენილია მხოლოდ გეგმის დონეზე ამოკითხვადი კედლის ფრაგმენტები. სავარაუდოდ პირველი სამშენებლო ფენიდან მხოლოდ „ზედა ციხის“, ერთგვარი ციტადელის მომსაზღვრელი წყობის ნაწილები იკითხება, სადაც ჩანს მშრალი წესით ნაგები კედლები. რამდენიმე მონაკვეთზე არსებული კედლის ფრაგმენტების სიმაღლე 1.5 მეტრამდე აღწევს, ხოლო მათი სიგანე დაახლოებით 1.5-2 მეტრია. რაც შეეხება მეორე სამშენებლო ფენას, რომელიც აშკარად გამოირჩევა ძველი ნაშთებისგან წყობით, სამშენებლო ტექნიკითა თუ საერთო ხასიათით, მოიცავს საკმაოდ მაღალი დაცულობის, დუღაბზე ნაგები კედლების სეგმენტებს. მათი კვალი დაფიქსირებულია ობიექტის აღმოსავლეთ მხარეს რამდენიმე ადგილას, სადაც ჩანს დუღაბ-ქვაღორღის ნაწილები, რომელთა მაქსიმალური სიმაღლე 2.5-3 მეტრამდე აღწევს. ნაგებობის შიდა პერიმეტრზე ჩანს ასევე ძველი კედლების ნაშთები, რომლებიც მიწის ქვეშაა მოქცეული და სადღეისოდ განძის მაძიებელთა მიერ ვანდალურადაა გადათხრილი. ამგვარი თხრილები არაერთგზისაა დაფიქსირებული ნაგებობის ფარგლებში, რაც კიდევ უფრო ამძიმებს თავისთავად ნაშთებად მოღწეული ძეგლის მდგომარეობას.

ნაგებობის პირველი სამშენებლო ფენის გეგმარებითი სტრუქტურა წრიული მოხაზულობისაა და მიჰყვება მთის თხემის ბუნებრივ ფორმას. აღნიშნული ობიექტის ნაშთებიდან იკითხება კედლის წყობის ფრაგმენტები, სადაც ჩანს დიაგონალზე ნაწყობი, ერთმანეთ შეპირისპირებული, ლოდოვანი ფილები, რომლებიც წარმოქმნიან „თევზისფხისებრი“ ეფექტის მქონე მხატვრულ სახეს. შემორჩენილი ნაწილების მიხედვით ირკვევა, რომ წყობის მონაკვეთი შედარებით მოზრდილი ქვებისგან იყო შედგენილი. საყურადღებოა, რომ გარდა მცირედი დაცულობით მოღწეული მთავარი კედელ-გალავნისა, სადაც ჩანს წრიული მოხაზულობის ჩანართი „გოდოლ-კოშკები“, ძეგლის შიგნით დარჩენილია სხვადასხვა ნაგებობისა თუ შიდა „უბნის“ წყობების ფრაგმენტები – კედლის გამართვის თვალსაზრისით თითქმის იმავე რიგის, როგორიც გარე პერიმეტრის მომსაზღვრელი კედლებია. ასევე საყურადღებოა, რომ ბაქნის ჩრდილოეთით ფიქსირდება ხელოვნური, მართკუთხა მოხაზულობის, ერთგვარი შემაღლება, რომლის დანიშნულება უცნობია. ძეგლის გარე პერიმეტრზე, მთის ფერდისა და თხემის ნაწილებზე მრავლადაა მშრალი წყობის ჩამოშლილი გროვები. კედლების გარე და შიდა პირები ერთმანეთს მორგებული ლოდებისა და ლოდოვანი ფილების საშუალებითაა ნაგები, რომელთა შორის არსებული სიცარიელე მცირე ზომის ქვებითაა შევსებული, ხოლო კედლებს შორის არე მცირე ზომის ქვა-ყრილითაა ამოვსებული.

ნაგებობის მეორე სამშენებლო ფენა, რომელიც დუღაბით ნაგები კედლების სახითაა წარმოდგენილი, ობიექტის ჩრდილოეთ ნაწილზეა დაფიქსირებული შედარებით მეტი დაცულობით. ისე კი, მისი მცირე ფრაგმენტი სამხრეთის ფერდოვან არეზეც იკითხება. ამჟამად, მიწის ზემოთ წარმოდგენილი მონაკვეთებიდან მხოლოდ დუღაბის ნაწილები აღიქმება, პერანგის ქვის გარეშე. საყურადღებოა, რომ თავად დუღაბის ფრაგმენტების გათვალისწინებით, კედლის საერთო სისქე 2 მეტრამდე უნდა ყოფილიყო. ასევე, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ნაგებობას გარეს ერტყა კიდევ ერთი რიგი წყობისა, რომელიც აღნიშნული ბორცვის ქვედა ხაზზე ტერასულად უნდა ყოფილიყო მოწყობილი.

სადღეისოდ არსებული მონაცემების მიხედვით შეუძლებელია ნაგებობის საერთო გეგმარების დადგენა. დაზიანების ხარისხის, უხვი მცენარეული საფარის, არეული-ჩაშლილი წყობებისა და განძის მაძიებელთა მიერ ხელყოფილი მონაკვეთების გათვალისწინებით, რთულია კომპლექსის არქიტექტურულ-კონსტრუქციული თუ გეგმარებითი სახის წარმოდგენა. სათანადო კვლევების გარეშე, ასევე შეუძლებელია იმის გარკვევა თუ რა დროითი სხვაობაა პირველ და მეორე სამშენებლო ფენებს შორის.

მიგვაჩნია, რომ პირველი ფენის მშენებლობა, მრავალი ნიშნით უნდა წარმოადგენდეს მეგალითური კულტურისთვის სახასიათო სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურას, ხოლო შემდგომი ფენა, დუღაბზე ნაგები კედლები, შუა საუკუნეების მშენებლობას უნდა განვაკუთვნოთ.

ციხე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ციხის შუა საუკუნეების კედლის ფრაგმენტები

ფოტო 2. ციხის ინტერიერი, კედლის ფრაგმენტები

ფოტო 3. ციხის ინტერიერი, კედლის წყობა

მარიფეთი, კლდეში ნაკვეთი სენაკები

ისტორიული ბასიანის სოფელი მარიფეთი, თანამედროვე მარიფეთი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Marifet, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ნაწილები მდებარეობს სოფლის ზემოთ, სამხრეთ-დასავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 0.6 კილომეტრის მოშორებით, შემაღლებულ ბორცვზე არსებული კლდოვანი მასივის ცენტრალურ ნაწილში (39°50'21.91"N; 41°49'10.88"E). კლდის მასივის საერთო სიგრძე დაახლოებით 50-60 მეტრია, ხოლო მასში განთავსებული სენაკები მცირე მოცულობისაა.

კლდის ქარაფზე იკითხება ორი, ერთმანეთისგან მოშორებით არსებული, სათავსის შესასვლელი, რომელთაგან ერთი შედარებით მაღლაა და სპეციალური აღჭურვილობის გარეშე მასში მოხვედრა

შეუძლებელია. აღნიშნული სენაკის შესასვლელის პირი მორღვეული ჩანს, ამდენად, სათავსის შესასვ-ლელი ღიობის ფორმა ასიმეტრიულია. შორიდან აღიქმება მხოლოდ კარს მიღმა არსებული ნაკაფი სივრცის ფრაგმენტი, რომლის საერთო სახე თუ მისი გაგრძელება შეუმჩნეველია. კლდეში ნაკვეთი მეორე სენაკი, ასევე მაღლაა გაჭრილი, თუმცა ოდესღაც არსებული საფეხუროვანი ჩანაჭდევების საშუალებით მასში მოხვედრა შესაძლებელია – აღნიშნული კომპლექსის სათავსები თითქმის თავდაპირველი სახითაა მოღწეული. ჩანს მხოლოდ აქა-იქ გათხრილ-ნაკაფი მონაკვეთები, რომლებიც განძის მაძიებელთა ნახელავს უნდა წარმოადგენდეს.

წინამდებარე ქვაბული ორი სათავსისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან 1.2-1.3 მეტრის სიმაღლის, მართკუთხა მოხაზულობის, კუთხეებმომრგვალებული კარის საშუალებითაა დაკავშირე-ბული. მაკავშირებელი ღიობი იატაკის დონიდან დაახლოებით 20-30 სანტიმეტრით მაღლაა აწეული. სათავსთა ზომები და მათი საერთო გეგმარებითი გადაწყვეტა ურთიერთმსგავსია. ორსავ შემთხვევაში წარმოდგენილია მართკუთხა, კვადრატს მიახლოებული გეგმარების სენაკი. მათი საერთო სიგრძე-სიგანე და სიმაღლე თითქმის თანაბარია – სიგრძე ორსავ შემთხვევაში 3-4, ხოლო სიგანე 2.5-3 მეტრს აღწევს. რაც შეეხება სათავსთა სიმაღლეს, ორივე სენაკი დაახლოებით 1.8-1.9 მეტრამდეა. კლდის პირზე ნაკვეთია პირველი სათავსის შესასვლელი ღიობი, რომელიც მართკუთხა, კუთხეებ-მომრგვალებული ჭრისაა, ხოლო მისი სიმაღლე 1.3-1.4 მეტრამდე აღწევს. შესასვლელის შიდა პირზე აღბეჭდილი, საკმაოდ დაზიანებული ხვრელების გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ მოცემული სენაკი დახურული იქნებოდა კარით, ხოლო შემორჩენილი ფოსოები დიდი ალბათობით, სწორედ მისი საკედურების ფრაგმენტები უნდა იყოს. პირობითად პირველსავე სენაკში, ერთი კედლის სიბრტყეზე ნაკვეთია მცირედი სიღრმის მქონე ორი სხვადასხვა ზომის ნიში. მეორე სათავსი, რომელში გადასვლაც კარის საშუალებითაა შესაძლებელი ოდნავ უფრო გრძელია. გასასვლელის წირთხლებზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სათავსთა შორის მაკავშირებელი არ იყო დახურული. მეორე სენაკის იატაკის დონეზე, რამდენიმე ადგილას იკითხება საკმაოდ მოზრდილი ხვრელი, რომელიც განძის მაძიებელთა მიერაა გათხრილი - მათგან ერთი შუა კარის ძირში, ხოლო მეორე სიღრმეში, სენაკის ბოლოშია დატანილი.

კლდოვანი მასა მყარია, თუმცა იოლად დასამუშავებელი. მასივის ძირითადი ნაწილი უცვლელი ჩანს, რაც გვაფიქრებინებს, რომ არსებული სენაკების გარდა სხვა გამოქვაბული კვეთილობები არ უნდა ყოფილიყო. სადღეისოდ არსებული მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია ნაგებობის სავარაუდო თარიღის განსაზღვრა – ეს პროცესი დამატებით კვლევებს საჭიროებს. ასევე რთულია გადაჭრით თქმა იმისა თუ კონკრეტულად რა დანიშნულების შეიძლებოდა ყოფილიყო მოცემული კომპლექსი. წარმოდგენილი სენაკების კვეთილობა, შიდა სივრცე, გეგმარება და ინტერიერში კედლების ზოგადი გადაწყვეტა არ გვაძლევს მოცემულ სათავსთა საკულტო დანიშნულებაზე დასკვნების გაკეთების საშუალებას. საფიქრებელია, რომ ის სამონასტრო საცხოვრებელ სენაკებს წარმოადგენდა. თუმცა ეკლესიის კვალი ირგვლივ არ ფიქსირდება, მახლობელ მთებსა და კლდოვან ქარაფებზე იკითხება გამოქვაბულთა კვალი და კლდეზე ნაკვეთი სხვადასხვა ზომის, ფორმისა და პროფილირების ჯვრები.

სენაკები მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში. თურქი მკვლევარები სენაკებს კლდის სამარხად მიიჩნევენ.

ფოტო 1. კლდეში ნაკვეთი სენაკები, საერთო ხედი

ფოტო 2. გამოქვაბულის კარი

ფოტო 3. ინტერიერი, გამოქვაბულის შიდა კარი

ფოტო 4. ინტერიერი, გამოქვაბულის კარი

მარიფეთი, ნაგებობა სოფლის სამხრეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი მარიფეთი, თანამედროვე მარიფეთი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Marifet, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

ობიექტი სოფლის სამხრეთით, ცენტრიდან დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით, მცირე ბორცვზეა განთავსებული (39°50'6.06"N; 41°49'26.43"E). შემორჩენილი ნაგებობის ნაშთებისგან შედგენილი ბორცვის საერთო დიამეტრი დაახლოებით 15-18 მეტრია.

აღნიშნული ობიექტი ძლიერაა დაზიანებული და სადღეისოდ იკითხება მხოლოდ მისი საძირკველი და შესაძლო მიწისქვედა სართული. ბორცვი რამდენიმე მონაკვეთზე გადათხრილია და ირგვლივაა მიმოფანტული შენობის სხვადასხვა ნაშთები – თლილი და რიყის ქვები, კრამიტის, აგურისა და სხვა კერამიკული ნაწარმის ნამსხვრევები. ბორცვის ცენტრალურ მონაკვეთზე დატანილია 2.5-3 მეტრის სიღრმისა და 4.5×5 მეტრის სიგრძე-სიგანის ჭრილი, რომლიდან ამოღებული მიწაც ირგვლივ უსისტემოდაა მიმოყრილი.

ნაგებობის თავდაპირველი ფუნქცია, მისი ზოგადი არქიტექტურული სახე და გეგმარება, დაზიანების გამო, არ იკითხება. საფიქრებელია, რომ შენობის გათხრა სახელდახელოდ, განძის მაძიებელთა მიერაა ჩატარებული და შესაბამისად მისი ფრაგმენტები ვანდალურადაა განადგურებული. ბორცვის საერთო მოხაზულობიდან და გათხრილ არეზე წარმოჩენილი კედლის წყობიდან გამომდინარე შესაძლებელია ვარაუდი, რომ ის გვიანდელ აბანოს წარმოადგენდეს, რასაც შესაძლოა ადასტურებდეს კიდეც ირგვლივ მიმოფანტული მოზაიკის მცირე ნაჭრები. თხრილში წარმოდგენილი კედლის ნაწილების გათვალისწინებით ასევე დასაშვებად მიგვაჩნია ნაგებობის გვიანდელ აკლდამად მიჩნევის შესაძლებლობაც, თუმცა ყველა ეს შეხედულება მხოლოდ მოსაზრებებია, რომლებიც სამომავლო კვლევას საჭიროებს.

წარმოდგენილი ბორცვის შუა მონაკვეთზე, ხსენებული თხრილის ფარგლებში ჩანს ნაგებობის ნანგრევი, აგურითა და კარგად თლილი, მოზრდილი ქვით ნაწყობი კედლების ფრაგმენტები – იკითხება ასევე რიყის და ფლეთილი ქვის გროვები, რაც საერთო ჯამში საკმაოდ არეულ შთაბეჭდილებას ტოვებს. აგურის წყობის დუღაბად, თითქოს ცემენტია ნახმარი, რაც მას გარკვეული დროითი არეალით შემოსაზღვრავს, თუმცა დაუდგენელია ყველა ფენა ერთი დროისაა თუ არსებობს გარკვეული განშრევების შესაძლებლობა. აგურის კედლის გვერდით მოცემულია ცემენტის ხსნარზე ნაგები რიყის ქვის წყობის სეგმენტი, რომელიც აგურით ნაგები კედლის სიახლოვეს იმავე დამხრობითაა დატანილი, რაც კიდევ უფრო ართულებს გეგმარებითი კომპოზიციის სავარაუდო წარმოდგენას და, ამდენად, ძეგლის ფუნქციური დატვირთვის გამორკვევას.

თხრილის ირგვლივ და ბორცვის პერიმეტრზე გაშლილია კერამიკის, კრამიტის და მოზაიკის ნამსხვრევები, რომელთა დანიშნულებაც სხვადასხვაა. აღსანიშნავია კრამიტის საბურველის ფრაგმენტები და მათ შორის კბილანებიანი გაფორმება-დაბოლოების ფილები, რომლებიც, დიდი ალბათობით, ძეგლის გადამხურავ ნაწილებს წარმოადგენდა. ადგილზე განირჩევა შირიმის ქვაში გამოკვეთილი

დეტალები, რომელთა სრული სახით აღქმაც ვერ ხერხდება. კრამიტის ნამსხვრევთაგან ზოგიერთის ზურგის არეზე მოცემულია მცირე ჩანაჭდევები და, ერთგვარი, სამაგრი კოპები.

ნაგებობის ძლიერი დაზიანებისა და ფრაგმენტულობის გამო მისი ფუნქციის, გეგმარების, მხატვრული სახის წარმოდგენა შეუძლებელია.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ნაგებობის საერთო ხედი

ფოტო 2. განძის მაძიებელთა განათხარი

ფოტო 3. პერიმეტრზე არსებული ფრაგმენტები

ფოტო 4. კრამიტი და მოზაიკის ფრაგმენტები

მარიფეთი, ციხე (?) და კლდეზე ნაკვეთი ჯვრები სოფლის დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი მარიფეთი, თანამედროვე მარიფეთი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Marifet, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ირგვლივ, სხვადასხვა მიმართულებით ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს ნაციხვარს, ნამონასტრალსა და ქვაბულთა ოდესღაც არსებობის კვალს, თუმცა მათგან სადღეისოდ რაიმე მნიშვნელოვანი ფრაგმენტის მიკვლევა ვერ მოხერხდა.

სოფლის დასავლეთით, მისგან დაახლოებით 3-4 კილომეტრის მოშორებით, ხეობის ბოლოს ერთმანეთის საპირისპიროდ არსებული კლდოვანი მასივებიდან ერთ მხარეს იკითხება კლდის ზედაპირზე, სხვადასხვა მონაკვეთზე, დატანილი მარტივი პროფილირების, ნაკაწრი და ღრმად ჩანაჭდევი ჯვრების გამოსახულებები (39°50'18.02"N; 41°46'51.08"E), ხოლო მეორე მხარეს წარმოდ-გენილი მაღალი კლდოვანი რელიეფი, მოსახლეობის მტკიცებით, ნაციხვარს წარმოადგენდა (39°50'10.59"N; 41°46'59.69"E).

სავარაუდო ციხის ტერიტორია სადღეისოდ არავითარ კვალს არ ატარებს, რომლის იდენტი-ფიცირებაც შესაძლებელი იქნებოდა თავდაცვითი არქიტექტურის რაიმე ტიპთან. საყურადღებოა, რომ აღნიშნული კლდოვანი მასივის ბუნებრივი გეოგრაფიული მდებარეობა არ გამორიცხავს მოცემულ მონაკვეთზე ციხის შესაძლო არსებობას, თუმცა კვალი არ იკითხება. ჯვრის გამოსახულებიანი კლდოვანი კონცხი და მის მოპირდაპირედ არსებული „ნაციხვარის“ კლდე ერთმანეთისგან დაახლოებით 300 მეტრითაა დაშორებული.

ფოტო 1. ციხის (?) საერთო ხედი

ფოტო 2. კლდეზე გამოსახული ჯვრები

ამავე სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით, ხეობის ცენტრალური გზის პირას არსებულ კლდოვან ქარაფებზე მოსახლეობა მიუთითებს კონკრეტულ ადგილს, სადაც ასევე დატანილ-ნაკვეთია ჯვრის გამოსახულებები და გამოქვაბულები (39°50'54.13"N; 41°50'48.25"E). აღნიშნული მონაკვეთის დეტალური შესწავლა, რელიეფის სირთულის გამო, სპეციალური აღჭურვილობის გარეშე შეუძლებელია.

ციხე და ჯვრები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 3. გამოქვაბულების საერთო ხედი

მიადინი, ძველი თურბე

ისტორიული ბასიანის სოფელი მიადინი, თანამედროვე არდიჩლი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Ardıçlı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა განთავსებულია სოფლის აღმოსავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 0.4 კილომეტრის მოშორებით, სასაფლაოს ტერიტორიაზე (40°01'0.68"N; 41°45'47.71"E). თავდაპირველი სახით მოღწეული წრიული გეგმარების ძეგლის დიამეტრი დაახლოებით 5.5-6 მეტრია, ხოლო მისი სიმაღლე, გუმბათის ჩათვლით 6-7 მეტრს აღწევს - ნაგებობის წახნაგოვანი ფასადის თითო წახნაგის სიგანე 1.8-2 მეტრი.

ნაგებობის სხვადასხვა მონაკვეთზე აღინიშნება ხელოვნური და ბუნებრივი დაზიანების კვალი. ძირითადი ბუნებრივი დაზიანება გვხვდება შენობის გუმბათის არეზე, სადაც მოშლილი და დაკარგულია გადამხურავი ლორფინის საფარის ნაწილები. საფასადო ნაწილზე, შენობაში შესასვლელი კარის გარშემო წყობა მოგვიანებით თეთრად იქნა შეღებილი, რაც შენობას ძლიერ უკარგავს თავდაპირველ მხატვრულ იერსა და ავთენტურობას.

სრული სახით შემორჩენილი, წრიული გეგმარების, ოსმალური აკლდამა მოყვითალო და რუხის ფერის თლილი ქვიშაქვითაა ნაგები. მისი რვაწახნაგა მოცულობა დამყარებულია წრიული მოხაზულობის მქონე ბაზისზე. მოზრდილი ზომის, მხატვრულად დამუშავებულ-გაფორმებული შესასვლელი მოწყობილია აღმოსავლეთ კედელში, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გვხვდება დაბალი, მართკუთხა ფორმის სარკმლები, რომლებიც სრულებით სადა და დაუმუშავებელია. კარის გაფორმებაში იკითხება ღიობის მომსაზღვრელი, მართკუთხა მოხაზულობის,

პროფილირებული საპირე და კარის თავზე განთავსებული რკალური ფორმის თაღიანი არქიტრავი, რომელზეც არაბულენოვანი წარწერებია დატანილი. ღიობები შევსებულია მოგვიანო ხანის კარ-სარკმლებით. შენობის ძირითადი კორპუსის წახნაგები შემკულია თავისთავში დასრულებული, ნახევარწრიული, დეკორატიული თაღებით, რომლებიც ძირითად სიბრტყეზე ჩანაკვეთი სახით წარმოიქმნება და მოჩარჩოებულია ლილვოვანი სარტყლით. თხელი, ნატიფი დამუშავების დენადი თაღნარი ზედა მხრიდან დასრულებულია პროფილირებული, რამდენიმესაფეხუროვანი ლავგარდა-ნით, რომლის მხატვრული გააზრება სრულად იმეორებს საფასადო დეკორატიული თაღების საერთო ხასიათს. აკლდამა დასრულებულია კონუსური ფორმის გუმბათით, რომელიც გადახურულია სხვადასხვა ზომისა და განსხვავებული ფორმის ფილებისგან შედგენილი ლორფინით. გადახურვის ქვები ერთმანეთს კარგადაა მორგებული, ხოლო მისი ქვედა ნაწილები ლავგარდანს მცირედი კბილოვანი შვერილით ებჯინება. აკლდამის ინტერირი სრულადაა მოპირკეთებული რუხის ფერის, თლილი ქვების რეგულარული წყობით, სადაც განსაკუთრებული გულდასმითაა გამოყვანილი გუმ-ბათის წყობა. აკლდამის ცენტრში წარმოდგენილია მართკუთხა ფორმის, პროფილირებული საფლავის ლოდი, რომლის ზედაპირიც ორფერდა გადაწყვეტით ხასიათდება და ტიპურია ოსმალური მემორიალური კულტურისთვის. საფლავი რამდენიმესაფეხუროვანია და დამყარებულია მართკუთხა კვეთის მასიურ ბაზისზე – მისი ზედა ნაწილის მხატვრული გადაწყვეტა არ ჩანს, რადგან დაფარულია რიტუალური დანიშნულების ფარდაგით. ინტერიერში, კედლის ერთ მხარეს მოცემულია რკალური კვეთის, მცირე სიგანის, მაღალი ნიში, რომლის თავსართიც გაფორმებულია სადა ორნამენტული დეტალებით.

მხატვრული გადაწყვეტა-გააზრებით, გეგმარებითი მახასიათებლებით, საფასადო დეკორის ელემენტებით, საერთო პროპორციებით, გადახურვის სისტემის თავისებურებით და ძეგლის შედა-რებითი ანალიზით, შესაძლებლად მიგვაჩნია ნაგებობა დათარიღდეს ზოგადად XV-XVI საუკუნეებით, თუმცა ეს მხოლოდ მოსაზრებაა და ის დამატებითი კვლევებს საჭიროებს.

თურბე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. თურბეს საერთო ხედი

ფოტო 2. თურბეს კარის არქიტრავი არაბული წარწერებით

მიგნარინჩი, მეგალითური ციხე სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი მიგნარინჩი, თანამედროვე ბუიუქდერე, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Büyükdere, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ძეგლი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით, ცენტრიდან დაახლოებით 4-4.5 კილომეტრის მოშორებით, შემაღლებულ ბორცვზე, რომლის ერთი მხარე გაშლილი ველია (40°05'01.50"N; 41°36'21.97"E). ნაგებობა ერთი პირით ბორცვის პირას, ხოლო დანარჩენი კედლებით ღია ველსაა მორგებული. სოფლის თავზე, სახნავ-სათესი მიწებისა და საძოვრების ზემოთ, ძნელად მისასვლელ მცირე ბორცვზე აღმართული შენობის ფრაგმენტები, დაცულობის თვალსაზრისით, საკმაოდ შთამბეჭდავია. ნაგებობის სიგრძე 22-25 მეტრია, ხოლო სიგანე 15-17 მეტრი. შემორჩენილი კედლები გარდამავალი დაცულობით ხასიათდება და მის ყველაზე მაღალ წერტილში კედლის სიმაღლე 2-2.5 მეტრამდე აღწევს – სისქე კი 2 მეტრს. მნიშვნელოვანია, რომ ნაგებობის ძირითადი კორპუსის კედლები

თითქმის თანაბარი სიმაღლითაა წარმოდგენილი, რაც საშუალებას გვაძლევს ძეგლის ზოგად-გეგმარებითი და არქიტექტურული კომპოზიცია წარმოვიდგინოთ.

ბორცვზე განთავსებული ნაგებობათა კომპლექსიდან, შედარებით უკეთ, შემორჩენილია ცენტრალური შენობის მომსაზღვრელი ძირითადი კედლები, ხოლო მის ირგვლივ არსებული წყობები და უშუალოდ მთავარ ნაგებობაზე მიდგმული მინაშენები თითქმის გეგმის დონეზეა ჩამოშლილი. გარდა მთავარი ნაგებობისა განირჩევა მის სამ მხარეს არსებული ქვა-ყრილები და კედელთა ფრაგმენტები, რაც აშკარად მიუთითებს საერთო კომპლექსის გადაწყვეტა-გააზრებაზე. უშუალოდ ცენტრალური ნაგებობის სამ მხარეს (აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი) გვხვდება მინაშენთა სტრუქტურა – კედლები აღნიშნულ მონაკვეთებზე ძლიერაა დაზიანებული, თუმცა ზოგიერთ მონაკ-ვეთზე იკითხება 1-1.5 მეტრის სიმაღლის წყობა. ასევე დაბალი დაცულობით ხასიათდება კომპლექსის მომსაზღვრელი გალავნის კედლის ფრაგმენტები, რომლის საერთო გეგმარება მთელ პერიმეტრზე იკითხება, თუმცა მისი სიმაღლე 0.5-0.7 მეტრია.

ბორცვის გეოგრაფიულ მდებარეობას მორგებული კომპლექსი რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა, რომლის მცირე ფრაგმენტებია დღემდე შემორჩენილი. შენობათა ნაწილის დაგეგმარებისას ჩანს ორიენტირად შედარებით დაცული მხარის, სამხრეთი მონაკვეთის არჩევა – სწორედ ამ ხედვასაა მორგებული კომპლექსის ზოგადი, გეგმარებითი თუ არქიტექტურული გააზრება. სამი მხრიდან „დაუცველი“ ძეგლის გალავან-გამაგრებითი სისტემა – სწორედ აღნიშნულ მონაკვეთებზეა მოსაზღვ-რული გალავნით. გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩართულია 2-3 მეტრის სიგრძე-სიგანისა და დაახლოებით 2-2.5 მეტრის სიმაღლის არასტანდარტული, ერთ მხარეს მომრგვალებული, კოშკური ნაგებობა, რომელსაც ერთი შესასვლელი აქვს. აღსანიშნავია, რომ დასახელებული გალავანი ცენტრალური ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხიდან იწყება, მოსაზღვრავს მთელ ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთს და იმავე მთავარი შენობის დასავლეთ კედელს უერთდება. მის ფარგლებში ექცევა როგორც ძირითადი შენობა, მასზე მიდგმული ჩრდილოეთი და დასავლეთი მინაშენები, ისე დასახელებულ პერიმეტრზე მოქცეული სხვა ნაგებობების ნაშთები. ძეგლების კვალი ფიქსირდება გალავნის გარეთაც და, მათ შორის, ბორცვის ქვედა ფერდზე, ცენტრალური ნაგებობის ქვემოთ – ყველა ასეთი ნანგრევის კვალი გეგმაში მართკუთხა, კუთხეებმომრგვალებული ან წრიული ფორმისაა. კომპლექსის ცენტრალური შენობა მართკუთხა გეგმარებისაა, ხოლო მასზე სამი მხრით მიდგმული მინაშენები სხვადასხვა მოყვანილობისაა. აღნიშნულ სივრცეში მოწყობილია მხოლოდ ერთი, 2 მეტის სიგანის, შესასვლელი, რომელიც აღმოსავლეთი კედლის თითქმის შუა წელზეა გაჭრილი. გეგმით მართკუთხა მოხაზულობის მარტივი ფორმების ნაგებობის ჩრდილოეთ კედელზე მოცემულია საკმაოდ მძლავრი, ასევე მართკუთხა მოხაზულობის, „კონტრფორს-ბურჯები“. კედლის ამ მონაკვეთზე ასეთი სამი შვერილია დატანილი – აქედან ორი კუთხოვანია და მათი შვერილობა მიმდებარე, აღმო-სავლეთ და დასავლეთ კედლებზეც გადადის, ხოლო მესამე ჩრდილოეთი კედლის შუა მონაკვეთზეა მოთავსებული. „ბურჯები“ ნაგებობის ერთიან წყობაში უნაკეროდაა ჩატანებული - მათი სიგრძე დაახლოებით 2.8-3.2 მეტრია, ხოლო შვერილობა მთავარი კედლიდან 2 მეტრს აღწევს და ერთმა-ნეთისგან თანაბარი ინტერვალებითაა დაცილებული. ასეთივე კიდევ ერთი „ბურჯი“ მოცემულია დასავლეთი კედლის შუა მონაკვეთზე. ნაგებობას ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მიდგმული აქვს მართკუთხა გეგმარების მინაშენები, რომლებიც ერთმანეთთან კარითა არიან დაკავშირებულნი. გარდა ამისა, კიდევ ერთი, დამოუკიდებელი მინაშენი ფიქსირდება აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ, თუმცა მისი გეგმის სრული სახით აღქმა ვერ ხერხდება. მინაშენთა კედლები დაბალია და დაზიანებული. საყურადღებოა, რომ ისინი არ არიან ძირითადი შენობის წყობაში ჩართული, იკეთებენ ნაკერს და, ამდენად, რჩება შთაბეჭდილება, რომ შედარებით გვიანი მინაშენია. კომპლექსის შემადგენელი ნაწილების სამშენებლო ფენების განშრევება შეუძლებელია თუმცა აშკარაა სხვაობა წყობებს შორის. გარდა მთავარი შენობისა, ყველა ნაგებობის წყობა არეულია და ქვაყრილის სახეს ატარებს. მათი კედლების სისქეც შედარებით ნაკლებია. რაც შეეხება ძირითად ნაგებობას მისი წყობა შედგენილია მასიური ლოდებით, რომლებიც ერთმანეთს ოსტატურადაა მორგებული. ლოდებს შორის უსწორმასწორო არეები მცირე ზომის ქვებითაა შევსებული. კომპლექსის ყველა კედელი მშრალი წყობით, უდუღაბოდაა ამოყვანილი. მთავარი შენობის გარე და შიდა პირებს შორის არე ამოვსებულია

მცირე ზომის ქვა-ყრილებით, ხოლო იმავე კედლების წყობის პრინციპი განსხვავებულია. ექსტერიერში გვხვდება მხოლოდ ლოდოვანი წყობის, მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული, ჰორიზონტალურ რიგზე გასწორებული, ქვები, ხოლო ინტერიერის კედლები ნაგებია შედარებით მცირე ზომის „ლოდოვანი ფილების“ წყობით. აღნიშნულ შემთხვევაში, სპეციალურად შერჩეული, შედარებით თხელი, წაგრძელებული „ლოდოვანი ფილები“ ერთმანეთის თავზე დიაგონალურად ურთიერთ-საპირისპირო მხარესაა ნაწყობი, რაც საერთო სახით „თევზისფიხისებრ“ ეფექტს ქმნის. ინტერიერში გამართული ამგვარი წყობა ასევე რიგების ჰორიზონტალურობის დაცვითაა შედგენილი.

არსებული მონაცემების, შემორჩენილი ნაწილებისა და დაზიანების მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, რთულია კომპლექსის საერთო გეგმარებითი, არქიტექტურულ-კონსტრუქციული თუ მხატვრულ-სივრცითი ორგანიზების წარმოდგენა. კომპლექსი უთუოდ საჭიროებს დამატებით კვლევებს, რომლის შემდგომაც შესაძლებელი იქნება მისი აგებისა და ფუნქციის ზედმიწევნით ზუსტი განსაზღვრა. წარმოდგენილი მონაცემები - მშრალი წყობა, კედლებზე გამოყენებული ლოდები, მათი წყობის ხასიათი, გეგმარება, განთავსების გეოგრაფიული არეალი და სხვა მცირე დეტალები გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ კომპლექსის სახით საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურის ერთ ტიპთან, რომლის შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარმოჩენა სამომავლო კვლევის შედეგად იქნება შესაძლებელი.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ციხის საერთო ხედი

ფოტო 2. ციხის ჩრდ. კედლის წყობა

ფოტო 3. ციხის ჩრდ. კედლის ბურჯი

ფოტო 4. ციხის დას. კედელი

ფოტო 5. ციხის დას. კედლის ბურჯი

მიგნარინჩი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი მიგნარინჩი, თანამედროვე ბუიუკდერე, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Büyükdere, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობის ნანგრევები მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით დაახლოებით 1-1.5 კილომეტრის მოშორებით, სოფელში შემავალი ცენტრალური გზის სიახლოვეს, მისგან 400-500 მეტრში, შემაღ-ლებულ ბორცვზე, ხევის პირას (40°03'34.44"N; 41°36'47.19"E). სახნავ-სათესი მიწების ტერიტორიაზე, ხევის პირას შემაღლებული ბორცვის ბაქანზე მდებარე ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული, ამიტომ მისი ზომებისა და საერთო მასშტაბის ზუსტი დადგენა რთულდება. წინამდებარე ბორცვის და მის მთელ პერიმეტრზე მოქცეული ძეგლის გათვალისწინებით მისი სიგრძე დაახლოებით 40-50 მეტრი, ხოლო სიგანე 30-35 მეტრი უნდა იყოს. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 0.5-0.8 მეტრია – კედლის სისქე კი 1.5-1.8 მეტრამდე უნდა ყოფილიყო.

ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული და თითქმის მიწის პირამდეა განადგურებული. იკითხება მხოლოდ მისი ზოგადი გარშემოწერილობა და კედელთა მცირე ფრაგმენტები სხვადასხვა მონაკვეთზე. აღსანიშნავია, რომ ჩანს შენობის სრული გარშემოწერილობა, წრიული გეგმარების ნაგებობის ზოგადი პროპორციები, თუმცა აღარ იკითხება მისი კედლის წყობა და მასში თუ მის გარეთ მოქცეული ობიექტების კვალი – ისინი მხოლოდ მცირე ფრაგმენტების სახითაა მოღწეული დღემდე. გარდა ბუნებრივი დაზიანებისა ჩანს ხელოვნურად, განძის მაძიებელთა მიერ ხელყოფილი არეები, გადა-თხრილი მონაკვეთები, მიმობნეული მიწა და ქვის ყრილები.

შემაღლებული ბორცვის თავი, მასზე არსებული, მოსწორებული თხემი სრულად ეთმობა წრიული გეგმარების ნაგებობას, რომლის შიდა პერიმეტრზეც გვხვდება სხვადასხვა მოხაზულობის კედლების ნაშთები, რაც შიდა „უბნების“ დანაწევრებაზე უნდა მიუთითებდეს. ნაგებობის მომსაზღვრელი უწყვეტი „გალავნის“ კედლები დანგრეულია თუმცა ზოგიერთ ადგილას ვხვდებით მშრალი წყობით ნაგებ სეგმენტებს. აღნიშნულ არეებზე, ინტერიერის მხარეს, ფიქსირდება საშუალო ზომის ლოდებით ნაგები კედლები. გარე წყობა ჩაშლილია და მისი ნაშთები ფერდზეა ჩამოწოლილი. როგორც ადგილზე არსებული მონაცემებით ჩანს გარე და შიდა ლოდებს შორის არსებული კედლის სიცარიელე შედარებით წვრილი ქვა-ყრილით უნდა ყოფილიყო ამოვსებული. ამჟამად ძეგლის ზედაპირზე მობნეული ქვების დიდი ნაწილი მომცრო ზომისაა, რაც გვაფიქრებინებს, რომ გარშემოწერილობაზე, მიწის ქვედა დონეზე უნდა იყოს შემორჩენილი მასიური ლოდებით ნაწყობი კედლების ფრაგმენტები. შენობის შიდა მხარეს, სხვადასხვა მონაკვეთზე, ფიქსირდება მართკუთხა და წრიული მოხაზულობის კედლების მცირე ნაშთები. დასახელებულის გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ ნაგებობის შიდა პერიმეტრზე არსებობდა გარკვეული დანიშნულების „მიკრო-სათავსები“, რომელთა დანიშნულება ამ ეტაპზე, დამატებითი კვლევების გარეშე, დაუდგენელია. ბორცვის დაქანებულ ფერდებზე ვხვდებით სხვადასხვა ნაგებობის კვალს – მათ შორის, ჩანს ერთმანეთს მიჯრით მიწყობილი ორი მართკუთხა გეგმარების სათავსის კვალი – კედლების სიმაღლე 0.3-0.4 მეტრამდეა და მათი სრული გარშე-მოწერილობა აღარ იკითხება. ასეთსავე წყობებს ვხვდებით ფერდის სხვა მხარესაც, სადაც გარშემოწერილობა არა კვადრატული, არამედ შერეულია - ჩანს, როგორც კვადრატული, ისე წრიული გეგმარების სათავსთა კვალი. დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ბორცვის ძირზე, ქვედა ტერასაზე, ნაგებობის

გარშემომწერი კიდევ ერთი გალავანი ყოფილიყო, რომლის ადგილას ახლა მხოლოდ არეული რელიეფი და მცირე რაოდენობის ქვა-ყრილებია დაფიქსირებული. საყურადღებოა, რომ თავად ძირითადი შენობის მთავარი კედლების სისტემაში ფიქსირდება წრიული გეგმარების მცირე ჩანართები, სხვადასხვა ინტერვალით. ამ ნაშთების ზუსტი კვალი, სრული გეგმარება და ზომები აღარ იკითხება, ჩანს მხოლოდ მინიშნების დონეზე დარჩენილი ყრილები, რომელთაგან მხოლოდ ზოგადი კონტური აღიქმება. ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს ძეგლის შიდა მხრიდან „გალავანს“ მიდგმული ერთგვარი „კონტრფორს-კოშკები“, თუმცა დამატებითი კვლევების გარეშე ამის დადასტურება შეუძლებელია.

ნაგებობა მოითხოვს დამატებით მრავალმხრივ კვლევებს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მისი არქიტექტურულ-გეგმარებითი, კონსტრუქციული და ფუნქციური თავისებურებების გამორკვევა. კვლევების გარეშე ძნელია მისი სავარაუდო თარიღის განსაზღვრა. ძეგლის გეოგრაფიული განთავსებით, მისი პროპორციებით, წყობის ხასიათითა და საერთო გეგმარებითი პრინციპებით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურისთვის სახასიათო სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურის ერთ-ერთ ნიმუშთან, რომელიც სამომავლო კვლევებს საჭიროებს.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში ჯინის ციხედ.

ფოტო 1. ნაგებობის საერთო ხედი

ფოტო 2. ნაგებობის ინტერიერი, კედლის ფრაგმენტები

ფოტო 3. განძის მაძიებელთა განათხარი

ფოტო 4. გალავნის კედლის ფრაგმენტები

პატარა ტუ, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი პატარა ტუ, თანამედროვე ქუჩუქტუი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Küçüktuy, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის განაპირას მაღალი მთის თხემზე, მოვაკებულ ტერიტორიაზე, სოფლის ცენტრიდან დასავლეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრის მოშორებით (40°00'34.07"N; 41°25'30.93"E). გზა ნაწილობრივაა გაჭრილი, ხოლო დანიშნულების წერტილამდე მისვლა მხოლოდ ფეხითაა შესაძლებელი. ძეგლი განთავსებულია კლდოვან-ლოდოვანი რელიეფის მქონე მთის შემაღლებული ფერდის განაპირა მონაკვეთზე. მისი საერთო ზომები საკმაოდ შთამბეჭდავია - სიგრძე დაახლოებით 60-70 მეტრია, ხოლო სიგანე 40-50 მეტრს უახლოვდება. გარდამავალი დაცულობის მქონე კედლების მაქსიმალური სიმაღლე დაახლოებით 2-2.5 მეტრია, ხოლო მისი სიგანე 2 მეტრამდე აღწევს.

ძეგლის ძლიერი დაზიანების გამო, ყველა ზომა და მითითებული პარამეტრი მეტ-ნაკლები სიზუსტითაა წარმოდგენილი. სადღეისოდ მისგან მხოლოდ ქვაყრილებია დარჩენილი, თუმცა ფრაგ-მენტულად იკითხება კედლის წყობა და კონსტრუქციულ-ფუნქციური დანიშნულების მქონე მონაკვეთები. საყურადღებოა, რომ წრიული დაგეგმარების ნაგებობის მომსაზღვრელი კედლები უმეტესად გარეთაა გადაქცეული და შესაბამისად, მისი წყობის ნაშალით შედგენილი ქვა-გროვები მეტწილად ობიექტის გარე პერიმეტრს შემოსდევს.

დიდი ზომის, მშრალი წყობით ნაგები ძეგლი წრიული გეგმარებისა, ხოლო მასში შესასვლელი ერთადერთი ღიობი დასავლეთიდანაა მოწყობილი. არსებული მონაცემებისა და ნანგრევების მიხედვით ჩანს, რომ შენობის დასავლეთით, მთის ფერდის თავისუფალი მხრიდან მოწყობილი შესას-ვლელი მცირე, 2.5-3 მეტრის სიგრძის მქონე, „კორიდორული“ სისტემითაა ნაგები. კარის ღიობის სიგანე დაახლოებით 3 მეტრია. ფრაგმენტულად განირჩევა კედლის წყობა, სადაც ჩანს დიდი ზომის, არაწესიერი ფორმის, ლოდების ქვედა რიგი და მასზე დამყარებული შედარებით მცირე ზომის ქვებით ნაგები კედლები. ლოდებსა და მოზრდილი ზომის ქვებს შორის „საფასადო წყობის“ ნაწილებზე შემავსებლად მოთავსებულია მცირე ზომის ნატეხები – გარე და შიდა „პერანგს“ შორის შემავსებლად ასევე მცირე ზომის ქვებია ნახმარი. კედელთა წყობის გათვალისწინებით ჩამოშლილი არეები, ანუ ზედა ნაწილები, შედარებით მცირე ზომის ქვებს წარმოადგენს. ქვა-შლილით დაფარული ძეგლის პერიმეტრზე, აქა-იქ ჩანს კედლის წყობის მცირე ნაწილები, რაც გვაფიქრებინებს, რომ რეალურად მათი ზომა გაცილებით დიდი, ხოლო ყრილებს ქვემოთ კონსტრუქციის დაცულობა მეტია. ძეგლის მთელ პერიმეტრზე, უმეტესად შიდა კედლებზე, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში გარეთაც, მოცემულია წრიული გეგმარების, მცირე ზომის „გოდოლ-კოშკისებრი“ კონსტრუქციები, რომელთა საშუალო დიამეტრი 1.5-2 მეტრს აღწევს. აღნიშნული ელემენტების კონკრეტული ფუნქციური დანიშნულება სადღეისოდ უცნობია, თუმცა საფიქრებელია, რომ სხვა ყველაფერთან ერთად, მათ გალავნის კონტრ-ფორს-დამცველის ფუნქციაც ექნებოდა. მოცემული ნაწილები ძირითად წყობაში ერთი მხრითაა შედგმულ-შეწყობილი. გარდა წრიული გეგმარების ელემენტებისა, გვხვდება მართკუთხა მოხაზუ-ლობის, შედარებით მოზრდილი სათავსების საძირკვლები, რომელთა დანიშნულებაც, ამ ეტაპზე, ასევე გაურკვეველია. ერთი კი ცხადია – ამგვარი კონსტრუქციები კედელ-გალავანს გარკვეული ინტერვალების დაცვით მიუყვება და მათი საერთო რაოდენობა 10-მდე აღწევს. მნიშვნელოვანია, რომ ნაგებობის შიდა პერიმეტრზე საკმაოდ მრავლად ფიქსირდება უსისტემოდ გავლებული, ნატეხი ქვით შედგენილი, კედლის წყობის ფრაგმენტები, რაც, სავარაუდოდ, შიდა „უბნების“ დანაწევრებას უნდა მიუთითებდეს. ამჟამად მათი, რაიმე სახით, კონკრეტული ფორმის გამოკვეთა შეუძლებელია დაზიანების გათვალისწინებით, თუმცა კედლების ნაწილი საკმაოდ მძლავრია. ბუნებრივი რელიეფის გათვალისწინებით, ნაგებობა დაცული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ორი მხრიდან, რადგან სამხრეთითა და აღმოსავლეთით მთის ფერდსაა მორგებული.

არსებული მონაცემების საფუძველზე, დაზიანებათა მაღალი ხარისხისა და მცენარეული საფარის გათვალისწინებით რთულია ნაგებობის სრული არქიტექტურული სახის წარმოდგენა, ისევე, როგორც მისი კონსტრუქციული, ფუნქციური თუ მხატვრული გააზრების რაგვარობა. საერთო პროპორციებით, გეგმარებით, სამშენებლო ტექნიკით, განთავსების არეალით, მშრალი ქვის ლოდოვანი წყობით ის

აშკარა კავშირს ავლენს მეგალითური კულტურის სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურასთან, თუმცა არსებული მოსაზრების დასადასტურებლად საჭიროა მრავალმხრივი კვლევა. გაწმენდითი სამუშაოები, ხოლო შემდგომ მისი სამეცნიერო შესწავლა ნათელს მოჰფენს, როგორც ძეგლის არქიტექტურულ-სივრცითი გადაწყვეტის თავისებურებეს, ისე მისი აგების სავარაუდო თარიღს.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ნაგებობის საერთო ხედი

ფოტო 2. გალავნის კედლები და შესასვლელი

ფოტო 3, 4. ინტერიერი, კედლის ფრაგმენტები

ფოტო 5. გალავნის კედლის ფრაგმენტები

ფოტო 6. ინტერიერი, კედლის ფრაგმენტები

პორსუკი, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი პორსუკი, თანამედროვე პორსუკი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Porsuk, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

სოფელში, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, ყოფილა ეკლესია, რომელიც გადმოცემით იციან, თუმცა ზუსტ ადგილს ვერ უთითებენ. ერთ-ერთი ნაგებობის წყობაში, საფასადო მხარეს, ფიქსირდება ქვა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით (40°01'30.32"N; 41°33'43.17"E). ადგილობრივთა თქმით, სოფლის ტერიტორიაზე ასევე შემორჩენილია ჩუქურთმებითა და გამოსახულებებით შემკული ქვები, რომელთა მიკვლევაც ექსპედიციის ფარგლებში ვერ მოხერხდა. კედლის წყობაში ჩართული ჯვრის რელიეფური გამოსახულება, შესრულების ტექნიკითა და სტილისტური ნიშნებით გვიანი შუა საუკუნეების ხელობას უნდა წარმოადგენდეს. ქვა აღნიშნული გამოსახულებით სახლის საფასადო მხარეს, ბეტონის სხმულშია მოქცეული და დანამდვილებით მეორადი გამოყენების შედეგადაა აქ მოხვედრილი. სტილისტური თვალსაზრისით მართკუთხა მოხაზულობის ქვის კუთხოვანი გაფორ-მების ელემენტები და თავად ჯვრის მკლავთა გადაწყვეტა სიახლოვეს ამჟღავნებს ხაჩქარებზე არსებული ჯვრის ზოგად კომპოზიცია-გადაწყვეტასთან.

საფიქრებელია, რომ აღნიშნული გამოსახულება და სოფლის ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, მიმობნეული ჩუქურთმოვან-გამოსახულებიანი ქვები საკულტო ნაგებობას ეკუთვნოდა, რომელიც განადგურდა, ხოლო მისი ნაშთები სხვადასხვა სახით იქნა გამოყენებული.

ეკლესია და ქვები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ნაგებობის სართო ხედი

ფოტო 2. ქვა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით

პორსუკი, მშრალი წყობის ნაგებობები სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი პორსუკი, თანამედროვე პორსუკი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Porsuk, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით, ტბის პირას, ფერდზე მდებარეობს რამდენიმე ნაგებობის ნანგრევი (40°02'24.17"N; 41°34'25.17"E), რომელთა ზუსტი დანიშნულება უცნობია. შენობათა ნაშთები განთავსებულია მცირედი დამრეცობის ფერდობზე, ტბიდან დაახლოებით 100-150 მეტრის მანძილზე, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ადგილზე შემორჩენილია რამდენიმე შენობის ნაშალი – მათ შორის ცენტრალური, შედარებით დიდი ზომის, ობიექტი მართკუთხა გეგმარების, მშრალი წყობით ნაგები ერთგვარი გალავანია, რომლის შიდა პერიმეტრზეც შენობათა კვალი არ ფიქსირდება – მისი დაახლოებითი სიგრძე 40-45 მეტრი, ხოლო სიგანე 25-30 მეტრია. შემორჩენილი კედლების სიმაღლე მოცემულ მონაკვეთზე გარდამავალია, თუმცა მეტ-ნაკლებად ყველა მხარე თანაბარი დაცულობით ხასიათდება – გვხვდება კედლის წყობა 1.2-1.4 მეტრამდე. აღნიშნული ნაგებობის ირგვლივ იკითხება კიდევ რამდენიმე შენობა – ერთ-ერთი მართკუთხა გეგმარების ძეგლი საკმაოდ მაღალი დაცულობისაა და მისი კედლების სიმაღლე 2-2.5 მეტრს აღწევს. სათავსი კვადრატულია და მისი სიგრძე-სიგანე დაახლოებით 3x3.5 მეტრია. გარდა დასახელებულისა, ფიქსირდება კიდევ ორი, შედარებით დაბალი დაცულობისა და მართკუთხა გეგმარების სათავსი, რომელთა კედლების სიმაღლე გარდამავალია და 0.5-2 მეტრს შორის მერყეობს.

მშრალი წყობით ნაგები დიდი ზომის, მართკუთხა გეგმარების, ნაგებობის კედლების სისქე 1.3-1.5 მეტრია. დანარჩენი მცირე ზომის შენობების კედელთა სისქე შედარებით მცირეა და დაახლოებით 1-1.2 მეტრს შორის მერყეობს – აქედან ერთი, ყველაზე მაღალი დაცულობის მართკუთხა ნაგებობა დუღაბზეა ამოყვანილი, ხოლო დანარჩენში არავითარი ხსნარი არ იკითხება.

შენობები ძლიერაა დაზიანებული, თუმცა მაინც იკითხება თითქმის ყველა მათგანის გეგმარებითი თავისებურება, ხოლო ნაწილის შემთხვევაში საკმაოდ მაღალი კედლებიც. დიდი ზომის, გალავნისებრი მოხაზულობის წყობით შემოსაზღვრული ნაგებობისგან მხოლოდ დაბალი კედლის ფრაგმენტებია დარჩენილი – მისი შიდა სივრცე კი სრულებით ერთგვაროვანია. არ იკითხება სხვა რამე შენობის კვალი. „კომპლექსის“ დანარჩენი ნაგებობებიდან მეტი დაცულობით კვადრატული გეგმარების სათავსი გამოირჩევა, ხოლო დანარჩენები ასევე გეგმარების დონეზე იკითხება. ქვის წყობა ყველა შენობაში თითქმის ერთგვაროვანია - გამოყენებულია საშუალო ზომის რიყისა და ფლეთილი ქვა, რომლებიც არეული სახითაა ნაწყობი.

ნაგებობათა შემორჩენილი ნაწილების მიხედვით რთული დასადგენია მათი აგების თარიღი. მიუხედავად ზოგად-გეგმარებითი მახასიათებლებისა და ქვის მშრალი წყობით აგების პრინციპისა, რომელსაც შესაძლოა არქაული არქიტექტურული ვარიაციებისკენ წავეყვანეთ, ჩნდება იმგვარი გეგმარებითი, არქიტექტურული, კონსტრუქციული თუ მხატვრული თავისებურებები, რომელთა გათვალისწინებით ხსენებული არქაულობის განცდა უკანა პლანზე გადადის. მოცემულ შემთხვევაში ჩნდება მართკუთხა, კოშკური გეგმარების, კვადრატს მიახლოებული ნაგებობა, რომლის ერთ მხარეს მოწყობილია დაახლოებით 1 მეტრის სიგანის კარი, ხოლო ინტერიერში, კედლებში დატანებულია მართკუთხა მოყვანილობის ნიშები. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მოცემული შენობის სამშენებლო მასალად დუღაბია გამოყენებული. საყურადღებოა, რომ მშრალი წყობით ნაგები კედლების სამშენებლოდ მცირე ზომის ქვებია ნახმარი და არა ლოდოვანი ფილები ან დიდი ზომის ქვები.

ამრიგად, დამატებითი მრავალმხრივი კვლევის გარეშე ძნელია განისაზღვროს ნაგებობათა ამ ჯგუფის, „კომპლექსის“ ფუნქცია, მისი აგება-გამართვის თარიღი, შემადგენელ ნაწილთა კონკრეტული დანიშნულება და მათი ურთიერთმიმართება, ნაგებობათშორისი დროითი ინტერვალები და ა.შ. ხსენებულიდან გამომდინარე, ჩვენი მოსაზრებით შენობათა სადღეისოდ არსებული სახე, მოცემული არქიტექტურული თავისებურება, უფრო გვიან შუა საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს, თუმცა ეს არ გამორიცხავს უფრო ადრეული ფენის არსებობას, რაც შემდგომი კვლევის საგანია.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2. ნაგებობების ფრაგმენტები

ფოტო 3. ნაგებობების ფრაგმენტები

ფოტო 4. კედლის წყობა და ნიში

რაბათი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი რაბათი, თანამედროვე ჩალიიაზი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Çalıyazı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით, შემაღლებულ ბორცვზე. ძეგლის ადგილზე გადამოწმება ვერ მოხერხდა. თურქული ლიტერატურის მიხედვით [უნგორი და სხვ., 2014, ერზინჯანის და ერზურუმისპროვინციების 2012 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.], ნაგებობის კედლები მთლიანად მორღვეულია და მხოლოდ რამოდენიმე ადგილას საძირკვლის დონეზეა დარჩენილი. დასავლეთ ნაწილში შემორჩენილი ნაგებობის ფრაგმენტები სავარაუდოდ შესასვლელს ეკუთვნის. შიდა ტერიტორიაზე ოვალური ფორმის, მცირე ზომის 2 ნაგებობაა, რომლებიც თურქი მკვლევარის ვარაუდით საფლავებს უნდა წარმოადგენდნენ. ნაგებობის დასავლეთით შეინიშნება ნასახლარის ნაშთები. ეს ნაგებობა თურქულ წყაროში ციხედ იხსენიება.

ფოტო 1. ნაგებობის საერთო ხედი (უნგორი და სხვ., 2014)

სანსორი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი სანსორი, თანამედროვე ტაშლიგუნეი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Taşligüney, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობის ნაშთები განთავსებულია სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 4 კილომეტრის მოშორებით, ხეობაში. ძეგლი მოქცეულია შემაღლებული, კრატერის ფორმის ბორცვის თხემზე, რომელიც ოთხივე მხრიდან მოსაზღვრულია მაღალი მთებით (40°04'16.86"N; 41°46'12.73"E). რთული გეოგრაფიული პირობების გამო, ნაგებობის ადგილზე მონახულება ვერ მოხერხდა, თუმცა შესაძლებლობა მოგვეცა, მის ირგვლივ არსებული მთებიდან მასზე დეტალური დაკვირვებისა, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია დაახლოებით განვსაზღვროთ მისი მასშტაბი და ზომები. წრიული გეგმარების ნაგებობის სიგრძე დაახლოებით 35-40 მეტრი, ხოლო სიგანე 30-35 მეტრი უნდა ყოფილიყო. კედლები აღარაა შემორჩენილი, თუმცა კრატერისებრი მოყვანილობის მთის თხემზე, მისი წრიული გეგმარების პერიმეტრზე განირჩევა მცენარეული საფარის ქვეშ მოქცეული ქვა-ყრილის ბორცვები. აღნიშნული შვერილობა ძეგლს მთლიანად შემოსდევს, რაც, უთუოდ, მის ქვეშ ოდესღაც არსებულ კედლებზე მიანიშნებს. მთის ფერდობზე განირჩევა ასევე ჩამოწოლილი წყობის ქვა-გროვები – აღნიშნული კიდევ ერთ დასტურად უნდა მივიღოთ მოცემულ მონაკვეთზე ნაგებობის არსებობის მიმართულებით.

მთის თხემზე, ოდნავ დაქანებულ ზედაპირზე შემოვლებული უნდა ყოფილიყო კედლების სისტემა, რომლებიც დიდი ალბათობით მშრალი წესით იყო ნაგები. აღნიშნული გეგმარებიდან მხოლოდ კონტურებია გარჩევადი, თუმცა ადგილ-ადგილ შეიმჩნევა ქვის ჩამოშლილი ყრილებიც. თავის მხრივ, გეგმარებითი სტრუქტურის გარჩევადი „გალავნის“ ფრაგმენტები, ბორცვებად შემორჩენილ პერიმეტრზეა წარმოდგენილი.

ადგილობრივი მოსახლეობა მოცემულ ობიექტს მოიხსენიებს, როგორც „ბიჭის ციხე“ და მიუთითებენ მოშორებით ადგილს, სადაც უნდა მდგარიყო მეორე - „გოგოს ციხე“. გარდა ამისა, აღნიშნული ნაგებობის ნანგრევის სიახლოვეს არსებული ხევი, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, მოიხსენიება, როგორც „წმ. მარიამის ხევი“. მოცემული ტოპონიმიკიდან გამომდინარე და ადგილზე შემორჩენილი ნაშთების გათვალისწინებით, საჭიროა ძეგლისა და მიმდებარე ტერიტორიის მრავალმხრივი, საფუძვლიანი კვლევა, რომლის შემდგომაც შესაძლებელი იქნება წარმოდგენილი ნაშთის დაახლოებითი თარიღისა და ისტორიულ-კულტურული ღირებულების განსაზღვრა.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1, 2. ნაგებობის საერთო ხედი

სერჩებოღაზი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი სერჩებოღაზი, თანამედროვე სერჩებოღაზი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Serçeboğazı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობის ნაშთები განთავსებულია სოფლიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით მაღალი მთის თხემზე (40°00'38.79"N; 41°39'13.39"E). ძეგლი მდინარის პირას, მაღალი და შთამბეჭდავი მასშტაბის მთის თხემზე ყოფილა გაშენებული, თუმცა ამჟამად მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. ბასიანის რეგიონის მეგალითური კულტურის აღმშენებლობის ფონზე მოცემული ნაგებობა, უფრო კი მისი განთავსების გეოგრაფიული გარემო ძლიერ გამორჩეულია. თხემზე ძეგლისგან მხოლოდ მცირე ნაშთებია დარჩენილი, მაგრამ შესაძლებელია საერთო გეგმარების ზოგადი სახით წარმოდგენა. არსებული მცირე ფრაგმენტებისა და სტრუქტურების გათვალისწინებით საქმე გვაქვს ოვალური დაგეგმარების შენობასთან, რომელიც ნაგები ყოფილა მშრალი ყწობით - ადგილ-ადგილ განირჩევა კედელთა მცირე ნარჩენები, ხოლო ზოგან მხოლოდ ნაშალი ქვის სტრუქ-ტურები გვავარაუდებინებს უწინდელ მშენებლობას.

საფიქრებელია, რომ მთის ძირს შემოყოლებული დიდი თხრილი, რომელიც სადღეისოდ სარწყავ არხადაა გამოყენებული, ნაგებობის ფუნქციონირების დროინდელი სათავდაცვო თხრილის განახ-ლებას წარმოადგენდეს, რაც მეგალითური კულტურის არაერთი მშენებლობის შემთხვევაშია დაფიქსირებული - თუნდაც იმავე ბასიანის რეგიონში.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2. ნაგებობის საერთო ხედი

სურბოღანი, მეგალითური (?) ციხე

ისტორიული ბასიანის სოფელი სურბოღანი, თანამედროვე იორენტაში, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Örentaş, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

მიწის პირამდე მოსწორებული და ძლიერ დაზიანებული, თითქმის სრულებით განადგურებული ნაგებობის ნაშთები განთავსებულია სოფლის განაპირას, სამხრეთ მხარეს, დაახლოებით 200-300 მეტრში, შემაღლებული, ბუნებრივად დატერასებული, მთების კალთებზე (40°04'57.79"N; 41°51'37.75"E). სადღეისოდ არსებული მონაცემების, დაცულობისა და ადგილზე არსებული ნაშთების ფრაგმენტულობის გათვალისწინებით ძნელი დასადგენია შენობის სრული პროპორციები და ზომები. ძეგლი განთავსებული უნდა ყოფილიყო მაღალი მთის ტერასული რელიეფის რომელიმე მოსწორებულ ბაქანზე, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ნაგებობა გაცილებით დიდი მასშტაბისა იყო და მოიცავდა ამ ბუნებრივად ხელსაყრელი მთის სხვადასხვა კალთას. ამ ეტაპზე შემორჩენილი ნანგრევებით ძნელი მისათითებელია კონკრეტული ზომები, რადგან სხვადასხვა ფრაგმენტი, კედლის წყობის მცირე ნაშთი, ერთმანეთისგან მოშორებით მთელი მთის თხემზე განირჩევა. მოცემული მონაკვეთის, დატერასებული ბორცვების, საერთო სიგრძე 500-600 მეტრია.

ოდესღაც არსებული ძეგლისა თუ ნაგებობათა კომპლექსის სადღეისოდ არსებული მდგომარეობა საგანგაშოა, რადგან განადგურებულია მისი ყველა ნაწილი. დაზიანების ხარისხი საკმაოდ მაღალია და გვხვდება მიწის ზედაპირამდე მოსწორებული ნაშთები. ერთადერთი მიმანიშნებელი, მოცემულ ტერიტორიაზე ოდესღაც არსებული ძეგლისა, მცირე ქვა-ყრილები წარმოადგენს, რომლებიც ძლიერ ფრაგმენტული სახითაა შემორჩენილი. ქვის გროვები ზოგიერთ მონაკვეთზე მეტი ინტენსივობით, ზოგან კი – ნაკლები რაოდენობით აღიქმება. ესაა მცირე ზომის ნატეხები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათ ქვეშ შესაძლოა დარჩენილი იყოს ძველი წყობის ფრაგმენტები. ასეთი ქვა-ყრილები, თუ მიწით დაფარული გროვა-კედლები შემჩნევადია რამდენიმე მონაკვეთზე.

დღეის მდგომარეობით ძნელია განისაზღვროს ძეგლის საერთო გეგმარებითი სტრუქტურა, თუმცა არსებული ნაწილების მიხედვით შესაძლებელია გარკვეული ვარაუდის გამოთქმა. ერთიანი, მაღალი მთის კეხი, წვერიდან მოყოლებული დაბლობამდე, მოიცავს მცირე ზომის მოსწორებულ ტერასა-ბაქნებს, რომელთა არეალშიც ფიქსირდება, მიწის ქვეშ მოქცეული ან ზედაპირზე მცირე რაოდენობით შემორჩენილი, ქვის ნაშალი სტრუქტურები. სწორედ ამ მასალის გათვალისწინებით ვუშვებთ, რომ ნაგებობა არა ერთი, არამედ რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა - ამდენად, ათვისებული იყო ბუნებრივად მომგებიანი, კარგად დაცული, მთის ფერდობი და თხემი.

ზედმიწევნითი, მრავალმხრივი კვლევების გარეშე, დღეის მდგომარეობით შეუძლებელია ძეგლის შესახებ რაიმე კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება, რომელიც მინიშნებას მოგვცემს მისი ზოგადარქიტექტურული, გეგმარებითი, კონსტრუქციული თუ ფუნქციური დანიშნულების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ნაშთების განთავსების არეალი, მათი ზოგადი სტრუქტურა და ქვის შემორჩენილი ფრაგმენტები მიგვანიშნებს მეგალითური კულტურის არქიტექტურისათვის სახასიათო მშენებლობაზე, თუმცა ეს მხოლოდ მოსაზრებაა და ობიექტი სამომავლო კვლევებს საჭიროებს.

თურქულ ლიტერატურაში ძეგლი მოხსენიებულია ციხედ.

ფოტო 1. სოფელი სურბოღანი, ხედი ციხის მიდამოებიდან

ფოტო 2. ციხის საერთო ხედი

ფოტო 3. ნაგებობის ნაშთები

ფოტო 4. გალავნის ქვედა ტერასები

ფოტო 5. გალავნის ზედა ტერასა

აღსანიშნავია, რომ სოფლის ტერიტორიაზე ფიქსირდება სახლები, რომელთა კედლებშიც მოქცეულია სხვადასხვა სახით გაფორმებული ქვები. ერთ-ერთ სახლზე შემორჩენილია პროფილირებული, საფეხუროვანი კარნიზის ქვები და საფასადო წყობაში მოქცეული კვადრი ცხოველის (ცხენი, ვირი) გამოსახულებით. ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული, ხოლო ხსენებული ელემენტების თავდაპირველი კუთვნილება ძეგლისადმი არ მიგვაჩნია გამორიცხულად – შესაძლოა ეს ფრაგმენტები იმთავითვე სახლის სამშვენისს, მისი მხატვრული გააზრების ნაწილსა და დეკორს წარმოადგენდა.

ფოტო 6. სახლის საერთო ხედი

ფოტო 7. კარნიზის ქვის ფრაგმენტი

ფოტო 8, 9. ცხოველის გამოსახულება სახლის ფასადის ქვაზე

ტაღუნსი, კლდეში ნაკვეთი მონასტერი

ისტორიული ბასიანის სოფელი ტაღუნსი, თანამედროვე კარატაშლარი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Karataşlar, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

კლდეში ნაკვეთი კომპლექსი მდებარეობს სოფლის სიახლოვეს, მისგან აღმოსავლეთით, სოფელში შემავალი ცენტრალური გზის პირას, დაახლოებით 300-400 მეტრის მოშორებით, კლდოვან ქედზე (39°51'00.68"N; 41°57'50.52"E). კლდოვანი მასივი ერთიანად დაუყვება მთის ფერდს და მისი საერთო სიგრძე 500-600 მეტრია. აქედან სათავსები მოქცეულია კლდოვანი კეხის საწყის მონაკვეთზე, ზედა მხარეს, სადაც სადღეისოდ შემორჩენილია სამი დიდი ზომის და ორი შედარებით მომცრო სენაკი და ეკლესია. პირობითად პირველი სათავსი სიგრძით 4-5 მეტრი, სიგანით კი 3-3.5 მეტრი იქნება. აღნიშნული სათავსის ნაწილი ჩამოშლილია და ამდენად არ იკითხება შესასვლელი, ხოლო მის სიღრმეში, საერთო სივრცეში კიდევ ერთი შენაჭრელი არეა. ამ მონაკვეთის დაზიანება, როგორც ჩანს, ერთდროულად მომხდარა, რადგან ხსენებული, დაზიანებული შესასვლელის გვერდით ვხვდებით ასევე ჩამოშლილ არეს, სადაც კლდის პირს შერჩენილია გამოკაფული სეგმენტები - მათი დანიშნულება უცნობია. შედარებით უკეთაა შემორჩენილი მცირე ზომისა და მართკუთხა ფორმის ქვაბული სივრცე, რომლის შესასვლელის პირზეც ხაზოვანი ჩანაკვეთით შესრულებულია საპირე-ფრონტონისებრი კვეთილობა. აღნიშნული სათავსის სიგრძე დაახლოებით 1-1.2 მეტრი, სიმაღლე 0.4-0.6 მეტრი, ხოლო სიგანე 0.6-0.7 მეტრი უნდა იყოს. სადღეისოდ ძნელი სათქმელია თუ რა დანიშნულება შეიძლება ჰქონოდა მოცემულ სათავსს. გარდა დასახელებულისა, ძლიერი დაზიანება იკითხება ოდნავ მოშორებით, დამოუკიდებლად არსებულ კიდევ ერთ მონაკვეთზე, სადაც მოცემულია ორი სათავსი, რომლებიც ერთმანეთს დიდი კარითა თუ თაღით უკავშირდება. აღნიშნულ მონაკვეთზე ასევე შეიმჩნევა კლდის ჩამონაშალი სეგმენტი, რომელმაც ერთი მხრიდან გააშიშვლა ქვაბულის ინტერიერი. დასახელებული სათავსებიდან დასავლეთისა მართკუთხედისკენ მიმართული დისპროპორციული გეგმარებისაა, ხოლო აღმოსავლეთისა, სადაც ეკლესია ყოფილა მოწყობილი მეტად უახლოვდება მართკუთხედს – პირველი სათავსის სიგრძე-სიგანე 5×4 მეტრია, ხოლო ეკლესიის სიგრძე 3-3.5, სიგანე კი 2 მეტრი უნდა იყოს. ყველა ქვაბულის გარე თუ შიდა პერიმეტრზე განირჩევა სხვადასხვა ტიპის დაზიანებათა კვალი. უმეტესად გვხვდება ჩამოშლილი კლდოვანი მასივის ნაწილი, რომლის გამოც აღარ აღიქმება, ოდესღაც არსებული, სათავსების სრული სახე.

ერთიანი კლდოვანი მასივის რამდენიმე მონაკვეთზე ფიქსირდება კლდეში ღრმად ნაკვეთი სხვადასხვა დანიშნულების სათავსი. ისინი პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველი ჯგუფი მოქცეულია კლდის ზედა მხარეს, სოფლის გზასთან უფრო ახლოს, ხოლო მეორე მისგან დაახლოებით 50-60 მეტრის მოშორებით, მასივის თითქმის შუა წელზე. პირველი, მოზრდილი ქვაბული დისპროპორციული გეგმარებისაა, თუმცა მის სიღრმეში მოცემულია მართკუთხა, წაგრძელებული და ბოლოში აფსიდისებრი მოხაზულობით დასრულებული მონაკვეთი, რომელიც შეიძლება სენაკის სამლოცველოდ მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ „აფსიდის“ ზედა მონაკვეთზე, „კონქის“ არეზე სარკმელია დატანილი. საერთო სახით, სათავსი არ გამოირჩევა მოწესრიგებული, გამიზნული გეგმარებითა და კვეთილობით, თუმცა ჩანს, რომ ის ხელოვნურად შექმნილი ქვაბულია, რომლის ერთ მხარესაც საკმაოდ მკაფიოდ იკითხება კლდეში შეჭრილი, გრძელი, იატაკის დონიდან დაახლოებით 0.2-0.3 მეტრის სიმაღლეზე განთავსებული ბაქანი, რაც, შესაძლოა დასაჯდომელს წარმოადგენდეს. მოცემული სივრცის წინა არე ჩამოშლილია და, შესაბამისად, მისი კარი, შესასვლელი ღიობი, აღარ იკითხება. ამასთანავე მოწყვეტილ-ჩამოშლილი კლდოვანი მასივის დანაკარგად უნდა მივიჩნიოთ დასახელებული ქვაბულის წინა პირზე არსებული და სადღეისოდ მხოლოდ მინიშნების დონეზე დარჩენილი, კვეთილობები – მათ შორის, ვერტიკალური ფორმის, თავის დროზე ცილინ-დრული, ჩანაკვეთი, რომელიც გამურულია და გვაფიქრებინებს, რომ ის რაიმე სახით ცეცხლთან იყო კავშირში. გვხვდება საფეხურები, კლდეში შეჭრილი მცირე ზომის ხვრელები და ქვაბულთა ზურგის არეები. მეორე კომპლექსი, რომელიც შედარებით ქვედა წელზეა წარმოდგენილი, ექსტერიერში, კლდეში ნაკვეთი ორი კარით იხსნება. ორივე შესასვლელი თანაბარი ზომისაა, თანაბარ სიმაღლეზეა განთავსებული, ორივე მათგანს მართკუთხა მოხაზულობა აქვს და სამხრეთ კედელშია გაჭრილი. მათი სავარაუდო სიმაღლე 1.3-1.5 მეტრია, ხოლო სიგანე 0.8-1 მეტრი. შესასვლელთაგან ერთი ეკლესიას, ხოლო მეორე მის დასავლეთით ნაკაფ დარბაზს უკავშირდება, ხოლო, თავის მხრივ, შიდა სივრცითი

ერთეულები ერთმანეთთან მაღალი, კლდეში ნაკვეთი თაღოვანი გასასვლელით კავშირდებიან. დასავლეთი სათავსის კუთხის მონაკვეთზე კლდის ფენა ჩამოშლილია, ხოლო თავად დარბაზის გეგმარებითი სტრუქტურა დისპროპორციულია. ამასთანავე ხსენებული სივრცის კედლები არაა კარგად დამუშავებული, განსხვავებით მის მიჯრით მოცემული მცირე ეკლესიისგან, რომელიც დარბაზული ტიპისაა და კარგადაა კლდეში გამოყვანილი. მართკუთხა გეგმის მქონე ეკლესია აღმოსავლეთით ნალისებრი ფორმის აფსიდით სრულდება, რომლის შუა არეზე, იატაკის დონიდან დაახლოებით 1 მეტრის სიმაღლეზე, დიდი ზომის, ნახევარწრიულ-რკალისებრი ფორმის, ნიშია გამოკვეთილი. მცირე ზომის კიდევ ერთი ნიში გვხვდება აფსიდის ჩრდილოეთ კედელში, ხოლო წრიული ფორმის, შიდა პირზე გაფართოებული წირთხლების მქონე, სარკმელი აფსიდისავე სამხრეთ კედელშია დატანილი. საკურთხევლის იატაკი დარბაზის დონიდან დაახლოებით 0.5-0.6 მეტრით მაღლაა ნაკვეთი. საკურთხევლის წინ, ჩრდილოეთ კედელში კიდევ ერთი ნიშია, რომელიც შედარებით დაბლა განთავსებული და მისი დანიშნულება გაურკვეველია. ამავე მონაკვეთებზე ორივე მხარეს, მოცემულია მცირე სიღრმის მართკუთხა ჩანაჭდევები, რაც შესაძლოა კანკელის კიდეებად მივიჩნიოთ, თუმცა ამის დადასტურება, დამატებითი კვლევების გარეშე, ვერ მოხერხდება. საკურთხევლის აფსიდის ნახევარწრიული თაღი ზემოთ ოდნავ ვიწროვდება. აღსანიშნავია, რომ იმავე საკურთხევლის ამაღლებული იატაკის შუა არეზე მოცემულია მართკუთხა ფორმის ჩანაკვეთი, რაც შესაძლოა ტრაპეზის ქვის ბუდედ მივიჩნიოთ, იმის მიუხედავად, რომ საკურთხეველი თავისთავად ძალზე მცირე ზომისაა და ტრაპეზის არსებობის შემთხვევაში მოძრაობა თითქმის შეუძლებელი ხდება. ბუდეებია დაფიქსირებული ტაძრის სამხრეთ კედელში გაჭრილი კარის მიდამოებში – ვფიქრობთ კარის საკედურებისთვის განკუთვნილი. კედლებზე ფიქსირდება მცირე ზომის, მარტივი პროფი-ლირების ჯვრის ხაზოვანი ჩანაჭდევები. აღნიშნული „დარბაზული“ ტიპის ტაძარი დასავლეთით ერთსაფეხუროვანი თაღითაა გახსნილი მასზე გაცილებით დიდი ზომის სენაკისადმი. ტაძრის დასავლეთ კედელზე, დასავლეთი სადგომის მხრიდან იკითხება სამკუთხა მოყვანილობის თავსართის მქონე ნიში. როგორც უკვე იყო აღნიშნული, დასავლეთი სადგომ-სენაკი ნაკლები სტრუქტურირებითა და დამუშავებით ხასიათდება.

კლდოვანი მასივის სივრცეში მოქცეული კომპლექსი, დიდი ალბათობით, სამონასტრო სივრცეს წარმოადგენდა, სადაც შემორჩენილი ნაწილებიდან ჩანს ორი ეკლესიის და სამი სხვა სათავსის კვალი, ხოლო დაკარგული არეები, სავარაუდოდ კიდევ უფრო მეტს მოიცავდა. ძეგლის თარიღის, მისი საერთო არქიტექტურული სახის, ცალკეული სათავს-სენაკების თავისებურებისა თუ ეკლესიათა სივრცით-კონსტრუქციული, ფუნქციური დეტალების დასადგენად საჭიროა დამატებითი, მრავალმხრივი კვლევები.

კლდეში ნაკვეთი ძეგლი მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. მონასტრის საერთო ხედი

ფოტო 2. ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთით

ფოტო 3. ინტერიერი, შესასვლელი

ფოტო 4. გამოქვაბულის შესასვლელები

ფოტო 5. ჩამოშლილი ქვაბული

კლდეში ნაკვეთი კომპლექსიდან დაახლოებით 300 მეტრში, მის ქვემოთ, სამხრეთით, კლდოვან ფერდზე გვხვდება მეტად საყურადღებო ნაკვეთობები (39°50'50.54"N; 41°57'52.49"E). კლდოვან შვერილებზე უხვადაა დატანილი მარტივი და შედარებით რთული პროფილირების ჯვრები – მათ შორის, კლდის ერთ მცირე მონაკვეთზე წარმოდგენილია 10-12 ჯვარი, რომლებიც ზედაპირიდან სიღრმეშია ჩანაკვეთი. მეორე ასეთივე „კომპლექტზე“ მოცემულია 6-7 ჯვარი, სადაც კვეთის ტექნიკა იგივეა, თუმცა ჯვრის ფორმებია განსხვავებული - ამ შემთხვევაში ჯვრის მკლავების კიდურა არეები გაფართოებულია. გვხვდება ისეთი მონაკვეთებიც, სადაც გამოქარვის გამო, ჯვრების მხოლოდ კონტურებიღა აღიქმება. ამავე მონაკვეთზე ვხვდებით კლდეში ან კლდოვანი ნაფლეთის ზედაპირზე ნაკვეთ მართკუთხა ბუდეებს, რომელთა დანიშნულებაც უცნობია. ამავე გადაწყვეტის, თუმცა წრიული მოხაზულობისა და ხელოვნური დამუშავების მქონე ერთი ობიექტი ზემოთ დასახელებული სამონასტრო კომპლექსის თავზეც აღმოჩნდა. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ ობიექტების შემთხვევაში საქმე გვაქვს ქვა-ჯვარასთან, ქვა-სვეტთან ან მემორიალური დანიშნულების სვეტთან, მით უფრო, რომ მათ ირგვლივ ყველგან უამრავი ჯვარის კვეთილობაა დაფიქსირებული.



ფოტო 6. კლდეზე გამოსახული ჯვარი

ფოტო 7. ბუდეებიანი ჯვრები

ფოტო 8. საერთო ხედი

ფოტო 9. კლდეზე გამოსახული ჯვრები

ტაღუნსი, ციხე

ისტორიული ბასიანის სოფელი ტაღუნსი, თანამედროვე კარატაშლარი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Karataşlar, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

წყაროებში მოხსენიებული ციხე სოფლის განაპირას, მაღალი კლდის თავზე უნდა ყოფილიყო აგებული, თუმცა მითითებულ ადგილას სადღეისოდ არანაირი კვალი ნაგებობისა არ ფიქსირდება (39°50'55.48"N; 41°57'44.69"E). საყურადღებოა, რომ ციხის სავარაუდო ტერიტორია ხეობაში, მდინარის პირას, მაღალი კლდის თავზე ლოკალიზდება, რაც სტრატეგიული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს პუნქტად უნდა მივიჩნიოთ. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შუა საუკუნეებში ბუნებრივად მიუვალი და სტრატეგიულად ამდაგვარად გამორჩეული ადგილები ათვისებული იყო თავდაცვითი სისტემის არქიტექტურისთვის, დასაშვებად მიგვაჩნია მოცემულ ტერიტორიაზე წარსულში ციხე მდგარიყო.

ციხე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ციხის საერთო ხედი (წყარო: ჯეილანი და სხვ., 2018)

ქეივანქი, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი ქეივანქი, თანამედროვე ტაშკაინაკი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Taşkaynak, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის ცენტრის სიახლოვეს და მოქცეულია თანამედროვე განა-შენიანებაში. ძეგლი საცხოვრებელი სახლების უკანაა მოქცეული და მასთან მოხვედრა, სპეციალური კიბით, ცხოველთა სადგომის სახურავზე გადავლითაა შესაძლებელი (40°01'31.14"N; 41°35'32.13"E). თავისუფალი ჯვრის ტიპის ძეგლი მომცრო ზომისაა და მისი გეგმარებითი მოხაზულობა კვადრატულ ფორმაში ექცევა – ამდენად, შენობის სიგრძე-სიგანე ერთმანეთის ტოლია და დაახლოებით 10 მეტრს აღწევს. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 6-7 მეტრი, ხოლო სისქე, მხოლოდ შემორ-ჩენილი დუღაბის მასისა 0.6-0.7 მეტრი უნდა იყოს. იკითხება ნაგებობაში შესასვლელი ორი კარი – დასავლეთით და ჩრდილოეთით, რომელთა სიგანეც სავარაუდოდ 1-1.2 მეტრი უნდა ყოფილიყო. შესასვლელთა სიმაღლის განსაზღვრა სადღეისოდ შეუძლებელია, რადგან კარის თავზე არსებული კედლის ნაწილები ჩამოშლილია.

მიუხედავად შემორჩენილი ნაწილების სიდიდისა, ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული. მისი გუმბათი სრულადაა მორღვეული ისევე, როგორც შენობის შემორჩენილი ძირითადი კორპუსის პერანგი. არსებული ფრაგმენტების მიხედვით, არ იკითხება გუმბათქვეშა კონსტრუქციის (აფრები, ტრომპები) არავითარი კვალი, ხოლო ჩამოქცეული გუმბათის მხოლოდ მცირე ნაწილებია ინტერიერში დაფიქსირებული – რეალურად ეს გახლავთ ერთი, საკმაოდ მოზრდილი, კედლის სეგმენტი ყოველ-გვარი მომპირკეთებელი წყობის გარეშე, მხოლოდ დუღაბი. აღნიშნული კედელი, იმის მიხედვით თუ რა მონაკვეთზეა ჩამოქცეული (ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე) გვაძლევს საშუალებას მივხვდეთ თუ კონკრეტულად რა ადგილას უნდა ყოფილიყო განთავსებული, თუმცა იმის განსაზღვრა, ის გუმბათის ნაწილი იყო თუ არა, ამ მდგომარეობაში შეუძლებელია. გუმბათქვეშა კონსტრუქციის, მისი საყრდენი ნაწილების ფორმათა გამორკვევა ვერ ხერხდება, თუმცა შემორჩენილი კედლების არეებზე ჩანს ერთგვარ ბუდეებად დარჩენილი მონაკვეთები, რომლებიც აფრებისა თუ ტრომპების განთავსების სავარაუდო არეალს მიუთითებს. მოცემული სიმაღლეები კი, თავის მხრივ, გვაძლევს საშუალებას

შენობის ძირითადი კორპუსის სიმაღლის განსაზღვრისთვის. ძეგლის წყობა, პერანგი სრულად შემოძარცულია – ინტერიერში იკითხება მხოლოდ ორი-სამი ქვა, რომლებიც კედლის ზედა მონაკვეთზეა შერჩენილი.

თავისუფალი ჯვრის ტიპის ნაგებობა ოთხივე მხარეს აფსიდით უნდა ყოფილიყო დასრულებული, ხოლო აფსიდთშორისი, კუთხოვანი არეები დამატებით საფეხურს აფორმირებდა, რომელიც ინტერიერში გარდამავალ კუთხოვან სეგმენტს წარმოქმნიდა, ხოლო ექსტერიერში იმავე ფორმის გამეორებით აისახებოდა. ამრიგად, ძეგლი წარმოადგენს თავისუფალი ჯვრის ტიპის, გართულებულს აფსიდთშორისი კუთხის მონაკვეთებით. ნაგებობის შესასვლელები გაჭრილია ორ მხარეს, ჩრდილოეთით და დასავლეთით, ნახევარწრიული გეგმარების აფსიდთა ცენტრში. სადღეისოდ არსებული მონაცემების საფუძველზე რთულდება სარკმელთა ზუსტი რაოდენობის დადგენა, თუმცა მკაფიოდ ჩანს, რომ დასავლეთით სასინათლო ღიობი არ იყო. ასევე დადასტურებით შეიძლება თქმა, რომ სარკმელი გაჭრილი იყო საკურთხევლის აფსიდში, რომლის პირიც ამჟამად მორღვეულია და ჩრდილოეთით, კარის თავზე, სადაც მისი ზედსართის მოხაზულობა დუღაბის ფენაშიც იკითხება. ჩვენი ვარაუდით სარკმელი უნდა ყოფილიყო დასავლეთით, ასევე კარის თავზე, თუმცა ეს უკანასკნელი, ამჟამად, აღარ ფიქსირდება. დაზიანებათა გამო, ცხადია, გუმბათს, მის ფორმებს, ზომებსა და მასში სარკმლების რაოდენობას ვერ განვსაზღვრავთ. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთი და ჩრდილო-სამხრეთი ღერძი თანაბარი სიგრძისაა. ამდენად, საკურთხევლის აფსიდა იმავე პროპორციების იყო, როგორც სხვა დანარჩენი – ის არც გეგმარებითი თავისებურებით გამოირჩევა სხვათაგან. რამდენიმე ერთეულის სახით შემორჩენილი პერანგის ქვა გვაფიქრებინებს, რომ ძეგლი შემოსილი იყო საშუალო ზომის, კარგად თლილი, მოყვითალო ან რუხი ფერის კვადრებით, რომელთა შორის სივრცეც დუღაბის სქელი ფენითაა შევსებული. დუღაბის ხსნარზე შერჩენილი ქვის ბუდეების მიხედვით შესაძლებელი ხდება წყობის ხასიათის და ქვის ზომების განსაზღვრა – ეს უნდა ყოფილიყო საშუალო ზომის კვადრებით შედგენილი, რიგების მეტ-ნაკლები ჰორიზონტალურობის დაცვით ნაგები კედლები.

ნაგებობის გეგმარებითი თავისებურებების, ზოგადი პროპორციების, ქვის წყობისა და ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, ძეგლი შესაძლოა აგებული იყოს X-XII საუკუნეების ინტერვალში, თუმცა ეს მხოლოდ მოსაზრებაა, რომელსაც სჭირდება დამატებით ფუნდამენტური შესწავლა, როგორც სახელოვნებათმცოდნეო, ისე არქეოლოგიური თვალსაზრისით.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ეკლესიის საერთო ხედი

ფოტო 2. ეკლესიის აღმ. კედელი

ფოტო 3. ეკლესიის დას. კედელი და შესასვლელი

ფოტო 4. ეკლესიის ჩრდ. შესასვლელი

ფოტო 5. ეკლესიის ინტერიერი, ქვის წყობის ფრაგმენტები

ქვემო კიზილკალე, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ქვემო კიზილკალე, თანამედროვე ქვემო კიზილკალე, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Aşağı Kızılkale, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრშის მოშორებით, მდინარე არაქსის მარცხენა მხარეს. ძეგლის ადგილზე გადამოწმება ვერ მოხერხდა. თურქული ლიტერატურის მიხედვით [ჯეილანი და სხვ., 2018, ერზინჯანის და ერზურუმის პროვინციების 2016 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე], ნაგებობის კედლები თითქმის მთლიანად მიწითაა დაფარული. მხოლოდ რამოდენიმე ადგილას ჩანს მიწის დონეზე. თურქი მკვლევარი ნაგებობას ციხეს უწოდებს. ნაგებობის დახლოებითი ზომებია: სიგრძე 35 მეტრი, ხოლო სიგანე 20 მეტრი.

ფოტო 1. ნაგებობის საერთო ხედი (წყარო: ჯეილანი და სხვ., 2018)

ქოფრუქოი, ხიდი

ისტორიული ბასიანის სოფელი ქოფრუქოი, თანამედროვე ქალაქი ქოფრუქოი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Köprüköy, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

მდინარე არაქსზე, ქალაქის აღმოსავლეთ ბოლოში, ცენტრიდან დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით, გადებულია მძლავრი ოსმალური ხიდი, რომელიც ცენტრალური გზის პირასაა განთავსებული (39°58'11.35"N; 41°53'19.00"E). საკმაოდ მაღალი დაცულობის ხიდის საერთო სიგრძე 130 მეტრია. ხიდი აშენდა XIII საუკუნის ბოლოს და იგი რამდენჯერმე აღადგინეს XVIII-XX საუკუნეებში.

კარგადაა შემორჩენილი ნაგებობის ყველა ძირითადი არქიტექტურულ-კონსტრუქციული თუ მხატვრული ელემენტი, თუმცა აშკარად განირჩევა რესტავრაცია-განახლების რამდენიმე ფაზა. ზოგიერთ მონაკვეთზე დაზიანებულია ხიდის ბურჯების არეები, სადაც, გარდა გამოქარვისა, ჩანს მცენარეული საფარი.

ოსმალური ხიდი მდინარე არაქსის საკმაოდ განიერ ყელზეა გადებული. ნაგებობის ძირითად არქიტექტურულ და კონსტრუქციულ სახეს ექვს „შიდა“, ძირითად ბურჯზე გამართული შვიდი თაღი წარმოქმნის, რომელთა ბოლოებიც საწყის მკლავებზეა დამყარებული. ძეგლი ნაგებია მოყვითალო, მოწითალო და რუხი ფერის, კარგად დაჭრილ-დამუშავებული, საშუალო ზომის კვადრებით - რიგების მეტ-ნაკლები ჰორიზონტალობის დაცვით. ხიდის შემადგენელი განიერი მალები, ზედა მხარეს, შეისრული ფორმითაა წარმოდგენილი, რაც მას განსაკუთრებულ მხატვრულ გამომსახველობითობას ანიჭებს და გარკვეული კულტურული „გარემოს“ ძირითად ნიშნებს ათვალსაჩინოებს. მძლავრი, განიერი ბურჯების ორივე მხარეს (მდინარის დინების მიმართულებით და მის საპირისპიროდ) მოცემულია ერთგვარი საყრდენ-კონტრფორსები, რომელთა ნაწილს, დამატებით წყალამრიდის ფუნქციაც გააჩნია. ბურჯთა აღნიშნული „კონტრფორსები“, მდინარის მიმართულების საპირისპირო მხარეს, მოიცავს ქვედა ნახევარზე დატანილ სამკუთხა პირის მქონე წყალამრიდ კონსტრუქციებს, რომელთა თავზეც განთავსებულია ბურჯის ზედაპირს მიდგმული, წახნაგოვან-შვერილი, ნახევარ-ცილინდრული მოცულობები. ხსენებული მასები ზედა მხარეს სრულდება ნახევარკონუსური ფორმის მქონე ქვის გადახურვით.

აღნიშნული სივრცითი ელემენტების საფასადო ნაწილებზე, ცენტრალურ წახნაგებზე მოცემულია სხვადასხვა ფორმის მცირე „სარკმელი“, რაც თავის მხრივ გულისხმობს მის შიგნით არსებულ, „ფორმალურ“ სივრცით არეებს. ძირითადად ეს სარკმლები წრიული ფორმისაა, ხოლო ზოგიერთი მათგანის ქვედა არეზე, ერთგვარი საპირეცაა დატანილი. სადღეისოდ არსებული მონაცემების მიხედვით აღნიშნულ „სათავსთა“ ფუნქციური დანიშნულება უცნობია.

ამგვარივე მინაშენ-ცილინდრებია წარმოდგენილი ბურჯების საპირისპირო (მდინარის მიმართულების) ნაწილებზე, სადაც მათი ფორმები მცირედით განსხვავდება უკვე ხსენებული გადაწყვეტა-გააზრებისგან. ამ შემთხვევაში აღარაა მოწყობილი სამკუთხა წყალამრიდები, ხოლო მათ ნაცვლად ნახევარცილინდრული შვერილია წარმოდგენილი, რომლის თავზეც იმავე რიგის წახნაგოვანი ნახევარცილინდრებია დატანილი, როგორიც ბურჯთა საპირისპირო მხარეს დავაფიქსირეთ. ორივე მხარეს, ბურჯების მინაშენი სტრუქტურის ფორმირებაში განირჩევა გარკვეული მხატვრული გაფორმების ელემენტები, მათი ერთგვარი კანონზომიერება. პირობითად ქვედა და ზედა არეების მსაზღვრელად მოცემულია სხვადასხვა ფორმის ლილვოვანი სარტყლები, სადა ან გაფორმებული წნული, გეომეტრიული ორნამენტით. გვხვდება ხიდის საფასადო კედლების ამა თუ იმ მონაკვეთზე დატანილი ორნამენტირებული კვადრები, რომლებიც უსისტემოდაა განთავსებული. ხიდის დაბალი, დაახლოებით 1 მეტრის სიმაღლის მოაჯირის ზედაპირი ოვალური ფორმის ქვის წყობითაა გაფორმებული. ნაგებობის არქიტექტურული მთლიანობა თითქმის თავდაპირველი სახით უნდა იყოს მოღწეული – ჩანს მხატვრული გააზრების სპეციფიკა, რომელიც კონკრეტული კულტურული არეალის მათვალსაჩინოებელია.

თურქულ ლიტერატურაში ძეგლი მოხსენიებულია ჩობანდედეს ისტორიულ ხიდად.

ფოტო 1, 2, 3. ხიდის საერთო ხედი

ფოტო 4. ხიდის კონტრფორსის ფრაგმენტი

ფოტო 5. წყობაში ჩართული ორნამენტული ქვები

ღოჯირ კომუ, ციხე სოფლის დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ღოჯირ კომუ, თანამედროვე გეიქლი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Geyikli, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

ციხე მდებარეობს სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით, მდინარე ულუდერეს მარცხენა მხარეს არსებულ კლდოვან ბაქანზე (39°48'08.60"N; 42°01'49.60"E). ძეგლის ადგილზე გადამოწმება ვერ მოხერხდა. თურქული ლიტერატურის მიხედვით [კარაგეჩი და სხვ., 2019, ჰარამის ციხე – ურარტული ციხე ერზურუმის რეგიონში, თურქულ ენაზე.], ციხე სამი მხრიდან მიუვალია და ასვლა მხოლოდ სამხრეთის მხრიდან არის შესაძლებელი. კედლები მთლიანად მორღვეულია და მხოლოდ რამოდენიმე ადგილას მცირე ფრაგმენტებადაა შემორჩენილი. შემორჩენილია წყალზე ჩასასვლელი გვირაბი კლდეში ამოჭრილი საფეხურებით. გვირაბს შიდა განათებისთვის და ვენტილაციისთვის გარედან ამოჭრილი აქვს მცირე ზომის ღიობები. ციხის შიდა პერიმეტრზე რამდენიმე ადგილას კლდე საგანგებოდ არის მოჭრილი და მოსწორებული. თურქი მკვლევარის აზრით ეს ადგილები საკულტო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. ციხის არეალზე მოძიებული კერამიკა შუა რკინის ხანით და შუა საუკუნეებით თარიღდება. თურქი მკვლევარი ციხეს Harami kalesi-ს უწოდებს.

ფოტო 1, 2. ციხის საერთო ხედი (წყარო: კარაგეჩი და სხვ., 2019)

ჩერმიკსუ, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი ჩერმიკსუ, თანამედროვე ილიჯასუ, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Ilıcasu, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა განთავსებულია სოფლის ცენტრში, ერთ-ერთი სახლის ეზოში და დაფარულია ნაკელით, ხოლო ზემოდან ტენტითაა დახურული (40°07'38.58"N; 41°53'06.08"E). ძეგლის საძირკველი იკითხება სოფლის ცენტრალური გზის მარჯვენა მხარეს, შემაღლებულ, ტერასულად განვითარებული ბორცვის შუა წელზე, სამეურნეო და საცხოვრებელი დანიშნულების შენობების სიახლოვეს. მისი ზუსტი ზომებისა და მასშტაბის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ის თითქმის სრულადაა დაფარული, თუმცა მასზე განთავსებული „ზვინის“ მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ძეგლის სიგრძე მიახლოებით 7-8 მეტრი, ზოლო სიგანე 4-5 მეტრი უნდა ყოფილიყო. დღემდე შემორჩენილი კედლების სიმაღლე ასევე დაუდგენელია.

ადგილობრივი მოსახლეობის მითითებით, მოცემული ნაკელის ნაჭრებითა და ტენტით დახურულ-დაფარული მონაკვეთი ეკლესიის ნანგრევს მოიცავს, თუმცა მისი დეტალურად ხილვის საშუალება არ მოგვცეს. მითითებული მონაკვეთი რომ ნამდვილად შეიცავს გარკვეული არქიტექტურული ფორმების მქონე შენობას, მისი საძირკვლის წყობიდან ჩანს, თუმცა რა ტიპის მშენებლობასთან გვაქვს საქმე ამის გარკვევა დეტალური დათვალიერების გარეშე შეუძლებელია. ის გარემოება, რომ მოსახლეობა და პირადად სახლის, ტერიტორიის მეპატრონე მას ინახავს, როგორც „განსაკუთრებულ განძთსაცავს“, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, მეხსიერებაში არსებულ ან გადმოცემით მორჩენილ, ინფორმაციის სავარაუდო სისწორეს – აქ ეკლესიის არსებობის თაობაზე. ნაგებობის საძირკველზე აშკარად განირჩევა რიყის ქვის არეული წყობა და განიერი, თხელი ფილა-ქვა, თუმცა ამ დეტალების მიხედვით რაიმე დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული მშენებლობა ეკლესიისაა, უნდა

დავუშვათ, რომ ეს არის მცირე ზომის დარბაზული ნაგებობა. გადაჭრით რაიმეს მტკიცება შეუძლებელია იქამდე, სანამ არ მოხდება ძეგლზე განთავსებული საფარის მოხსნა და მისი დეტალური შესწავლა.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ეკლესიის ადგილის საერთო ხედი

ფოტო 2. კედლის ფრაგმენტები

ჩოღენდერი, ხიდი

ისტორიული ბასიანის სოფელი ჩოღენდერი, თანამედროვე ჩოღენდერი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Çöğender, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ორმალიანი, საკმაოდ მოზრდილი ხიდი მდებარეობს სოფლის განაპირას, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, ცენტრიდან დაახლოებით 200-300 მეტრის მოშორებით და გადებულია მცირე მდინარეზე (40°00'05.54"N; 41°32'37.14"E). ძეგლის სიგრძე დაახლოებით 14-15 მეტრია ხოლო სიგანე 3.5-4 მეტრი. თაღები თითქმის ერთი ზომისაა და მათი მალების სიგრძე 3-3.5 მეტრამდე აღწევს.

ნაგებობა სადღეისოდ სრულყოფილი სახითაა წარმოდგენილი, თუმცა ნათლად იკითხება შემდგომი გამაგრების კვალი. მისი ძირითადი კონსტრუქციული ნაწილი მდგრადია და არ აღინიშნება დაზიანებები. აღსანიშნავია, რომ ხიდის ზედა ნაწილები, მოაჯირები და კედლების მონაკვეთები, მოგვიანებითაა შეკეთებული, თუმცა კარგად იკითხება ძველი ფენა, რომელიც თაღის მალებსა და საწყის ბურჯებზეა შემორჩენილი.

ხიდი შუა წელზე მცირე ტეხილს იკეთებს და პირობითად ორი ფერდისგან შედგება. მძლავრი საწყისი „ბურჯებიდან“ კონსტრუქცია ორი თაღით ცენტრალურ ბურჯს ემყარება, რომელზეც, ერთ მხარეს (მდინარის დინების საპირისპიროდ), წარმოდგენილია თლილი ქვით ნაგები მინაშენი. აღნიშნული სეგმენტი ხიდის სიმაღლის ნახევარზე ამოდის და გარდა კონსტრუქციული გამმაგრებ-ლისა, კონტრფორსისა, წყალამრიდსაც წარმოადგენს – ცენტრალურ ბურჯზე მიდგმული ეს შვერილი სამკუთხა პირით მდინარის დინების მოხერხებულ და ეფექტურ ამრიდს ქმნის, რომელიც ხიდის კონსტრუქციულ მდგრადობას მნიშვნელოვანწილად ზრდის. ნაგებობის ძირითადი კედლები და მასები ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვის ნარევი წყობით, ხოლო კონსტრუქციულად მნიშვნელოვან ნაწილებში გამოყენებულია სხვადასხვა ფერის თლილი კვადრები. დამუშავებული მასალითაა ამოყვანილი თაღების მალთა განაპირა, საფასადო მონაკვეთები, სადაც წარმოდგენილია წითელი ფერის, მცირედი ჩანაკვეთის მქონე, ორსაფეხუროვანი თაღები. ასევე თლილი ქვითაა ნაგები, გვიან განახლებული, ხიდის ჯებირები, ცენტრალური ბურჯის ბაზის-საძირკველი და წყალამრიდი კონსტ-რუქცია. ხიდის შუა მონაკვეთზე არსებული ტეხილი და თაღთა მცირედი შეისრულობა, ნათლად წარმოაჩენს აღმოსავლურ სამშენებლო ფორმებს და მათ მხატვრულ გააზრებას.

სამშენებლო ტექნიკის, მასალის, ფორმების, კონსტრუქციული ელემენტებისა და გადაკეთება-განახლების მიხედვით ხიდის თარიღის დადგენა რთულია, თუმცა შესაძლებელია ეს უკანასკნელი XVIII-XIX საუკუნეებს მივაკუთვნოთ.

ხიდი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2. ხიდის საერთო ხედი

ხესინკარი, კლდეში ნაკვეთი მონასტერი

ისტორიული ბასიანის სოფელი ხესინკარი, თანამედროვე სოუკსუ, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Soğuksu, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

კლდეში ნაკვეთი ძეგლი მდებარეობს სოფლის თავზე, ჩრდილოეთით, ცენტრიდან დაახლოებით 200-300 მეტრის მოშორებით, მაღალი მთის შუა წელზე არსებულ კლდოვან შვერილებზე (39°53'49.80"N; 41°57'44.22"E). მოცემული კონცხების ზომების დადგენა რთულია, თუმცა იკითხება სამი კლდოვანი მასივი, რომლებიც ერთმანეთისგან რამდენიმე მეტრითაა დაშორებული. თითოეული შვერილის სიმაღლე დაახლოებით 5-7 მეტრია, ხოლო სიგრძე-სიგანე 8x10 მეტრი. კლდოვანი კონცხის დიდი ნაწილი დაზიანებულია და სადღეისოდ მის სივრცეში, ოდესღაც არსებული, ქვაბულები აღარ არსებობს. ერთ-ერთ მასივში შემორჩენილი ეკლესიის სიგრძე-სიგანე დაახლოებით 4.5-5 მეტრია.

ქვის სტრუქტურის მარტივი შლადობის გამო, კლდოვანი მასები ძლიერაა დაზიანებული. ჩამოშლილია ერთი მხრივ, კლდის დიდი ნაწილები, ხოლო მეორე მხრივ, შემორჩენილი მასის მცირე სეგმენტები. გარდა ამისა, ქვის მასები გამოქარულია და იშლება მისი დიდი ნაწილი. პირობითად სამი კონცხიდან პირველზე მხოლოდ მცირე ნაწილებია შემორჩენილი, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ მოცემულ კლდეში უნდა ყოფილიყო ნაკვეთი სენაკები. შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია მეორე კლდოვანი მასივი, სადაც იკითხება, როგორც ჩამოშლილ-გამქრალი ნაწილები, ისე დღემდე შემორ-ჩენილი კლდეში ნაკვეთი ეკლესია. ეს უკანასკნელი ასევე ძლიერ დაზიანებული სახითაა მოღწეული დღემდე – ჩამოშლილია მისი სხვადასხვა არე, შესასვლელი და ტაძრის აღმოსავლეთით არსებული კედლის ნაწილები. ამავე კლდის ზედა არეზე ჩანს კიდევ ერთი გამოქვაბული სენაკი, თუმცა სპეციალური აღჭურვილობის გარეშე მისი ხილვა შეუძლებელია ისევე, როგორც მესამე კონცხის ქვაბულისა. მოცემული სათავსების მხოლოდ შესასვლელები მოჩანს, თუმცა მესამე კლდის სათავსის შემთხვევაში აღიქმება კლდეში ხელოვნურად გამოკაფული აფსიდისებრი სივრცე, მცირე ნიშოვანი არეები და ხვრელები, შესაძლოა სარკმელიც. საერთო სახით, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი ძლიერაა დაზიანებული, ხოლო მისი დანაკარგი საკმაოდ დიდია. გარდა ბუნებრივი დაზიანებისა, შუა კლდოვანი მასივის ეკლესიის ქვაბში, საკურთხევლისწინა იატაკის არეზე მოცემულია ოქროს მაძიე-ბელთა მიერ ამოღებული უზარმაზარი თხრილი.

არსებული ქვაბულებიდან მხოლოდ შუა არეზე არსებული ნაკვეთობის შესახებ შეიძლება მსჯელობა, როგორც არქიტექტურაზე. აღნიშნულ მონაკვეთზე მოცემულია მცირე ზომის, სიგანეზე წაგრძელებული ეკლესია, რომელიც ძლიერაა დაზიანებული. აღარ აღიქმება მისი დასავლეთი კედელი, საიდანაც უნდა ყოფილიყო, თავის დროზე, შესასვლელი კარი. ნაგებობის ძირითადი სივრცე ფორმირდება მართკუთხა გეგმარების ძირითადი დარბაზისა და მის აღმოსავლეთით განთავსებული სამნაწილედი საკურთხევლით, სადაც უნდა ვიგულისხმოთ ცენტრალური, საკურთხევლის აფსიდა და მის ორსავ მხარეს განთავსებული პასტოფორიუმები. სამივე სივრცითი ერთეული იატაკის დონიდან ამაღლებულია, კლდეშია შეჭრილი და ნახევარწრიულ-რკალისებრი მოხაზულობისაა - მათ შორის,

საკურთხეველი უფრო მაღლაა განთავსებული, დაახლოებით 0.5-0.7 მეტრით ძირითადი დარბაზის იატაკიდან. სამივე აფსიდა ნახევარწრიულ-რკალისებრი თავსართ-თაღითაა დასრულებული და სამივე მათგანი ზემოთ ვიწროვდება. საკურთხეველში აფსიდის ზედა მონაკვეთი, „კონქის“ არე, ჩამონგრეულია და ამიტომ არ ჩანს აქ, სავარაუდოდ არსებული სარკმლები. სამკვეთლოში იკითხება ორი ნიში და ერთი სარკმელი, რომელიც „კონქის“ მონაკვეთზეა დატანილი. ნიშებიდან ერთი აფსიდის ცენტრშია გამონაკვთული და განიერი, მართკუთხა კვეთისაა, ხოლო მეორე ამავე სამკვეთლოს ჩრდილოეთ კედელშია დატანილი და შედარებით მცირე ზომისაა. ხსენებული სარკმელი წრიული ფორმისაა, ხოლო შიდა მხარეს გაფართოებულია მისი წირთხლები. სადიაკვნის აფსიდის აღმოსავ-ლეთი კედელი ასევე ჩამოშლილია, თუმცა ამ შემთხვევაში, განსხვავებით საკურთხევლისგან - მთლიანად. სადიაკვნის სამხრეთ კედელში მცირე ზომის ნიშია გამოღებული, ხოლო „კონქის“ არეზე, სამკვეთლოს მსგავსი ფორმისა და ზომის სარკმელია განთავსებული. სამნაწილედი საკურთხევლის სათავსთა გადახურვები და მათ წინ მოცემული ნაწილები დამუშავებულია კამარისებრი ელემენტებით, თუმცა ისინი ცენტრალური დარბაზის ჭერზე არ გადმოდის, რომელიც, საერთო სახით, გაცილებით ნაკლები დამუშავების კვალს ატარებს. ქვაბულ-სენაკები იკითხება პირობითად პირველი და მესამე კლდოვანი კონცხების სივრცეებშიც, თუმცა მათი დეტალების აღქმა ვერ ხერხდება, ხოლო მათში მოხვედრა სპეციალური აღჭურვილობის გარეშე შეუძლებელია. აქედან მესამე კლდის ერთ მხარეს გახსნილია პირი და მოჩანს აფსიდისებრი მონაკვეთი, აღმოსავლეთით სარკმლითურთ, თუმცა ეს მხოლოდ მცირე ნაწილია და ამის მიხედვით წარმოდგენის შექმნა თავად სათავსზე შეუძლებელია.

კლდეში ნაკვეთი სენაკების არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტის მიხედვით აშკარაა, რომ საქმე გვაქვს სამონასტრო კომპლექსთან, რომლის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება მხოლოდ სამომავლო კვლევების შემდგომ იქნება შესაძლებელი. იმისთვის, რომ დადგინდეს კომპლექსის ყველა ნაგებობის თავდაპირველი ზომები, მათი საერთო მასშტაბი, არქიტექტურულ-კონსტრუქციული სახესხვაობა-მახასიათებლები, მხატვრული გააზრების პრინციპი თუ ისტორიული რეალობა, საჭიროა ინტერდისციპლინური კვლევების წარმოება.

კლდეში ნაკვეთი მონასტერი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2, 3. მონასტრის საერთო ხედი

ფოტო 4, 5. ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთით



ფოტო 6. ინტერიერი, შესასვლელი

ფოტო 7. ინტერიერი, განძის მაძიებელთა განათხარი

ჰავნიკი, ციხე

ისტორიული ბასიანის სოფელი ჰავნიკი, თანამედროვე გუზელჰისარი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Güzelhisar, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობის ნანგრევები განთავსებულია სოფლის ჩრდილოეთით, მაღალი და მასშტაბური კლდოვანი კონცხის სხვადასხვა მონაკვეთზე, სოფლის ცენტრიდან დაახლოებით 100-150 მეტრის მოშორებით, მის თავზე (39°49'47.35"N; 41°58'57.69"E). ძეგლის მასშტაბის გათვალისწინებით და რელიეფის სირთულის გამო, ძნელი დასადგენია მისი სრული ზომები, თუმცა სავარაუდოდ კომპლექსის საერთო სიგრძე 200-250 მეტრი, ხოლო სიგანე 100-150 მეტრი უნდა იყოს. კედლების სიმაღლე სხვადასხვა მონაკვეთზე განსხვავებულია, თუმცა ყველაზე მაღალი ნიშნულები დაახლოებით 5-6 მერტისაა, ხოლო დაბალ დონეზე შერჩენილი კედლის ფრაგმენტებიც საკმაოდ მრავლადაა. ზოგიერთ ნაწილში იკითხება მხოლოდ გეგმის დონეზე არსებული ნაგებობათა კვალი, რომელთა ზუსტი დანიშნულებაც უცნობია.

ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული და მისი საერთო მასშტაბიდან მხოლოდ მცირე ნაწილი იკითხება – ისიც არა სრული სახით. საკმაოდ მძლავრი, რთულ რელიეფზე განთავსებული ციხე-სიმაგრის ძირითადი კედლები მოშლილია. დაზიანებული და თითქმის ბოლომდე გამქრალია შიდა პერიმეტრზე განთავსებული, სხვადასხვა დანიშნულების, მცირე სათავსები – ციხის შიდა სტრუქტურის მაფორმირებელი ძირითადი შენობები. დაზიანების ხარისხი, რომ მასშტაბურია, დასტურდება ნაგებობის მთავარი სივრცის მომსაზღვრელი გალავნის პერიმეტრზე, სადაც კედლები მცირე ფრაგმენტების სახითაა შერჩენილი. მორღვეულია კლდის სხვადასხვა არეზე, ოდესღაც არსებული, მინაშენი კედლები, რომელთა საშუალებითაც იქმნებოდა ერთგვარი მღვიმე-სათავსები. საერთო სახით, ძეგლის არქიტექტურული მთლიანობა უკიდურესად დარღვეულია. აღარ განირჩევა სიმაგრის საერთო-გეგმარებითი, სივრცით-კონსტრუქციული თუ მხატვრული მხარე.

მაღალ, კლდოვან კონცხზე განთავსებული მასშტაბური ციხე-სიმაგრე რამდენიმე საფეხურად, ტერასულად უნდა იყოს ნაგები, სადაც მინიმუმ იკითხება შენობის ძირითადი პერიმეტრის მომსაზღვრელი გალავანი, რომელიც მთის თხემს რელიეფის გათვალისწინებით შემოუყვება და უშუალოდ შიდა პერიმეტრზე, შედარებით მაღალ ნიშნულზე ნაგები ნაწილები, რომლებიც პირობითად ციტადელად უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, რომ შენობის მომსაზღვრელი გარე, გალავნის კედლები არ წარმოადგენს ერთიან გაბმულ წყობას – ის არსებითად გამაგრების სისტემის ნაწილია და, შესაბამისად, აღმართულია მხოლოდ იმ მონაკვეთებზე, სადაც ბუნებრივი რელიეფი შედარებით ნაკლები დაცულობით ხასიათდება, თუმცა არის ვრცელი არე, ციხის სამხრეთი მხარე, სადაც ერთიანი წყობის, საკმაოდ გრძელი კედლებია მოცემული. რთული რელიეფის გამო, ვერ მოხერხდა ძეგლის ყველა მონაკვეთზე მისვლა, თუმცა არსებული მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს შუა საუკუნეების მძლავრ ციხე-სიმაგრესთან ან თუნდაც ციხე-ქალაქთან, რომლის შემორჩენილი კედლებიც არაერთი გადაკეთების კვალს ატარებს. მაღალი დაცულობის მქონე სამხრეთი მონაკვეთის კედლებზე, რომელთა სიგრძე დაახლოებით 50 მეტრს, ხოლო საშუალო სიმაღლე 3-4 მეტრს აღწევს, ჩანს მძლავრი კედლები, რომლის საფასადო ნაწილებზეც განირჩევა მინიმუმ ორი სამშენებლო ფენა. კედლების ძირითადი ნაწილები, მოცემულ და ყველა სხვა შემთხვევაში, ნაგებია დუღაბზე. საკმაოდ მძლავრი, დაახლოებით 1.5-2 მეტრის სისქის კედლები საფასადო ნაწილიდან მოყვითალო-რუხი ფერის მცირე ზომის კვადრებითაა ნაგები, ხოლო მათ შორის სივრცე, დიდი ნაწილი სქელ დუღაბზეა ამოყვანილი. არქიტექტურული ფორმებიდან და ციხის შემადგენელი ნაწილებიდან იკითხება სხვადასხვა მონაკვეთძე შემორჩენილი კედლები, რამდენიმე „გოდოლ-კონტრფორსი“, წრიული და მართკუთხა გეგმარების შიდა ნაგებობები, კლდის მღვიმეებს მიბჯენილი კედლის წყობები, სასმელი წყლის ავზები და არხები, კიბის უჯრედები, შესაძლოა - სამლოცველო სივრცე, რომლის ზუსტი იდენტიფიცირებაც ვერ მოხერხდა და სხვადასხვა შენობების კედლები.

ციხეს ჰქონდა ურარტული წარწერა, რომელიც ამჟამად ერზურუმის მუზეუმშია დაცული.

ციხე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ციხის საერთო ხედი

ფოტო 2. გალავნის კედლის ფრაგმენტები

ფოტო 3, 4. გალავანი

ფოტო 5. გალავანის ფრაგმენტი

ფოტო 6. ურარტული წარწერა (წყარო: კარაგეჩი და სხვ., 2019



ფოტო 7, 8. გალავნის ფრაგმენტი

ჰანაჰმეტი, ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ჰანაჰმეტი, თანამედროვე ჰანაჰმეტი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Hanahmet, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა განთავსებულია სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით, ღრმა ხევში არსებული კლდოვანი კეხის ზედაპირზე (40°08'48.69"N; 41°40'7.97"E). ძეგლი განთავსებულია ძალზე რთულ რელიეფზე, ამიტომ მისი დეტალური შესწავლა ვერ მოხერხდა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული და რთული რელიეფის გამო, მის ზედაპირზე მოხვედრა ვერ მოხერხდა, რთულდება მასშტაბისა თუ ზომების ზედმიწევნითი განსაზღვრა, თუმცა ზოგადი სახით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ნაგებობა საკმაოდ მასშტაბური უნდა იყოს. მთის კონცხის სიგრძე, რომელზეც ნანგრევებია წარმოდგენილი, დაახლოებით 50-60 მეტრი, ხოლო სიგანე 20-25 მეტრია. შემორჩენილი ფრაგმენტებისა და კლდის ფერდზე შეფენილი ნაშალი ნაწილები სწორედ ამ პერიმეტრზეა ჩამოწოლილი.

ნაგებობა არასტანდარტული, წაგრძელებული მართკუთხა გეგმარების უნდა ყოფილიყო. ამჟამად შემორჩენილი მნიშვნელოვანი ფრაგმენტი იკითხება კლდოვანი კეხის დაქანებაზე, სადაც ჩანს დუღაბზე ნაგები წყობის სეგმენტები. მისი სიგრძე დაახლოებით 3.5-4 მეტრია, სიმაღლე 2.5-3 მეტრი, ხოლო კედლის სისქე 2 მეტრამდე აღწევს. ჩანს კარგად თლილი, მოყვითალო და რუხი ფერის, გრძივი კვეთის მქონე კვადრები, რომლის წყობაშიც დაცულია რიგების ჰორიზონტალურობა. კედლის შემორჩენილი ფრაგმენტი რკალური გეგმარებისაა და უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული თავდაპირველად წრიული გეგმარების კოშკს, გოდოლს ან კონტრფორსს წარმოადგენდა. ხსენებული კედლის გაყოლებაზე უხვად გვხვდება ფერდობზე ჩამოწოლილი ქვის გროვები - სწორედ ამის საშუალებით ხდება შესაძლებელი მისი დაახლოებითი მასშტაბის წარმოდგენა. საყურადღებოა, რომ ნაგებობის სამხრეთი ნაწილი მოიცავს ფლეთილი ქვის გროვებსა და მცირე ზომით შემორჩენილ კედლის ფრაგმენტებს, რაც თავისი ხასიათით, სამშენებლო ტექნიკითა და მასალით დიდად სხვაობს ზემოთ ხსენებული კედლის არქიტექტურულ გადაწყვეტას. გარდა ბუნებრივი დაზიანებისა, ძეგლის ტერიტორიაზე შეიმჩნევა კლდოვანი მასის სამშენებლო მასალად გამოყენების შემთხვევა - მოცემული მონაკვეთი ბოლო დროს კარიერად უნდა ექციათ. ამის გამო, ნაგებობის სამხრეთი მონაკვეთის კლდოვანი ქანები სრულადაა დაშლილი, რაც კიდევ უფრო ართულებს ძეგლის არქიტექტურული სახის სრულ აღქმას.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ნაგებობას „ბეჟან-კალეს“, ბეჟანის ციხის სახელით მოიხსენიებს. ამდენად, მნიშვნელოვანია ძეგლის სამომავლო კვლევა სხვადასხვა მიმართულებით. საჭიროა, როგორც არქიტექტურულ-კონსტრუქციული და სივრცით-გეგმარებითი მახასიათებლების გამოვლენა-შესწავლა, ისე ისტორიულ-გეოგრაფიული ძიება ძეგლის შემორჩენილი დასახელების ეტიმოლოგიის გამორკვევისთვის.

ციხე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



ფოტო 1, 2. ციხის საერთო ხედი

ჰინცკი, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი ჰინცკი, თანამედროვე კურბანჩაირი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kurbançayırı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის სიახლოვეს, ცენტრიდან დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით, სახნავ-სათესი მინდვრების გარემოცვაში, სოფელში შემავალი ცენტრალური გზის სიახლოვეს. (40°01'45.17"N; 41°37'51.54"E). ძეგლი მოქცეულია ღია მინდორში არსებულ მცირე ტყის კორომში. ძლიერ დაზიანებული სახით შემორჩენილი ნაგებობის დაახლოებითი სიგრძე-სიგანე 8x9 მეტრია, ხოლო კედლების სიმაღლე საკმაოდ მაღალი დაცულობისაა და ზოგიერთ მონაკვეთზე 6-7 მეტრსაც აღწევს. შემორჩენილი შესასვლელი ღიობების სიგანე, არსებული მონაცემების მიხედვით, მიახლოებით 0.9-1.1 მეტრი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი ჯვრის ტიპის ძეგლის დიდი ნაწილი მთელი სიმაღლითაა შემორჩენილი და იკითხება შენობის ძირითადი კორპუსის მასები, ნაგებობის სივრცით-გეგმარებითი

თუ არქიტექტურული თავისებურებები, საკმაოდ დიდია დანაკარგის წილი. უპირველესად აღსანიშ-ნავია ჩამოქცეული გუმბათი, რომლის ფრაგმენტები ინტერიერში ნაშალი სახითაც აღარაა შემონახული. ასევე უდიდესი დანაკარგია შენობის პერანგის წყობა, რომელიც აქა-იქ მხოლოდ მცირე ფრაგმენტების სახითღა იკითხება. ინტერიერში აღარ გვხვდება არც გუმბათი და არც მისი საყრდენი ნაწილები – აფრები, ტრომპები. განირჩევა მხოლოდ ერთ მხარეს აფსიდით დასრულებული თავისუ-ფალი ჯვრის ტიპის ნაგებობის ძირითადი კორპუსი, სადაც ინტერიერში, რამდენიმე მონაკვეთზე მკლავთა დამასრულებელი კამაროვანი გადახურვის მცირე ფრაგმენტებია მოცემული. აღნიშნული მონაკვეთები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ შენობის დაახლოებითი სიმაღლე გუმბათით, ხოლო ზუსტი პროპორციები გუმბათის გარეშე. გარდა ამისა, ძლიერ დაზიანებული სახით შემორ-ჩენილია პერანგის წყობა ინტერიერში - განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილი საკურთხევლის აფსიდის ზედა წელზე, სადაც ჩანს მისი სრული სიმაღლე და, შესაბამისად, კონქის მონაკვეთი. შიდა სივრცეშივე იკითხება ფრაგმენტებად შერჩენილი რამდენიმე კვადრი. აქვე აღსანიშნავია, რომ შემორჩენილია შესასვლელებისა და სარკმლების მონაკვეთები, მორღვეული წირთხლებითა და წყობით.

მომცრო ზომის, დამჯდარი პროპორციების, თავისუფალი ჯვრის ტიპის ნაგებობის გუმბათი განადგურებულია, თუმცა იკითხება შენობის ჯვრული გეგმარების ქვედა კორპუსი, სადაც მკლავთა სიგანეები ერთმანეთის ტოლია. გარდა აღმოსავლეთისა, ყველა მკლავი მართკუთხა მოხაზულობისაა და გადახურული უნდა ყოფილიყო ვერტიკალურად ჩალაგებული ფილებით შედგენილი, ცილინდრული კამარით. რაც შეეხება საკურთხევლის აფსიდს, ის გეგმით ნახევარწრიული მოხაზუ-ლობისა ჩანს, რომლის ცენტრშიც გაჭრილია ასევე ნახევარწრიული თავსართით დასრულებული, შიგნით გახსნილი წირთხლების მქონე, მოზრდილი სარკმელი, რომლის ზედა მონაკვეთის პროპორციები მეტ-ნაკლებად თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი. სარკმლის შუა მონაკვეთის ზემოთ შემორჩენილია საპირე მოპირკეთების ქვები, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოყვითალო ფერის, კარგად დამუშავებულ-გათლილი კვადრები, ჰორიზონტალური რიგების დაცვით უნდა ყოფილიყო ნაწყობი. წყობის ამგვარივე ფრაგმენტები შემორჩენილია ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავის რამდენიმე მონაკვეთზე, საძირკვლის დონეზე და დასავლეთი მკლავის კუთხოვან არეებზე – ხსენებული წყობის აღწერა, მოხსენიებული მონაკვეთები, გულისხმობს მხოლოდ ინტერიერს, რადგან ნაგებობის საფასადო ნაწილი სრულად შემოძარცვულია და არავითარი პერანგის კვალი იქ აღარ ფიქსირდება. შესასვლელები დაფიქსირებულია შენობის სამ მხარეს (ჩრდილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი), ხოლო ყველა კარის თავზე წარმოდგენილია ნახევარწრიული მოხაზულობის, შიდა პირზე გაფართოებული წირთხლების მქონე, სარკმელი, რომელთა საპირე წყობა და გარშემო არე მოშლილია – დარჩენილია მხოლოდ კედელში გაჭრილი კონტური. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, ნათლად იკითხება საფასადო ქვის წყობის ბუდეები დარჩენილი დუღაბის მასაზე, რომლის მიხედვითაც ნათლად ჩანს, რომ წყობა შედგებოდა საშუალო ზომის კვადრების ჰორიზონტალური რიგებისგან, რომლებიც ადგილიდან დაკარგულია, თუმცა დუღაბის მასაზე მათი კვალი დაფიქსირებულია. დუღაბისა და საპირე ქვის ზომის მიხედვით ირკვევა, რომ კედლის საერთო სისქე დაახლოებით 1 მეტრი უნდა ყოფილიყო.

ძეგლის გეგმარებითი თავისებურების, არსებული კონსტრუქციულ-სივრცითი, ზოგად-არქიტექ-ტურული თავისთავადობის, წყობის ხასიათისა და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაგებობა X საუკუნეებს განეკუთვნება.

ეკლესია მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ამ ეკლესიის ადგილას შესაძლებელია ყოფილიყო ისტორიული წყაროებიდან ცნობილი გარმირ-ვანქის მონასტერი, რომელიც გადმოცემის მიხედვით, კათალიკოს ნერსეს ბარტევმა (გარდ. 373 წ.) დააარსა. ჰ.ს. ეფრიგიანის მიხედვით მონასტერი 1828 წლისთვის ერთადერთ ძლიერ და მდიდარ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც XIX საუკუნის ბოლოსთვის უკვე დასუსტდა და გაღარიბდა (ს. ნიშანიანი).

ფოტო 1. ეკლესის, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

ფოტო 2. ეკლესიის ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

ფოტო 3. ეკლესიის სამხრეთი კედელი და შესასვლელი



ფოტო 4. ინტერიერი, ხედი დასავლეთით



ფოტო 5. ინტერიერი, კედლის წყობის ფრაგმენტები

ჰინცკი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული ბასიანის სოფელი ჰინცკი, თანამედროვე კურბანჩაირი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kurbançayırı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობის ნანგრევები მდებარეობს მაღალი, კლდოვანი საძირკვლის მქონე, მთის თხემზე, მის მოსწორებულ მონაკვეთზე, სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 1-1.5 კილომეტრის მოშორებით, ხოლო სოფელში შემავალი ცენტრალური გზიდან 700-800 მეტრში (40°01'17.93"N; 41°38'14.74"E). ძეგლი სრულადაა დანგრეულ-განადგურებული და მისგან მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია დარჩენილი. დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით რთულია ობიექტის სრული პროპორციებისა და ზომების წარმოდგენა, თუმცა თხემის პერიმეტრზე დაფიქსირებული ნანგრევების მიხედვით, რომელიც წრიულ გეგმარებას ქმნის, შეგვიძლია ნაგებობის სიგრძე დაახლოებით 70-80 მეტრით, ხოლო სიგანე 50-60 მეტრით განვსაზღვროთ. შემორჩენილი კედლის ნაშთების მაქსიმალური სიმაღლე 1-1.2 მეტრამდე, ხოლო კედლის სისქე 1.8-2 მეტრამდე აღწევს.

საკმაოდ დიდი მასშტაბის ნაგებობის ახლანდელი პროპორციები თითქმის მიწის ძირამდეა დასული. გეგმარება არ იკითხება მკვეთრად, რადგან კედლები მხოლოდ ადგილ-ადგილაა შემორ-ჩენილი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ვანდალურად, განძის მაძიებელთა მიერ, განადგურებულ-გადათხრილი მონაკვეთები, რომლებიც უთუოდ დიდ ზიანს აყენებს კულტურულ ფენებს. საერთო სახით დაზიენებულია, როგორც ძეგლის მომსაზღვრელი ძირითადი კედელი, „გალავანი“, ისე მის შიდა პერიმეტრზე, ალაგ-ალაგ შემორჩენილი, წყობის ნაშთები. მოცემული მცირე ფრაგმენტები გვაფიქრებინებს, რომ შიდა მონაკვეთზე ასევე არსებობდა მართკუთხა და წრიული გეგმარების გარკვეული „სათავსები“, შიდა „უბნები“, რომელთა ზუსტი დანიშნულება და პროპორციები სადღეისოდ აღარ განირჩევა. საყურადღებოა, რომ დაზიანებულ ნაწილთა შორის გვხვდება შენობის ძირითადი კედლების გარეთ, მთის ფერდზე ტერასულად განლაგებული კედელთა ფრაგმენტები, რაც თავის მხრივ მიგვანიშნებს, რომ ნაგებობის მასშტაბი იმაზე გაცილებით დიდი უნდა ვივარაუდოთ, ვიდრე თხემის მოსწორებულ პლატფორმაზე შემორჩენილი კედლებია.

მაღალი მთის თხემზე, კლდოვანი ქანების შვერილ მონაკვეთებსა და მათ შორის არეებზე განთავსებულია წრიული გეგმარების, შიდა „უბნებად“ დანაწევრებული ნაგებობის ნაშთები. ძეგლის ძირითადი ნაწილი მთის წვერზე, მის მოვაკებულ მონაკვეთზე მდებარეობს, ხოლო ტერასებად, მის გარეთ, კლდოვან ქანებს შორის, მოქცეულია მშრალი წყობის სხვა შენობათა კვალი, რომლის გათვალისწინებითაც სავარაუდოა, რომ ნაგებობა რამდენიმე საფეხურად, ტერასებად ვითარდებოდა მთის ფერდობზე. ძირითადი ობიექტის სამი მხარე შედარებით მაღალი დამრეცობით და, შესაბამისად, დაცულობით ხასიათდება, ხოლო აღმოსავლეთით შედარებით თავისუფალი მოვაკებული ტერიტო-რიაა, რომელიც მის უკან არსებულ მთას უერთდება. ძეგლის შიდა და გარე პერიმეტრზე აღინიშნება დიდი რაოდენობის ქვა-ყრილები და ნაშალი მასალა, რომელიც გვაძლევს საშუალებას ნაგებობის მთავარი თუ „მიკრო-სათავსების“ ლოკალიზაციისა. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელი ხდება „მთავარი და დაქვემდებარებული“ ნაწილების დიფერენცირება და შესაბამისად, ძეგლის ზოგადი კონტურის განსაზღვრა. ალაგ-ალაგ, ძირითადი ნაგებობის პერიმეტრზე, განირჩევა წრიული მოხაზულობის ნაგებობათა ნანგრევები, რომლებიც მხოლოდ კონტურების დონეზეღა აღიქმება - მათი ფუნქციური დანიშნულება, კვლევების გარეშე, რთული განსასაზღვრია. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, რომ მშრალი წესით ნაგები კედლების საძირკველში დიდი ლოდები, ხოლო ზემოთ შედარებით მცირე ზომის ქვები იყო გამოყენებული. ასევე მცირე ზომის ქვა-ყრილით იყო შევსებული კედელთა გარე და შიდა პირებს შორის არსებული სივრცე.

ნაგებობის განთავსების არეალის, მისი ზოგად-გეგმარებითი პრინციპის, მშრალი ქვის წყობის, პროპორციების და სხვა მცირედი ფრაგმენტების მიხედვით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურისთვის სახასიათო, სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურასთან, რომლის დეტალური კვლევის შემდგომაც შესაძლებელი იქნება მისი ზოგადი თარიღის განსაზღვრა. მრავალმხრივი კვლევების შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ნაგებობის მასშტაბ-პროპორციები, არქიტექტურულ-კონსტრუქციული მხარე და შედარებით კონკრეტული გეგმარება, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის ძეგლის აშენების დროის განსაზღვრას.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ნაგებობის საერთო ხედი

ფოტო 2. ტერასების ფრაგმენტები

ფოტო 3. გალავნის კედლის ფაგმენტი

ფოტო 4. კედლის ფრაგმენტები

დანართი. ისტორიული ბასიანის სოფლების ჩამონათვალი

დანართში მოყვანილია ისტორიული ბასიანის ყველა სოფელი, რომელიც ამჟამად თანამედროვე ერზურუმის პროვინციის სამ ადმინისტრაციულ ერთეულს (რაიონს) წარმოადგენს – ფასინლერის რაიონი, ქოფრუქოის რაიონი და ჰორასანის რაიონი. ისტორიული სოფლების სახელწოდებები ძირითად შემთხვევაში მოყვანილია ჩვენთვის ცნობილი ლიტერატურიდან და შეჯერებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან. დანართში, აგრეთვე მოყვანილია სოფლების სახელწოდებების სხვა ვერსიები, რომლებიც ფიქსირდება ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

P.S. წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია ფასინლერის და ქოფრუქოის რაიონის კულტურის ძეგლები, თუმცა დანართში მოცემულია სამივე რაიონის სოფლების ჩამონათვალი.

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	**სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)**	**სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები**
1	ავდო კომუ	ათაქოი, ქოფრუქოის რაიონი (Ataköy, Köprüköy İlçesi)	აბდიკანი
2	აზაბი	აზაპი, ჰორასანის რაიონი (Azap, Horasan İlçesi)	
3	აკბაბა(მეზრა)	აკბაბა, ქოფრუქოის რაიონი (Akbaba, Köprüköy İlçesi)	
4	აკსიკომსი	დემირდოვენი, ფასინლერის რაიონი (Demirdöven, Pasinler İlçesi)	სურბეჰანი
5	აკფინარი	აკფინარი, ჰორასანის რაიონი (Akpınar, Horasan İlçesi)	
6	ალაგიოზი	ალაგიოზი, ჰორასანის რაიონი (Alagöz, Horasan İlçesi)	
7	ალაკილისე	იეშილდერე, ჰორასანის რაიონი (Yeşildere, Horasan İlçesi)	იატიკსირთი
8	ალაჯა	ალაჯა, ქოფრუქოის რაიონი (Alaca, Köprüköy İlçesi)	
9	ალვარი	ალვარი, ფასინლერის რაიონი (Alvar, Pasinler İlçesi)	
10	ანდაკა	იარბოღაზი, ჰორასანის რაიონი (Yarboğaz, Horasan İlçesi)	ანტაკი, ენდეკი
11	არდი	არდი, ჰორასანის რაიონი (Ardı, Horasan İlçesi)	
12	არდოსტი	დეღირმენლერი, ჰორასანის რაიონი (Değirmenler, Horasan İlçesi)	არდოსი
13	არტიფი	ოთლუქქაფი, ფასინლერის რაიონი (Otlukkapı, Pasinler İlçesi)	ხერტევი, ხერტივი
14	არუჩაქრაგი	ალიჩეირეკი, ჰორასანის რაიონი (Aliçeyrek, Horasan İlçesi)	ალიჯექრექი, აშკირაგი
15	არფაჩაირი	არფაჩაირი, ჰორასანის რაიონი (Arpaçayır, Horasan İlçesi)	
16	აღაკომი(მეზრა)	აღაკომი, ქოფრუქოის რაიონი (Ağakom, Köprüköy İlçesi)	
17	აღზეჰირი	თაშლიიურთი, ფასინლერის რაიონი (Taşlıyurt, Pasinler İlçesi)	აღზიჰირი
18	აღულლუ	აღილლი, ჰორასანის რაიონი (Ağıllı, Horasan İlçesi)	
19	აღუქირანი	მეშეჯიკი, ჰორასანის რაიონი (Meşecik, Horasan İlçesi)	აკქირანი
20	აღჯალარი	აღჯალარი, ფასინლერის რაიონი (Ağcalar, Pasinler İlçesi)	

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
21	ახა	კავუშტურანი, ფასინლერის რაიონი (Kavuşturan, Pasinler İlçesi)	
22	ახალიქი ულია	იუქარიბადემიოზუ, ჰორასანის რაიონი (Yukarıbademözü, Horasan İlçesi)	
23	ახელექი	აშაღიბადემიოზუ, ჰორასანის რაიონი (Aşağıbademözü, Horasan İlçesi)	ახალიქი სუფლა
24	აჯი	აჯი, ფასინლერის რაიონი (Acı, Pasinler İlçesi)	
25	ბადიჯუინი	ესენდერე, ფასინლერის რაიონი (Esendere, Pasinler İlçesi)	ბადიჯვანი, ბადიჟვანი
26	ბალდიზი	ბალდიზი, ფასინლერის რაიონი (Baldızı, Pasinler İlçesi)	
27	ბაშვირანი	ბაშიორენი, ფასინლერის რაიონი (Başören, Pasinler İlçesi)	
28	ბედრევანქი	იორუქათლი, ჰორასანის რაიონი (Örükatlı, Horasan İlçesi)	ბედრევანსი
29	გენჩაღა ჩიფტლიღი	ჩიფტლიკი, ჰორასანის რაიონი (Çiftlik, Horasan İlçesi)	
30	გერდეკკაია	გერდეკკაია, ფასინლერის რაიონი (Gerdekkaya, Pasinler İlçesi)	
31	გერეკი	გერეკი, ჰორასანის რაიონი (Gerek, Horasan İlçesi)	
32	გეჯიკი	ილდირანი, ჰორასანის რაიონი (Yıldıran, Horasan İlçesi)	
33	გოზელერი(მეზრა)	გოზელერი, ფასინლერის რაიონი (Gözeler, Pasinler İlçesi)	
34	გოლჯიღეზი	გოლჯეღიზი, ფასინლერის რაიონი (Gölceğiz, Pasinler İlçesi)	
35	გოქჩეჰარმანი(მეზრა)	გოქჩეჰარმანი, ქოფრუქოის რაიონი (Gökçeharman, Köprüköy İlçesi)	
36	დელიბაბა	ველიბაბა, ჰორასანის რაიონი (Velibaba, Horasan İlçesi)	ველიბაბა, არასი
37	დელილერი	იღიტფინარი, ფასინლერის რაიონი (Yiğitpınarı, Pasinler İlçesi)	
38	დიშლიკაია(მეზრა)	დიშლიკაია, ქოფრუქოის რაიონი (Dişlikaya, Köprüköy İlçesi)	
39	დოდი	ქემერლი, ჰორასანის რაიონი (Kemerli, Horasan İlçesi)	თოთი
40	დოლლექი	დოლლექი, ჰორასანის რაიონი (Döllek, Horasan İlçesi)	
41	ეზირმიკი	ოვაქოი, ფასინლერის რაიონი (Ovaköy, Pasinler İlçesi)	იზელმიკი, იეზერმეკი
42	ეიუფლერი	ეიუფლერი, ქოფრუქოის რაიონი (Eyüpler, Köprüköy İlçesi)	
43	ემრეკომი	ემრე, ქოფრუქოის რაიონი (Emre, Köprüköy İlçesi)	ამრაკომი
44	ერენჯიკი(მეზრა)	ერენჯიკი, ქოფრუქოის რაიონი (Erencik, Köprüköy İlçesi)	
45	ეფსემჯე	ეფსემჯე, ფასინლერის რაიონი (Epsemce, Pasinler İlçesi)	

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
46	ექრექი	გიოლჩაირი, ქოფრუქოის რაიონი (Gölçayır, Köprüköy İlçesi)	
47	ეღერტაში	ეღერტაშლარი, ჰორასანის რაიონი (Eğertaşlar, Horasan İlçesi)	
48	ეშეკილიასი	აშაღი აკტაში, ჰორასანის რაიონი (Aşağı Aktaş, Horasan İlçesi)	
49	ვანასორი	ვანასორი, ჰორასანის რაიონი (Vanasor, Horasan İlçesi)	
50	ვაღავირი	დუმანკაია, ქოფრუქოის რაიონი (Dumankaya, Köprüköy İlçesi)	
51	ზარსი	დალბაში, ჰორასანის რაიონი (Dalbaşı, Horasan İlçesi)	
52	ზემო დანიშმენდი	იუქარიდანიშმენტი, ფასინლერის რაიონი (Yukarıdanişment, Pasinler İlçesi)	
53	ზემო კალბულასი	იაილადაღი, ფასინლერის რაიონი (Yayladağ, Pasinler İlçesi)	ზემო გალბულასი
54	ზემო კარაკალე	კარაკალე, ფასინლერის რაიონი (Karakale, Pasinler İlçesi)	
55	ზემო კიზილკალე	იუქარიკიზილკალე, ქოფრუქოის რაიონი (Yukarıkızılkale, Köprüköy İlçesi)	
56	ზემო კიზილჯა	იუქარიკიზილჯა, ქოფრუქოის რაიონი (Yukarıkızılca, Köprüköy İlçesi)	
57	ზემო სოღუდლუ	იუქარისოღუთლუ, ქოფრუქოის რაიონი (Yukarısöğütlü, Köprüköy İlçesi)	
58	ზემო სოღუთლუ	სოღუთლუ, ჰორასანის რაიონი (Söğütlü, Horasan İlçesi)	
59	ზემო ტაიჰოჯა	იუქარიტაჰირჰოჯა, ჰორასანის რაიონი (Yukarıtahirhoca, Horasan İlçesi)	
60	ზემო ჩაქმაქი	იუქარიჩაქმაქი, ფასინლერის რაიონი (Yukarıçakmak, Pasinler İlçesi)	
61	თავშანჯიკი	თავშანჯიკი, ჰორასანის რაიონი (Tavşancık, Horasan İlçesi)	
62	თეკნეჯიკი	თეკნეჯიკი, ჰორასანის რაიონი (Teknecik, Horasan İlçesi)	
63	თენზილე	დერებაში, ქოფრუქოის რაიონი (Derebaşı, Köprüköy İlçesi)	
64	თეფეჯიკი	თეფეჯიკი, ფასინლერის რაიონი (Tepecik, Pasinler İlçesi)	
65	თიზგი	აშიტლარი, ფასინლერის რაიონი (Aşıtlar, Pasinler İlçesi)	
66	თიმარ იაილასი	იაილა, ფასინლერის რაიონი (Yayla, Pasinler İlçesi)	
67	თიმარი	თიმარი, ფასინლერის რაიონი (Tımar, Pasinler İlçesi)	
68	თოდავირანი	ქუქურთლუ, ჰორასანის რაიონი (Kükürtlü, Horasan İlçesi)	თოთავერანი
69	თორთანი	უზუნარკი, ფასინლერის რაიონი (Uzunark, Pasinler İlçesi)	
70	თოფჩუ	თოფჩუ, ქოფრუქოის რაიონი (Topçu, Köprüköy İlçesi)	

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
71	იაზილიტაში	იაზილიტაში, ჰორასანის რაიონი (Yazılıtaş, Horasan İlçesi)	
72	იაღანი	იაღანი, ქოფრუქოის რაიონი (Yağan, Köprüköy İlçesi)	
73	იეკაბადი	ჩაკირტაში, ფასინლერის რაიონი (Çakırtaş, Pasinler İlçesi)	ეკებადი
74	იემლიკი	იემლიკი, ქოფრუქოის რაიონი (Yemlik, Köprüköy İlçesi)	
75	იენიქოი	იენიქოი, ფასინლერის რაიონი (Yeniköy, Pasinler İlçesi)	
76	ილანლი	ილანლი, ქოფრუქოის რაიონი (Yılanlı, Köprüköy İlçesi)	
77	ილიმი	ჩაირდიუზუ, ჰორასანის რაიონი (Çayırdüzü, Horasan İlçesi)	
78	იუზვირანი	იუზორენი, ჰორასანის რაიონი (Yüzören, Horasan İlçesi)	
79	იღდელი	იღდელი, ჰორასანის რაიონი (İğdeli, Horasan İlçesi)	
80	იღირბიღირი	იღირბიღირი, ჰორასანის რაიონი (Iğırbığır, Horasan İlçesi)	ეხირბეხირი
81	იშკი	აღჯაშარი, ქოფრუქოის რაიონი (Ağcaşar, Köprüköy İlçesi)	იშხუ
82	კადიჯელალი	კადიჯელალი, ჰორასანის რაიონი (Kadıcelal, Horasan İlçesi)	
83	კაინარჯა	კაინარჯა, ჰორასანის რაიონი (Kaynarca, Horasan İlçesi)	
84	კალბულასი	იეშილიოზი, ჰორასანის რაიონი (Yeşilöz, Horasan İlçesi)	გალბულასი
85	კალენდერი	კალენდერი, ჰორასანის რაიონი (Kalender, Horasan İlçesi)	
86	კანატლი(მეზრა)	კანატლი, ქოფრუქოის რაიონი (Kanatlı, Köprüköy İlçesi)	
87	კანტარკაია	კანტარკაია, ჰორასანის რაიონი (Kantarkaya, Horasan İlçesi)	კარააივათი
88	კარაბიიკი	კარაბიიკი, ჰორასანის რაიონი (Karabıyık, Horasan İlçesi)	
89	კარაველეთი	კარაველეთი, ფასინლერის რაიონი (Karavelet, Pasinler İlçesi)	
90	კარაკილისე	ინჯესუ, ჰორასანის რაიონი (İncesu, Horasan İlçesi)	
91	კარაკოჩი	კარაკოჩი, ქოფრუქოის რაიონი (Karakoç, Köprüköy İlçesi)	
92	კარაკოჩი(მეზრა)	კარაკოჩი, ქოფრუქოის რაიონი (Karakoç, Köprüköy İlçesi)	
93	კარაფინარი(მეზრა)	კარაფინარი, ქოფრუქოის რაიონი (Karapınar, Köprüköy İlçesi)	
94	კარაჩუკა	კარაჩუჰა, ჰორასანის რაიონი (Karaçuha, Horasan İlçesi)	
95	კარაჯავირანი	კარაჯაიორენი, ჰორასანის რაიონი (Karacaören, Horasan İlçesi)	

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
96	კეპენეკი	კეპენეკი, ჰორასანის რაიონი (Kepenek, Horasan İlçesi)	
97	კერინკარი	კაიაბაში, ქოფრუქოის რაიონი (Kayabaşı, Köprüköy İlçesi)	
98	კიზილვირანი	კიზილიორენი, ფასინლერის რაიონი (Kızılören, Pasinler İlçesi)	
99	კიზილჯა სუფლა	აშაღიკიზილჯა, ჰორასანის რაიონი (Aşağıkızılca, Horasan İlçesi)	
100	კიზლარკალე	კიზლარკალე, ჰორასანის რაიონი (Kızlarkale, Horasan İlçesi)	
101	კინდეღი	ალთინბაშაკი, ფასინლერის რაიონი (Altınbaşak, Pasinler İlçesi)	გინდეღი
102	კინდიგოთი	დაუთეფე(?), ქოფრუქოის რაიონი (Dautepe(?), Köprüköy İlçesi)	კინდაგუთი, კინდიღუთი
103	კირეჩლი(მეზრა)	კირეჩლი, ფასინლერის რაიონი (Kireçli, Pasinler İlçesi)	
104	კირიკი	კირიკი, ჰორასანის რაიონი (Kırık, Horasan İlçesi)	
105	კომაცორი	ქირქგოზელერი, ჰორასანის რაიონი (Kırkgözeler, Horasan İlçesi)	კომასორი
106	კორუჯუკი	კორუჯუკი, ფასინლერის რაიონი (Korucuk, Pasinler İlçesi)	
107	კულუჩი	აშაღიტაჰირჰოჯა, ჰორასანის რაიონი (Aşağıtahirhoca, Horasan İlçesi)	ტაიჰოჯა სუფლა
108	მალი კომუ	პელიტლი, ფასინლერის რაიონი (Pelitli, Pasinler İlçesi)	
109	მარიფეთი	მარიფეთი, ქოფრუქოის რაიონი (Marifet, Köprüköy İlçesi)	
110	მასლაჰათი	მურატბაღი, ჰორასანის რაიონი (Muratbağı, Horasan İlçesi)	კუტლუტაში
111	მასრა	გუზელიაილა, ჰორასანის რაიონი (Güzelyayla, Horasan İlçesi)	
112	მაღარაჯიკი	მაღარაჯიკი, ჰორასანის რაიონი (Mağaracık, Horasan İlçesi)	
113	მენდევანი	ბუღდაილი, ქოფრუქოის რაიონი (Buğdaylı, Köprüköy İlçesi)	
114	მენევიურთი	ქუჩუქკონაკი, ჰორასანის რაიონი (Küçükkonak, Horasan İlçesi)	
115	მესჯითლი	სოილემეზი, ქოფრუქოის რაიონი (Söylemez, Köprüköy İlçesi)	
116	მეჯელდი	ოვენლერი, ფასინლერის რაიონი (Övenler, Pasinler İlçesi)	მუჯელდი
117	მიადინი	არდიჩლი, ფასინლერის რაიონი (Ardıçlı, Pasinler İlçesi)	
118	მიგნარინჩი	ბუიუქდერე, ფასინლერის რაიონი (Büyükdere, Pasinler İlçesi)	კირნუჩი
119	მიშკი	ფინარლი, ჰორასანის რაიონი (Pınarlı, Horasan İlçesi)	
120	მოლაჰმეტი	მოლაჰმეტი, ჰორასანის რაიონი (Mollaahmet, Horasan İlçesi)	

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
121	მოლამელიქი	მოლამელიქი, ჰორასანის რაიონი (Mollamelik, Horasan İlçesi)	
122	ონკომი	უღუმუ, ფასინლერის რაიონი (Üğümü, Pasinler İlçesi)	ოგომი, უგუმუ
123	ოკჩულარი	ოკჩულარი, ჰორასანის რაიონი (Okçular, Horasan İlçesi)	
124	ორდუზუ	ჩიჩეკლი, ფასინლერის რაიონი (Çiçekli, Pasinler İlçesi)	ორტუზი
125	პაზაჩური	ორთაკლარი, ქოფრუქოის რაიონი (Ortaklar, Köprüköy İlçesi)	
126	პატარა ტუ	ქუჩუქტუი, ფასინლერის რაიონი (Küçüktuy, Pasinler İlçesi)	ტუი, ორტორუ, ვორტორუ
127	პერტაგი	საკსი, ფასინლერის რაიონი (Saksı, Pasinler İlçesi)	პერტეკი
128	პინადუზი	დიქილი, ჰორასანის რაიონი (Dikili, Horasan İlçesi)	პინატუზი
129	პირალი	პირალი, ჰორასანის რაიონი (Pirali, Horasan İlçesi)	
130	პირჰასანი	პირჰასანი, ჰორასანის რაიონი (Pirhasan, Horasan İlçesi)	
131	პორსუკი	პორსუკი, ფასინლერის რაიონი (Porsuk, Pasinler İlçesi)	
132	რაბათი	ჩალიიაზი, ფასინლერის რაიონი (Çalıyazı, Pasinler İlçesi)	
133	სანამერი	ჰაჯიაჰმეტი, ჰორასანის რაიონი (Hacıahmet, Horasan İlçesi)	კუშბურნუ
134	სანსორი	ტაშლიგუნეი, ფასინლერის რაიონი (Taşligüney, Pasinler İlçesi)	სანასორი
135	საჩლიკი	საჩლიკი, ჰორასანის რაიონი (Saçlık, Horasan İlçesi)	
136	სეიდ ალ კომუ	დილეკი, ქოფრუქოის რაიონი (Dilek, Köprüköy İlçesi)	
137	სეკმანი	სეკმანი, ჰორასანის რაიონი (Sekman, Horasan İlçesi)	
138	სერჩებოღაზი	სერჩებოღაზი, ფასინლერის რაიონი (Serçeboğazı, Pasinler İlçesi)	
139	სითავუთი	ბაჰჩე, ჰორასანის რაიონი (Bahçe, Horasan İlçesi)	
140	სიჩანკალე სუფლა	აშაღიჩამლიკალე, ჰორასანის რაიონი (Aşağıçamlıkale, Horasan İlçesi)	
141	სოსი	იღიტტაში, ფასინლერის რაიონი (Yiğittaşı, Pasinler İlçesi)	
142	სულუგუ	ეღირმეზი, ქოფრუქოის რაიონი (Eğirmez, Köprüköy İlçesi)	სულუგი
143	სურბოღანი	იორენტაში, ქოფრუქოის რაიონი (Örentaş, Köprüköy İlçesi)	ჰარაბე სურბეჰანი
144	ტაფტიქერი	სავათლი, ქოფრუქოის რაიონი (Savatlı, Köprüköy İlçesi)	
145	ტაღუნსი	კარატაშლარი, ქოფრუქოის რაიონი (Karataşlar, Köprüköy İlçesi)	ტავონისი, ტავონცი

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
146	ტაშდელენი	ტაშდელენი, ჰორასანის რაიონი (Taşdelen, Horasan İlçesi)	
147	ულკასიმი	ბულკასიმი, ფასინლერის რაიონი (Bulkasim, Pasinler İlçesi)	ბულღასიმი
148	უტუ(ურარტული?)	ბუიუქტუი, ფასინლერის რაიონი (Büyüktuy, Pasinler İlçesi)	ტუ, დიდი ტუ
149	ბასიანი	ფასინლერი, ფასინლერის რაიონი (Pasinler, Pasinler İlçesi)	ფასიანოი, ფასეანქი, ვაღარშავანი, ჰასანაბადი, ფასინ ულია, ჰასანკალე.
150	ფექეჯიკი	ფექეჯიკი, ქოფრუქოის რაიონი (Pekecik, Köprüköy İlçesi)	ფაგოჯუკი
151	ფისიანლი კომუ	იავუზლუ, ფასინლერის რაიონი (Yavuzlu, Pasinler İlçesi)	
152	ფისიკლი	დუათეფე, ქოფრუქოის რაიონი (Duatepe, Köprüköy İlçesi)	
153	ფლური	სუნაკი, ფასინლერის რაიონი (Sunak, Pasinler İlçesi)	ფულური
154	ფორიგი(ნასოფლარი)	ჰორასანის რაიონი (Horasan İlçesi)	
155	ფუსუდერე	ფუსუდერე, ფასინლერის რაიონი (Pusudere, Pasinler İlçesi)	
156	ქეთვანი	იასტიკთეფე, ფასინლერის რაიონი (Yastıktepe, Pasinler İlçesi)	
157	ქეივანქი	ტაშკაინაკი, ფასინლერის რაიონი (Taşkaynak, Pasinler İlçesi)	ქევანექი
158	ქვემო დანიშმენდი	დანიშმენტი, ჰორასანის რაიონი (Danişment, Horasan İlçesi)	
159	ქვემო კიზილკალე	აშაღიკიზილკალე, ქოფრუქოის რაიონი (Aşağıkızılkale, Köprüköy İlçesi)	
160	ქვემო ჩაკმაკი	აშაღიჩაკმაკი, ქოფრუქოის რაიონი (Aşağıçakmak, Köprüköy İlçesi)	
161	ქირთაბაზი	კიიკონაკი, ქოფრუქოის რაიონი (Kıyıkonak, Köprüköy İlçesi)	ქართაბაზი, ქარდაბაზი
162	ქოთანდიუზუ	ქოთანდიუზუ, ფასინლერის რაიონი (Kotandüzü, Pasinler İlçesi)	
163	ქოფრუქოი	ქოფრუქოი, ქოფრუქოის რაიონი (Köprüköy, Köprüköy İlçesi)	გამურჩი, ჩობანდედე ქოფრუსუ
164	ქურთქალმაზი	სარიტაში, ქოფრუქოის რაიონი (Sarıtaş, Köprüköy İlçesi)	
165	ღოჯირ კომუ	გეიკლი, ქოფრუქოის რაიონი (Geyikli, Köprüköy İlçesi)	
166	შეიხიუსუფი	შეიხიუსუფი, ჰორასანის რაიონი (Şeyhyusuf, Horasan İlçesi)	
167	ჩამლიჯა კომუ	ჩამლიჯა, ფასინლერის რაიონი (Çamlıca, Pasinler İlçesi)	
168	ჩამურლი	ჩამურლუ, ჰორასანის რაიონი (Çamurlu, Horasan İlçesi)	
169	ჩერმიკსუ	ილიჯასუ, ქოფრუქოის რაიონი (Ilıcasu, Köprüköy İlçesi)	
170	ჩოღენდერი	ჩოღენდერი, ფასინლერის რაიონი (Çöğender, Pasinler İlçesi)	

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
171	ჩულლუ	ჩულლუ, ქოფრუქოის რაიონი (Çullu, Köprüköy İlçesi)	
172	ძანძაღი	აქჩატაში, ჰორასანის რაიონი (Akçataş, Horasan İlçesi)	ზანზაკი
173	ხანეკე	გოქჩე, ჰორასანის რაიონი (Gökçe, Horasan İlçesi)	
174	ხაჩლი	ხარჩლი, ჰორასანის რაიონი (Harçlı, Horasan İlçesi)	ხაჩლუ
175	ხესინკარი	სოუკსუ, ქოფრუქოის რაიონი (Soğuksu, Köprüköy İlçesi)	ხარსინკარი
176	ხიზირილიასი	ხიზირილიასი, ჰორასანის რაიონი (Hızırilyas, Horasan İlçesi)	
177	ხოდიგი	ბულგურლუ, ჰორასანის რაიონი (Bulgurlu, Horasan İlçesi)	ხადიკი
178	ხოზევანისი	აკჩამი, ქოფრუქოის რაიონი (Akçam, Köprüköy İlçesi)	
179	ხორასანი	ჰორასანი, ჰორასანის რაიონი (Horasan, Horasan İlçesi)	ფასინი სუფლა
180	ხორომი ულია	იუქარიჰორუმი, ჰორასანის რაიონი (Yukarıhorum, Horasan İlçesi)	
181	ხოსრავერანი	აქჩათოფრაკი, ჰორასანის რაიონი (Akçatoprak, Horasan İlçesi)	ხოსროვერანი
182	ხოტიკი	იუქარიაკტაში, ჰორასანის რაიონი (Yukarıaktaş, Horasan İlçesi)	
183	ხოფიკი	იაფაღილი, ქოფრუქოის რაიონი (Yapağılı, Köprüköy İlçesi)	
184	ხოშაბი	დონერტაში, ჰორასანის რაიონი (Dönertaş, Horasan İlçesi)	ხოშოვი
185	ჯიჯექრექი	გუნდეღერი, ჰორასანის რაიონი (Gundeğer, Horasan İlçesi)	ჯიჯაქრაგი
186	ჰავნიკი	გუზელჰისარი, ქოფრუქოის რაიონი (Güzelhisar, Köprüköy İlçesi)	ავნიკონი, ავნიკი
187	ჰაიდარკომუ	ჰაიდარლი, ჰორასანის რაიონი (Haydarlı, Horasan İlçesi)	
188	ჰაიდარკომუ სუფლა	იაილაჯიკი, ჰორასანის რაიონი (Yaylacık, Horasan İlçesi)	
189	ჰაიქურდი	კევენლიკი, ფასინლერის რაიონი (Kevenlik, Pasinler İlçesi)	
190	ჰამიდინ კომუ	ტაშაღილი, ფასინლერის რაიონი (Taşağıl, Pasinler İlçesi)	გომა ლაზა
191	ჰანაჰმეტი	ჰანაჰმეტი, ფასინლერის რაიონი (Hanahmet, Pasinler İlçesi)	
192	ჰარასუნი	ქირქლარი, ჰორასანის რაიონი (Kırklar, Horasan İlçesi)	ჯირასუნი
193	ჰასანაღა(მეზრა)	ჰასანაღა, ქოფრუქოის რაიონი (Hasanağa, Köprüköy İlçesi)	
194	ჰასანბეი	ჰასანბეი, ჰორასანის რაიონი (Hasanbey, Horasan İlçesi)	
195	ჰაჯიჰალილი	ჰაჯიჰალილი, ჰორასანის რაიონი (Hacıhalil, Horasan İlçesi)	

	სოფლის ისტორიული სახელწოდება	სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდება (რაიონის მითითებით)	სოფლის სახელწოდების სხვა ვერსიები
196	ჰერანი	ქირქდიქმე, ჰორასანის რაიონი (Kırkdikme, Horasan İlçesi)	
197	ჰიზარდერე	ჰიზარდერე, ჰორასანის რაიონი (Hızardere, Horasan İlçesi)	
198	ჰინცკი	კურბანჩაირი, ფასინლერის რაიონი (Kurbançayırı, Pasinler İlçesi)	ჰინსი
199	ჰომიგი	იეშილოზი, ქოფრუქოის რაიონი (Yeşilöz, Köprüköy İlçesi)	

ლიტერატურა

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ (1971) თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევები დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, ქართული თარგმანი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ (1973) თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევები დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.

ინგოროყვა, პ. (1954) გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, ნაწილი პირველი, რედ. ვ. დონდუა, თბილისი, „საბჭოთა მწერალი“.

იოანე მამიკონიანი. (1941) ტარონის ისტორია, ერევანი. სომხურ ენაზე.

იოანე მამიკონიანი. (1853) წმინდა ნერსესის ისტორია და წმინდანთა ნაწილების აღმოჩენა, ვენეცია. სომხურ ენაზე.

სამუშია, ჯ. (2003) ბიზანტიურ-ქართულ-სომხური სამხედრო კოალიცია თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ (ბასიანის ბრძოლა), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები, 349, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სამუშია, ჯ. (2005) ქართული წყაროები ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, კრებული: ქართული დიპლომატია, წელწდეული №12, რედ. როინ მეტრეველი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქართლის ცხოვრება. (1955) ტომი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, სახელგამი.

ქართლის ცხოვრება. (1959) ტომი II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

Kartlis Tskhovreba (A History of Georgia). (2014) The Georgian Chronicles of Kartlis Tskhovreba, Editor in Chief of the English edition: Prof. S. Jones (USA), Georgian National Academy of Sciences, Tbilisi, ARTANUJI Publishing.

Aydın, D. (1998) *Erzurum Beylerbeyliği ve Teşkilati: Kuruluş ve Genişleme Devri (1535-1566),* Dizi VII, Sayı 151, Ankara, Türk Tarih Kurumu Basımevi. [აიდინი, 1998, ერზურუმის საბეგლარბეგოს დაარსება და გაფართოება, თურქულ ენაზე.].

Belli, O. (2011) „Eskiçağ'da Erzurum Bölgesi", *Bir Şehir Var Yaylada Erzurum,* Ed-ler: E. Yazıcı ve H. Bozoğlu, Erzurum, Erzurum İl Özel İdaresi. s. 17-40. [ბელი, 2011, ერზურუმის რეგიონი უძველეს პერიოდში, თურქულ ენაზე.].

Ceylan, A. (2001) „1999 Yılı Erzincan ve Erzurum Yüzey Araştırmaları", *18. Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 2.* İzmir, 22-26 Mayıs, 2000. Ankara, Kültür Bakanlığı Milli Kütüphane Basımevi, s. 71-82. [ჯეილანი, 2001, ერზინჯანის და ერზურუმის 1999 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Ceylan, A. (2003) „2001 Yılı Erzincan, Erzurum ve Kars İlleri Yüzey Araştırmaları", *20 Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 2.* Ankara, 27-31 Mayıs, 2002. Ankara, Kültür Bakanlığı Dösimm Basımevi, s. 311-324. [ჯეილანი, 2003, ერზინჯანის, ერზურუმის და ყარსის პროვინციების 2001 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Ceylan, A. (2004) „2002 Yılı Erzincan, Erzurum, Kars ve İğdir İlleri Yüzey Araştırmaları", *21 Araştırma Sonuçları Toplantısı.Cilt 2.*Ankara, 26-31 Mayıs, 2003. Ankara, Kültür ve Turizm Bakanlığı Dösimm Basımevi,s. 263-272. [ჯეილანი, 2004, ერზინჯანის, ერზურუმის, ყარსის და იღდირის პროვინციების 2002 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Ceylan, A., Bingöl, A. ve Topaloğlı, Y. (2008) „2006 Yılı Erzincan, Erzurum, Kars ve İğdir İlleri Yüzey Araştırmaları", *25 Araştırma Sonuçları Toplantısı.Cilt 3.*Kocaeli, 28 Mayıs-01 Haziran, 2007. Ankara, Kültür ve Turizm Bakanlığı Dösimm Basımevi, s. 129-148. [ჯეილანიდა სხვ., 2008, ერზინჯანის, ერზურუმის, ყარსის და იღდირის პროვინციების 2006 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Ceylan, A., Günaşdı, Y.,Özgül, O., Ceylan, N., Üngör, İ. ve Kalmış, G. (2018) „Erzincan – Erzurum İlleri Yüzey Araştırması (2016)", *35 Araştırma Sonuçları Toplantısı.Cilt 1.*Bursa, 22-26 Mayıs, 2017. Bursa, T. C. Kültür ve Turizm Bakanlığı Yayını, s. 85-102. [ჯეილანი და სხვ., 2018, ერზინჯანის და ერზურუმის პროვინციების 2016 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Ceylan, A., Üngör, İ.,Özgül, O., Ceylan, N., Günaşdı, Y. ve Bingöl, A.(2017) „2015 Yılı Erzincan – Erzurum İlleri Yüzey Araştırmaları", *34 Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 2.* Edirne, 23-27 Mayıs, 2016. Edirne, T. C. Kültür ve Turizm Bakanlığı Yayını, s. 25-50. [ჯეილანი და სხვ., 2017, ერზინჯანის და ერზურუმის პროვინციების 2015 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Ceylan, N., Günaşdı, Y.,Üngör, İ., Özgül, O., Topaloğlı, Y., Bingöl, A. ve Ceylan, A.(2015) „2013 Yılı Erzincan – Erzurum İlleri Yüzey Araştırmaları", *32 Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 2.* Gaziantep, 02-06 Haziran, 2014. Ankara, T. C. Kültür ve Turizm Bakanlığı Yayını, s. 71-92. [ჯეილანი და სხვ., 2015, ერზინჯანის და ერზურუმის პროვინციების 2013 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Günaşdı, Y., Topaloğlı, Y., Bingöl, A. ve Ceylan, A. (2012) „2010 Yılı Erzincan, Erzurum, Kars ve İğdir İlleri Yüzey Araştırmaları", *29 Araştırma Sonuçları Toplantısı.Cilt 3.*Malatya, 23-28 Mayıs, 2011. Ankara, T. C. Kültür ve Turizm Bakanlığı, s. 49-70. [გუნაშდი და სხვ., 2012, ერზინჯანის, ერზურუმის, ყარსის და იღდირის პროვინციების 2010 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Günaşdı, Y., Üngör, İ. ve Ceylan, A. (2020) „2019 Yılı Erzurum-Erzincan İlleri Yüzey Araştırması ", *Kafkas Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi, Sayı 26,* Ed. A. Bingöl, Kafkas Üniversitesi Ofset Tesisleri, Kars, s. 661-684. [გუნაშდი და სხვ., 2020, ერზურუმის და ერზინჯანის პროვინციების 2019 წლის ზედაპირული კვლევა, თურქულ ენაზე.].

Güneri, A. S. (1987) „Erzurum Çevresindeki Höyüklerin Yüzey Araştırması ", *V. Araştırma Sonuçları Toplantısı.II.* Ankara, 6-10 Nisan, 1987. Ankara, T.C. Kültür ve Turizm Bakanlığı , s. 45-76. [გუნერი, 1987, ერზურუმის არეალის გორანამოსახლარების ზედაპირული კვლევა, თურქულ ენაზე.].

Kadıoğlu, H. H. (2020) *Bir Pasin Kitabı*, Erzurum, Pasinler Belediyesi Yayınları-1. [ქადიოღლუ, 2020, ზოგადი ცნობარი ფასინლერის რაიონის შესახებ, თურქულ ენაზე.].

Karageçi, M. ve Günaşdı, Y.(2019) „Erzurum'da Önemli Bir Urartu Kalesi: Harami Kale", *Kafkas Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi, Sayı 24,* Ed. A. Bingöl, Kafkas Üniversitesi Ofset Tesisleri, Kars, s. 649-667.[კარაგეჩი და სხვ., 2019, ჰარამის ციხე - ურარტული ციხე ერზურუმის რეგიონში, თურქულ ენაზე.].

Karaosmanoğlu, M., Işıklı, M. ve Can, B. (2003) „2001 Yılı Erzurum Ovası Yüzey Araştırmaları ", *20. Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 1.* Ankara, 27-31 Mayıs, 2002. Ankara, Kültür Bakanlığı Dösimm Basımevi, s. 345-356. [კარაოსმანოღლუ და სხვ., 2003, ერზურუმის მხარის 2001 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Karaosmanoğlu, M., Işıklı, M. ve Can, B. (2004) „2002 Pasinler Ovası Yüzey Araştırması", *21 Araştırma Sonuçları Toplantısı.Cilt 1.* Ankara, 26-31 Mayıs, 2003. Ankara, Kültür ve Turizm Bakanlığı Dösimm

Basımevi, s. 301-310. [კარაოსმანოღლუ და სხვ., 2004, ფასინლერის მხარის 2002 წლის ზედაპირული კვლევა, თურქულ ენაზე.].

Kiliç, Ü. (2010) ,,XIX Yüzyılın İlk Yarısında Pasinler ve Köylerinin Demografik ve İskan Yapısı", *A. Ü. Türkiyat Araştırmaları Enstitüsü Dergisi, Taed 42,* Ed. M. Akpınar, Kafkas Üniversitesi, Erzurum, s. 241-257. [კილიჩი, 2010, ფასინლერის სოფლების დემოგრაფია XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თურქულ ენაზე.].

Özgül, O. (2011) *Eskiçağda(Yukarı) Aras Vadisi,* DoktoraTezi, Erzurum. [ოზგული, 2011, არაქსის ხეობის ზემო წელი უძველეს პერიოდში,თურქულ ენაზე.].

Özgül, O., Ceylan, A., Bingöl, A., Topaloğlı, Y., Günaşdı, Y.ve Üngör, İ. (2013) ,,2011 Yılı Erzincan, Erzurum, Kars ve İğdir İlleri Yüzey Araştırmaları", *30 Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 2.* Çorum, 28 Mayıs – 1Haziran, 2012. Çorum, T. C. Kültür ve Turizm Bakanlığı, s. 277-292. [ოზგული და სხვ., 2013, ერზინჯანის, ერზურუმის, ყარსის და იღდირის პროვინციების 2011 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Özkaya, V. (1994) ,,Erzurum-Horasan-Aliçeyrek Köyü Yüzey Araştırması ", *XI. Araştırma Sonuçları Toplantısı.*Ankara, 24-28 Mayıs, 1993. Ankara, Ankara Üniversitesi Basımevi, s. 379-395. [ოზკაია, 1994, ზედაპირული კვლევა ჰორასანის რაიონის სოფელ ალიჩეირეკში, თურქულ ენაზე.].

Sagona, C. and Sagona, A. (2001) ,,An Archaeological Survey of The Erzurum Plain, 1999", *18. Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 2.* İzmir, 22-26 Mayıs, 2000. Ankara, Kültür Bakanlığı Milli Kütüphane Basımevi, s. 67-69. [საგონა და სხვ., 2001, ერზურუმის 1999 წლის არქეოლოგიური კვლევა, ინგლისურ ენაზე.].

Topaloğlı, Y., Günaşdı, Y.,Bingöl, A. ve Ceylan, A.(2011) ,,2009 Yılı Erzincan, Erzurum, Kars ve İğdir İlleri Yüzey Araştırmaları", *28 Araştırma Sonuçları Toplantısı.Cilt 2.* İstanbul, 24-28 Mayıs, 2010. Ankara, T. C. Kültür ve Turizm Bakanlığı Yayını,s. 1-19. [ტოპალოღლუდა სხვ., 2011, ერზინჯანის, ერზურუმის, ყარსის და იღდირის პროვინციების 2009 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Topaloğlu, Y. (2009) ,,Eskiçağda Pasin Ovası", *Kafkas Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi, Sayı 3,* Ed. A. Bingöl, Kafkas Üniversitesi Ofset Tesisleri, Kars, s. 245-265. [ტოპალოღლუ, 2009, ბასიანის ველი უძველეს პერიოდში, თურქულ ენაზე.].

Üngör, İ., Bingöl, A., Topaloğlı, Y., Günaşdı, Y., Ceylan, N., Özgül, O. ve Ceylan, A.(2014) ,,2012 Yılı Erzincan – Erzurum İlleri Yüzey Araştırmaları", *31 Araştırma Sonuçları Toplantısı. Cilt 1.* Muğla, 27-31 Mayıs, 2013. Muğla, Muğla Sıtkı Koçman Üniversitesi Basımevi, s. 61-77. [უნგორი და სხვ., 2014, ერზინჯანის და ერზურუმისპროვინციების 2012 წლის ზედაპირული კვლევები, თურქულ ენაზე.].

Yurttaş, H., Özkan, H., Köşklü, Z. ve Kindiğili, M. L. (2011) ,,Erzurum'un Tarihi Eserleri", *Bir Şehir Var Yaylada Erzurum,* Ed-ler: E. Yazıcı ve H. Bozoğlu, Erzurum, Erzurum İl Özel İdaresi. s. 91-208. [იურტტაში და სხვ., 2011, ერზურუმის ისტორიული ძეგლები, თურქულ ენაზე.].

მასალები ელექტრონული სახით

https://nisanyanmap.com/?y=Kurban%C3%A7ay%C4%B1r%C4%B1&lv=&t=&cry=TR&ua=10 [ონლაინ]. (წვდომის დრო: 20 ნოემბერი 2022), თურქულ ენაზე.].

https://nisanyanmap.com/ [ონლაინ]. (წვდომის დრო: 20 ნოემბერი 2022), თურქულ ენაზე.].